საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 სექტემბერი **შაბათი** 2013
№211 (14 127) ფასი 80 თეთრი

## საქართველო-საფრანგეთი



# ნანატრი ფრე

## რომელიც ისტორიას დარჩება



8-9

საქართველოს ნაკრებმა გრანდთან მეორედ არ წააგო. 16 წლის წინათ, იტალიასთან 0:0-ის გმირი მეკარე ნიკა ტოგონიძე იყო, გუშინ - გიორგი ლორია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ჭიდაობა განაჩენის მოლოდინში

ხვალ ჭიდაობისთვის უმნიშვნელოვანესი დღეა - ბუენოს-აირესში მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე სესიაზე გადაწყდება, დარჩება თუ არა სპორტის ეს უძველესი სახეობა 2020 წლის ოლიმპიადის პროგრამაში. ჭიდაობას კონკურენციას სქვოში და სოფტბოლი/ბეისბოლი უწევენ - სოკ-ის წევრებმა სწორედ ამ სამეულიდან უნდა ამოარჩიონ ის ერთი, რომელიც 2016 წლის შემდეგაც დარჩება ოლიმპიურ ოჯახში. ხვალ არგენტინის დროით დილის 10 საათზე აღნიშნული სახეობების პრეზენტაცია დაიწყება, 12 საათზე კი კენჭისყრაა დანიშნული.

ჭიდაობის საპრეზენტაციო გუნდში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ნენად ლალოვიჩი**, აშშ-ს ეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი **ჯიმ შერი**, წარმოშობით ჩინელი, თუმცა კანადელი ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის **კეროლ ხიუნი**, კიდევ ერთი ქალბატონი, ფრანგი ოლიმპიური ჩემპიონი **ლიზ ლეგრანი** და კანადელი ოლიმპიური ჩემპიონი, ნიგერიის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **დანიელ იგალი** შედიან.

არგენტინის დედაქალაქში სესია დღეს დაიწყება. 9 სექტემბერს დაასახელებენ 2020 წლის მასპინძელ ქალაქს, რომელსაც ასევე სამ კანდიდატს - მადრიდს, ტოკიოსა და სტამბოლს შორის აარჩევენ, 10-ში კი სოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებია.

**ირაკლი თავაძე**

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ვაჟა სიმონიშვილი
ცელიედან



**ევრობასკეტი 2013**
**ნერმოთგიდგენთ** europe-bet.com

იგორ კოკოშკოვი

## სლოვენიელებთან უპირატესობა ნამდვილად გვექნება

ვითამაშებთ თავისუფლად, მონდომებით და იმედი მაქვს, შედეგიანადაც

13

## ლელოს ცეკმენები



12

გუშინ „ლელომ“ ბრაზილიაში გამართული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნებს - **ავთანდილ ჭრიკიშვილსა** (81) **ვალერი ლიპარტელიანს** (90) უმასპინძლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი პროექტი

# ფეხბურთი კახეთშიც მოშივდათ

## რატიანი კლუბის ხელმძღვანელად, კორღალიძე მთავარ მწვრთნელად

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში კიდევ ერთი ამბიციური გუნდი შეიქმნება, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს.

რატომ არ ჰყავს კახეთს ერთი კარგი საფეხბურთო გუნდი? რატომ არის ამ რეგიონში ფეხბურთი მივიწყებული? რა გახდა კახეთში ერთი კარგი გუნდის გაკეთება? - ასეთ კითხვებს ხშირად მოისმენთ ქართულ საფეხბურთო მილეთში და იმედია, მალე ამ კითხვებს პასუხი გაეცემა.

ამბავი კი ასეთია - დიდი შანსია, თელავის "კახეთი" მოლონიერდეს. ეს საკითხი ორ-სამ დღეში გადაწყდება. "კახეთი" ახლა პირველი ლიგის ერთ-ერთი მაჩანჩალაა, ორი სასტარტო მატჩიდან ორივე წააგო, მაგრამ თუ ჩაფიქრებული პროექტი განხორციელდება, "კახეთი" ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება და საკადრო ცვლილებებიც განხორციელდება.

პროექტის მიხედვით, "კახეთის" მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** უნდა გახდეს. კორღალიძე ამ დროისთვის საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების თავკაცია, მანამდე კი უმაღლესი ლიგის არა ერთი გუნდი გაუწვრთნია, მათ შორის - თბილისის "დინამოც". ფეხბურთელობისას კი წარმატებით თამაშობდა ქუთაისის "ტორპედოსა" და ლანჩხუთის "გურიაში", თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში კი ევროტურნირზეც აქვს ნათამაშები, მოუვლია უცხოეთიც - ავსტრია, აზერბაიჯანი და ესტონეთი.

რაც შეეხება თავად კლუბის მართვას, ეს **მერაბ რატიანის** კომპეტენცია იქნება. თავის დროზე, რატიანი იმ თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდათ (იყო ამ კლუბის პრეზიდენტიც), რომელიც 2001 წელს უმაღლეს ლიგაში "დინამო თბილისმა" ჩაანაცვლა. რატიანი სწორედ იმ პერიოდში დააპატიმრეს...

სხვათა შორის, კორღალიძე სწორედ მაშინ წვრთნიდა თბილისის "დინამოს", როცა კლუბის სათავეში რატიანი და მისი მეგობრები იდგნენ. "კახეთის" მოფულიანება კი ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა უნდა იკისროს - ასეთია გეგმა. მომავალ კვირაში ყველაფერს ბეჭედი დაესმება.

ბოლო დროს კახეთში ფეხბურთი თითქმის მივიწყებული იყო, არადა, ამ კუთხეს არცთუ მოკრძალებული საფეხბურთო ტრადიციები აქვს. კახეთიდან იყო ლეგენდარული **გივი ჩოხელი**, ევროპის ჩემპიონი (1960). თელავის "კახეთში" თამაშობდნენ **გიორგი დემეტრაძე, სოსო გრიშიკაშვილი, სანდრო იაშვილი...**

თელავის სტადიონი 12 000 ქომაგს იტევს და თუ იქ ნალდი ფეხბურთი გაჩაღდება, ვინ იცის, იქნებ თავისუფალი ადგილები ალარც დარჩეს. თელავში 20 ათასზე მეტი მცხოვრებია და თუ ქალაქის შემოგარენსაც მივიღებთ მხედველობაში, ყველა შესაძლებლობა გაჩნდება, რომ იქ მძლავრი საფეხბურთო კერა შეიქმნას.

**დავით თავართქილაძე**



ოთარ კორღალიძე

დავა

# ზესტაფონი გორგიაშვილს მაინც ვერ ელევა

## ანუ, როცა გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ... გასაჩივრებას მაინც ექვემდებარება




თორნიკე გორგიაშვილი

**საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონსა" და თორნიკე გორგიაშვილს შორის დავა გრძელდება. საბოლოო გადაწყვეტილებას ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული სპორტული არბიტრაჟი გამოიტანს...**

საქმის პერიპეტიებს შეგახსენებთ. წინა საფეხბურთო სეზონში "ზესტაფონს" პრობლემები შეექმნა და ფეხბურთელების ვალი დაუგროვდა. გაურკვევლობა სეზონებს შორის პერიოდშიც გაგრძელდა, სეზონის დაწყებამდე კი ყველაფერი მოგვარდა, ოლონდაც, "ზესტაფონის" 25 წლის ნახევარმცველი **თორნიკე გორგიაშვილი** კლუბში არ გამოცხადდა და ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტს მიმართა - თავისუფალი აგენტის სტატუსი მომანიჭეთო, რაც კლუბთან ხელშეკრულების გაუქმებასაც გულისხმობდა.

ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტმა განიხილა საქმე და გორგიაშვილის პრეტენზიები არ დააკმაყოფილა. გორგიაშვილმა მიმართა სააპელაციო კომიტეტს, რომელმაც ფეხბურთელის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ისიც განაცხადა - გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებაო.

ახლა უკვე "ზესტაფონმა" გამოიდო თავი და სპორტულ არბიტრაჟს მიმართა, რომელმაც საქმე წარმოებაში მიიღო, მიუხედავად სააპელაციო კომიტეტის ზემოთ ხსენებული განცხადებისა.

ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის იურისტს ვკითხეთ და ასეთი განმარტება მივიღეთ - თურმე, ფეხბურთის ფედერაციის წესდების მიხედვით, სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრება სპორტულ არბიტრაჟში შესაძლებელია გამონაკლისების გარდა, მაგალითად, როცა საქმე ეხება თამაშის წესების დარღვევას, ერთიდან ოთხ მატჩამდე დისკვალიფიკაციასა და ტექნიკურ საკითხებს, გორგიაშვილისა და "ზესტაფონის" საქმე კი ამ გამონაკლისებში არ შედის.

ფეხბურთის ფედერაციასთან არსებული სპორტული არბიტრაჟი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომლის დირექტორი **ჯიმშერ ტყებუჩავა** გახლავთ. როგორც მან გვითხრა, "ზესტაფონის" საჩივრის განხილვა დაახლოებით ორ კვირაში დაიწყება და არბიტრიც (ანუ მოსამართლე) დაახლოებით იმ დროისთვის დაინიშნება. ტყებუჩავასვე თქმით, გადაწყვეტილების გამოტანის დროს არბიტრაჟი ფიფას კანონებს გაითვალისწინებს.

"ზესტაფონის" პოზიცია გასაგებია - თუ გორგიაშვილთან დავას წააგებს, შეიქმნება იმის ალბათობაც, რომ კლუბის სხვა ფეხბურთელებმაც მოითხოვონ თავისუფალი აგენტის სტატუსი და გუნდის შემადგენლობა, ფაქტობრივად, განახევრდეს. ესეც რომ არა, გორგიაშვილი სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელია, კლუბი მას წვრთნიდა, ხელფასს უხდიდა და, რა თქმა უნდა, მის გასხვისებაში გარკვეული თანხის მიღებასაც ვარაუდობდა. მეორე მხრივ, ფეხბურთელის ინტერესებიც გასათვალისწინებელია...

მოკლედ, ბრძოლა გრძელდება და სიახლეებს კიდევ ორი კვირა უნდა ველოდოთ. მანამდე კი ისიც შევიტყვეთ, რომ "ზესტაფონმა" ფეხბურთის ფედერაციას მიმართა - დავის დასრულებამდე გორგიაშვილს სხვა გუნდში გადასვლის ნებას ნუ დართავთო. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ფედერაციას "ზესტაფონის" ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილებია...

**დავით თავართქილაძე**

ფეხბურთი და ფინანსები

# რა ღირს უმაღლესი ლიგა?

**საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებში ამ ზაფხულს რადიკალური ცვლილებები მოხდა და ეს გუნდების ჯამურ სატრანსფერო ფასებზეც საგრძნობლად აისახა. დღეისთვის, გერმანული სამენეჯერო ინტერნეტ-სააგენტო "ტრანსფერმარკტის" მონაცემებით, საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდების ჯამური სატრანსფერო ფასები ასე გამოიყურება:**

| კლუბი | გჯფ* | მსფ** |
|---|---|---|
| დინამო | 10,725,000*** | 397,000 |
| ზესტაფონი | 5,925,000 | 219,000 |
| დილა | 4,875,000 | 195,000 |
| მეტალურგი | 3,625,000 | 145,000 |
| ჩიხურა | 3,525,000 | 141,000 |
| ტორპედო | 3,425,000 | 137,000 |
| ზუგდიდი | 2,550,000 | 94,444 |
| ვიტ ჯორჯია | 2,125,000 | 88,542 |
| სპარტაკი | 1,975,000 | 70,536 |
| მერანი | 1,925,000 | 80,208 |
| სიონი | 1,775,000 | 71,000 |
| გურია | 1,525,000 | 54,464 |
| ჯამი | 43,975,000 | 141,855 |

** - მსფ - მოთამაშეთა საერთო ფასი*
*** - გჯფ - გუნდის ჯამური ფასი*
**** - თანხები მოცემულია ევროებში*

ცხრილს შეეხო ცვლილებები, რადგან გორის "დილა" უკვე დატოვეს **გიორგი ილურიძემ** (125,000) და **ლაშა გვალიამ** (175,000), რომლებიც კარიერას უცხოეთში გააგრძელებენ. ანუ გორული კლუბის ფასი 4,875 მილიონ ევრომდე შემცირდა, და ეს მაშინ, როცა გასული წლის ნოემბერში 10 მილიონს აჭარბებდა და საქართველოში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდის სტატუსი ჰქონდა. ამ ცხრილში უკვე ასახულია "დილას" ახალი ტრანსფერები - კლუბთან კონტრაქტები გააფორმეს **ნიკა ფილიევმა** (100,000) და **გიორგი ქვილითაიამ** (75,000).

ცვლილებები აისახა "ზუგდიდზეც", რომელიც ეგვიპტის ნაკრების სამ ყოფილ მოთამაშეს შეუთანხმდა. "ტრანსფერმარკტის" სიაში, **ამირ აზმი მეგაჰედი, გამალ ჰამზა** და **აჰმედ აბუ მოსალემი** უკვე "ზუგდიდის" ფეხბურთელებად არიან მოხსენიებულნი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მათ კლუბის საერთო ფასი, ტიტულებისა და გარკვეული დამსახურებების მიუხედავად, მხოლოდ 650 ათასი ევროთი გაზარდეს: მეგაჰედის ტრანსფერს ინტერნეტ-სააგენტო 150 ათას ევროდ აფასებს, ჰამზასი - 200 ათასად, ხოლო აბუ მოსალემის - 300 ათასად.

სხვათა შორის, ქართული კლუბების ჯამურმა ფასმა წლეულს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია: 2011 წლის ზაფხულში ეს ჯამი 22 მილიონი ევროს შეადგენდა, 2013 წლის დასაწყისში 38,654 მილიონს, აგვისტოს დასაწყისში 44,275 მილიონი გახდა, რამდენიმე დღის წინ კი 43,975,000-მდე შემცირდა. 2011 წელს ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთა საშუალო მაჩვენებელი 88,500 ევროს შეადგენდა, ახლა 141,855 ევროა.

მაგრამ სანაკრებო და საკლუბო წარუმატებლობები გამო, ჩვენი ფეხბურთისა და მოთამაშეების რეალური ფასი და, რაც მთავარია, მათზე მოთხოვნა მაინც მეტისმეტად დაცემულია.

მაგალითად ესეც კმარა: თუკი ადრე ქართველი მოთამაშეები პოპულარობით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მაინც სარგებლობდნენ, ახლა მათ ამ სივრცის მეორეხარისხოვან ლიგებშიც იშვიათად იწვევენ, და თუ იწვევენ, ჯერ მხოლოდ - სინჯებზე. ევროპასა და წამყვან საფეხბურთო ლიგებში ქართველთა წილის ზრდა ჯერჯერობით ზღაპარს ჰგავს.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა

# რატომ წავიდა გორელიშვილი მოსკოვში?

## დილას გენერალური მენეჯერი ეცდება, გორგიაშვილი დაითანხმოს

დარჩებიან თუ არა გორის "დილაში" მისი ლიდერები? კითხვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც ევროპალიგის პლეიოფში ვენის "რაპიდთან" წაგების შემდეგ, გუნდი ორმა ლიდერმა - **გიორგი ილურიძემ** და **ლაშა გვალიამ** დატოვა.

მათი ტრანსფერების ამბავი "ლელოს" მკითხველმა უკვე იცის და თავს აღარ შეგაწყენთ. ამასობაში, გავრცელდა ხმები, რომ მზადდებოდა კიდევ ერთი ტრანსფერი. "ლელოს" აცნობეს, რომ "დილას" ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე არ გამოცხადდა თავდამსხმელი **მიხაილ გორელიშვილი** და რომ ის ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. ხმები მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა, საბოლოოდ კი, გუნდიდან 19 წლის ფორვარდის წასვლა ჭორი აღმოჩნდა.

*"ეტყობა, გაიგეს, რომ გორელიშვილი მოსკოვშია და ჭორებიც ამის გამო გავრცელდა. დიახ, მიშა რუსეთში მართლაც გაემგზავრა, მაგრამ არა იმიტომ, რომ "დილა" დატოვა. საქმე ისაა, რომ გორელიშვილი რუსეთის მოქალაქეა. მაგრამ უცხოური პასპორტის მოქმედების ვადა დაუსრულდა და მოსკოვში ახლის ასაღებად წავიდა. ეს საკითხი უკვე მოაგვარა, თბილისში ჩამოფრინდა და ისევ ჩვენთან ითამაშებს"*, - გვითხრა გორელთა გენერალურმა მენეჯერმა **ლევან სილაგაძემ**.

მისივე თქმით, კლუბიდან ფეხბურთელების ისეთი კატასტროფული გადინება არ დაწყებულა, როგორზეც ევროთასების დაწყებამდე ლაპარაკობდნენ:

*"ამაზე ის ხალხი ლაპარაკობს, ვინც არ იცის, რა ხდება გუნდში. "დილაში" დარჩა ნუკრი რევიშვილიც და გულვერდ თომაშვილიც, რომელთა წასვლაზეც ასევე ბევრს ლაპარაკობდნენ. მოკლედ, ჩვენ შემადგენლობის შენარჩუნება და ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელება გვსურს. "დილადან" მხოლოდ ლაშა გვალია და გიორგი ილურიძე წავიდნენ და ეს არ ნიშნავს გუნდის დაშლას. მათ ძალიან კარგი ვარიანტები გამოუჩნდათ და ხელი არ შევუშალეთ. პირიქით, მადლობა გადავუხადეთ და გზა დავულოცეთ. აქ უაზრო სიჯიუტე საჭირო არ არის, რადგან თავად ვიყავით ფეხბურთელები და როცა ნიჭიერ ახალგაზრდას კარიერის აწყობაში ხელს უშლი და მილიონებს ითხოვ, ეს დანაშაულია. ამით ეროვნული ნაკრების პოტენციურ წევრთა მომავალსაც კლავ".*

რაც შეეხება "ზესტაფონის" ყოფილ ნახევარმცველ **თორნიკე გორგიაშვილს**, რომლის გარშემოც კლუბი ჯერ კიდევ აგრძელებს დავას (ამას სხვა მასალაში წაიკითხავთ), "ლელო" მასზეც წერდა, თითქოს გორის "დილას" აინტერესებდა. სილაგაძემ ეს ინტერესი დაგვიდასტურა და გვითხრა, რომ ყველანაირად ეცდება, გორგიაშვილი "დილაში" თამაშზე დაითანხმოს.



მიხაილ გორელიშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

ბათუმის დინამო

# როგორ აღნიშნავენ 90 წლის იუბილეს...
## ბათუმს, შეიძლება, ჟოაო პინტუ და კეტი პერი ესტუმრონ

**წლეულს ბათუმის "დინამოს" დაარსებიდან 90 წელი სრულდება. 1923 წელს ჩამოყალიბებულმა კლუბმა ქართული ფეხბურთის ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. მართალია, ბოლო წლებია, უმაღლესიდან პირველ ლიგაში (და პირიქით) მოგზაურობას შეეჩვია, მაგრამ ეს გუნდის წარსულს ვერ ბლალავს...**

ახლახან ბევრი ნიჭიერი მოთამაშის გამზრდელსა და საქართველოს კვალობაზე საკმაოდ ტიტულოვან ბათუმის "დინამოს" ხელმძღვანელობა შეეცვალა. პრეზიდენტის პოსტი დატოვა **სულხან გოგიბერიძემ**, მის ნაცვლად კი ახალგაზრდა **ოთარ ფედიჩკინი** აირჩიეს. როგორც შევიტყვეთ, კლუბი 90 წლის იუბილის ალსანიშნავად ემზადება. ბათუმელებს ამბიციური გეგმები აქვთ. აი, რას ამბობს **ბექა კვიციანი**, რომელიც ამავე დროს ფუტსალის კავშირის დამფუძნებელია და ევროპასა თუ ამერიკაში სოლიდური კავშირებიც აქვს:

"ოთარ ფედიჩკინთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მაქვს. ვუთხარი, რომ მზად ვარ, ბათუმის "დინამოს" იუბილისთვის რომელიმე კლუბის ჩამოყვანაში დავეხმარო. ბოლო დღეების განმავლობაში დაველაპარაკე რამდენიმე სერიოზული კლუბის ხელმძღვანელს, რომლებიც ბათუმში ჩამოსვლით დაინტერესდნენ. ოპერატიულად გამოგვეხმაურა ამერიკულ MLS-ში მოასპარეზე "დი-სი იუნაიტედის" უფროსობა. ჯერ კიდევ ამერიკაში ცხოვრების პერიოდიდან ამ ვაშინგტონურ კლუბთან გარკვეჯერჯერობით კი ის ვიცი, რომ 20 დეკემბერს ბათუმს საკმაოდ ძლიერი გუნდი ესტუმრება".

ამ ყველაფრის გარდა, საინტერესოა ისიც, რომ ნიჭიერი ბავშვების მოსაძიებლად, ბათუმის "დინამომ" თბილისურ საფეხბურთო სკოლა "გრანდთან" თანამშრომლობა გადაწყვიტა:

"შეხვედრა გიორგი შანიძის ინიციატივით შედგა. ეს ახალგაზრდა კაცი სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია და რომ იცოდეთ, უფულოდ უზარმაზარი საქმე გააკეთა. მან და მისმა თანამოაზრეებმა მოაწყვეს მოედნები და ისანი-სამგორის რაიონში მცხოვრებ 150 ბავშვს უფულოდ ავარჯიშებენ, სამომავლოდ კი II ლიგაში სურთ კლუბის გაყვანა. ოთარ ფედიჩკინი და "დინამოს" ხელმძღვანელები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე როგორც საბავშვო, ისე ძირითადი გუნდების დონეზე. სავარაუდოდ, ბათუმის "დინამოს" იუბილისთვის მზადებასაც ერთად წარმართავენ. თბილისში სასელექციო მუშაობას, "გრანდთან" ერთად, გელა შეყილაძე წარმართავს. ამის შემდეგ საუბარი უკვე ფუტსალსაც შეეხო. ბატონმა ოთარ-



ოთარ ფედიჩკინი

ული ურთიერთობა მაკავშირებს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს გერმანულ "მაინცთან", პორტუგალიურ და სხვა ცნობილ ევროპულ კლუბებთან. ბათუმის "დინამოს" იუბილის აღნიშვნა 20 დეკემბერსაა დაგეგმილი. მაგრამ ეს მაინც სავარაუდო თარიღია, კონკრეტულ დღეს მალე დაასახელებენ. ამავე დროს, არ გამოვრიცხავ, იუბილეს წარსულში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი ჟოაო პინტუც დაესწროს. მას ორიოდე დღის წინ დავუკავშირდი და მითხრა, რომ აუცილებლად გადახედავს სამუშაო კალენდარს და თუ მატჩი მისთვის სასურველ დღეს გაიმართება, სიამოვნებით ჩამოვა. ველაპარაკე ასევე ცნობილ მომღერალს კეტი პერის. ისიც შემპირდა, რომ მექსიკური ტურნეს შემდეგ ბათუმში ჩამოსვლაზეც იფიქრებს.

მა თქვა, რომ იწონებს ფუტსალის კავშირის იდეას, რეგიონებში გუნდის დაფუძნების თაობაზე. არადა, საკლუბო ცხოვრების გამოცოცხლება მხოლოდ საფეხბურთო კლუბით შეუძლებელია, მასში უნდა იყოს გაერთიანებული ფუტსალის, კალათბურთის, რაგბის გუნდებიც. ეს ყველა კლუბს გააძლიერებს და მეტ მაყურებელსაც შესძენს".

**მალხაზ მახარაძე**, ბათუმის "დინამოს" სპორტული დირექტორი: "საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა იყო. ძალიან ბევრი საკითხი გავიარეთ და მიმაჩნია, რომ შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივა ორივე მხარისთვის მისაღები უნდა იყოს. ეს ეხება არა მხოლოდ მოთამაშეების საკითხს, არამედ იუბილის აღნიშვნასაც".

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი. II ლიგა

### დასავლეთის ზონა. I ტური

| | |
|---|---|
| მარგვეთი 2006 (ზესტაფონი)-მერცხალი 2 (ოზურგეთი) | 4:1 |
| შუქურა 2 (ქობულეთი)-კოლხეთი 2 (ხობი) | 1:1 |
| რაჭა (ამბროლაური)-ქუთაისი | 3:2 |
| საპოვნელა 2 (თერჯოლა)-ლაზიკა (ზუგდიდი) | 0:0 |
| კოლხეთი 2 (ფოთი)-სამეგრელო (ჩხოროწყუ) | 4:1 |
| საირმე (ბაღდათი)-დინამო 2 (ბათუმი) | 3:2 |

*ეგრისი (სენაკი) ისვენებს*

### აღმოსავლეთის ზონა. I ტური

**8 სექტემბერი**

ივერი (ხაშური)-ბორჯომი
საქ. უნივერსიტეტი (თბილისი)-რუსთავი
აზული (ახალქალაქი)-მარკ სტარი (თბილისი)

**9 სექტემბერი**

ფორვარდი (თბილისი)-დურუჯი (ყვარელი)
გურჯაანი-სასკო 2 (თბილისი)

**10 სექტემბერი**

არაგვი (დუშეთი)-ლიახვი (აჩაბეთი)
ივერიონი (თბილისი)-დინამო (სოხუმი)
გოლიადორი (თბილისი)-იბერია (თბილისი)

## ბ ზონა

### დინამო (ბათუმი)

| | |
|---|---|
| ივან პიცანი | 19.01.90 |
| გიგა ჟვანია | 16.01.82 |
| ვაჟა ძორიძე | 05.01.87 |
| კარენ მაკარიანი | 03.03.88 |
| ვალერიან თევდორაძე | 11.10.93 |
| ბორის მახარაძე | 08.08.90 |
| ამირან მუჯირი | 02.02.74 |
| ბესიკ ჩიმაკაძე | 24.06.88 |
| რომან ტაკიძე | 30.01.94 |
| ალექსანდრე ბაციკაძე | 30.01.90 |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 10.01.87 |
| ამირან აბუსელიძე | 16.03.93 |
| სანდრო ჟილვარია | 10.04.94 |
| დიტო ადეიშვილი | 22.06.95 |
| თორნიკე ბერიძე | 11.09.90 |
| ბექა ვარშანიძე | 01.11.93 |
| კახი თოდაძე | 15.08.91 |
| ბადრი ტეტუნაშვილი | 09.02.90 |
| გიგა კვერენჩხილაძე | 21.02.85 |
| გელა გოგიტიძე | 25.11.90 |
| გიორგი ალავიძე | 01.07.94 |
| მიხეილ ჯორბენაძე | 18.11.87 |
| სევასტი თოდუა | 13.05.76 |
| მიხეილ ალავიძე | 25.12.87 |

მთ. მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი
მწვრთნელები: ბორის გონჩაროვი, ლევან ხომერიკი
ფიზმომზადების მწვრთნელი: კახა ვაჩეიშვილი
მეკარეების მწვრთნელი: იური მამინაშვილი

### სამტრედია

| | |
|---|---|
| მიხეილ მუჯრიშვილი | 30.04.84 |
| ნიკა ბანძავა | 23.08.89 |
| ირაკლი შენგელია | 25.07.87 |
| სპარტაკ გოგია | 11.12.78 |
| მამია ჟვანია | 27.04.89 |
| გიორგი ერისთავი | 04.02.94 |
| თამაზ კიკაბიძე | 17.03.92 |
| შიო ბაბუნაშვილი | 18.02.93 |
| ავთანდილ ზაგაშვილი | 02.02.89 |
| აკაკი დვალიშვილი | 30.06.91 |
| გიორგი მემარნიშვილი | 28.03.82 |
| ბიჭიკო გედენიძე | 11.11.91 |
| ლაშა ჩალაძე | 05.11.87 |
| თორნიკე კაკუშაძე | 02.01.91 |
| ილია გამრეკლიძე | 03.12.90 |
| გიორგი გურეშიძე | 21.01.91 |
| გიორგი გოგიტიძე | 12.06.93 |
| ლევან ბაკურაძე | 18.01.86 |
| გიგა ბოხუა | 23.11.89 |
| პაპუნა პაპავა | 02.06.96 |
| გია ხვედელიძე | 22.04.96 |
| გიორგი თურმანიძე | 09.04.95 |
| ზურა ლალანიძე | 01.07.95 |
| ბიჭიკო ბახტაძე | 07.05.96 |
| გუგუნა კიკნაძე | 07.02.90 |

მთ. მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი
მოთამაშე-მწვრთნელი: ირაკლი შენგელია
მწვრთნელები: გიორგი კუტივაძე, ლერი მეგენეიშვილი

### საბურთალო (თბილისი)

| | |
|---|---|
| ოთარ გოშაძე | 13.10.97 |
| ბექა ძურდაძე | 24.01.97 |
| ილია ბეროშვილი | 02.02.96 |
| გაგი მარგველაშვილი | 30.10.96 |
| ჯემალ ტაბიძე | 18.03.96 |
| ვლადიმერ მამუჩაშვილი | 29.08.97 |
| გიორგი ხარაიშვილი | 29.07.96 |
| გიორგი ხორხელი | 05.01.96 |
| გიორგი წივილაშვილი | 24.01.97 |
| რევაზ ბარამიძე | 19.07.96 |
| გურამ გოშთელიანი | 05.01.97 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 30.01.80 |
| რევაზ გოცირიძე | 11.01.81 |
| რატი კაკიაშვილი | 15.08.97 |
| ირაკლი ბიძინაშვილი | 27.09.97 |
| ცოტნე ნადარაია | 21.02.97 |
| გრიგოლ ჩაბრაძე | 20.04.96 |
| გიორგი თევზაძე | 25.08.96 |
| ლორენცო ლარკი | 20.08.90 |
| არენ ვიანე | 21.12.93 |

მთავარი მწვრთნელი: თემურ შალამბერიძე
მწვრთნელები: დავით კევლიშვილი, ბახვა ამბიძე
მეკარეების მწვრთნელი: ლევან ჭულუხაძე

### ლოკომოტივი (თბილისი)

| | |
|---|---|
| ბაკურ საჯაია | 06.06.92 |
| გურამ ლუკავა | 14.04.95 |
| რევაზ ძიტიაშვილი | 30.05.94 |
| საბა ჩაჩანიძე | 17.05.95 |
| ლუკა რეხვიაშვილი | 26.07.95 |
| გიორგი მაკასარაშვილი | 02.02.95 |
| გივი ბაძრაძე | 17.11.93 |
| გურამ თედიაშვილი | 17.01.94 |
| ბაძარ ბახტაძე | 08.01.95 |
| ბონდო მიხელიძე | 22.05.95 |
| ზურაბ ჯალაღანია | 03.11.95 |
| გიგა გურეშიძე | 28.07.95 |
| ლუკა ზარანდია | 17.02.96 |
| დაჩი ცნობილაძე | 28.01.94 |
| დათო მიქავა | 01.08.93 |

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცრაძე
მწვრთნელები: თეიმურაზ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჭანტურია

### სტუ (თბილისი)

| | |
|---|---|
| ალექსანდრე ბილიხოძე | 1988 |
| კახა კახაბრიშვილი | 1993 |
| ზურაბ ჭავჭავაძე | 1992 |
| ნიკა მაღრაძე | 1992 |
| ნიკა ბიწკინაშვილი | 1993 |
| გიორგი ვაშაკიძე | 1992 |
| ოთარ გაგნიძე | 1992 |
| ლევან საბაძე | 1992 |
| ივანე გოგატიშვილი | 1988 |
| გიორგი თვალავაძე | 1991 |
| გიორგი ჯიშკარიანი | 1988 |
| დავით კოხრეიძე | 1994 |
| ერეკლე ხაჭვანი | 1991 |
| ვალერი როგაძიძე | 1995 |
| ლევან ჯიძიძე | 1986 |
| გივი არახამია | 1992 |
| ავთანდილ ლაცაბიძე | 1991 |
| დათო ძიმერიძე | 1992 |
| ჯაბა კოლუა | 1990 |

მთ. მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი
მწვრთნელი: ოლეგ კასოევი

### სასკო (თბილისი)

| | |
|---|---|
| ანდრე ნონოსი | 04.08.91 |
| გიორგი პაპუნაშვილი | 21.06.93 |
| გოგა ჩუბინიძე | 23.07.91 |
| თორნიკე ძორჩილაძე | 08.09.93 |
| გოდერძი მაჩაიძე | 17.07.92 |
| გიორგი სალია | 19.03.93 |
| გურამ შეწირული | 22.12.90 |
| სანდრო მიქაუტაძე | 09.03.92 |
| გიორგი კვარაცხელია | 25.05.93 |
| ოთარ არველაძე | 03.01.92 |
| ირაკლი იბრაგიმოვი | 26.01.94 |
| ტია ბორეგა | 09.06.84 |
| დავით აბესაძე | 04.11.93 |
| ილია ძავთარაძე | 22.03.90 |
| თორნიკე მოგელაძე | 21.04.93 |
| თედო გაფრინდაშვილი | 10.05.93 |
| გოგი ნანავა | 07.04.94 |
| დავით კუჭუხიძე | 19.12.93 |
| გიორგი ბერიშვილი | 07.11.90 |
| არიკ ეგიაზარიანი | 25.08.93 |
| ლაშა ბრაჭული | 29.03.93 |
| ლევან მაჭავარიანი | 17.08.90 |

მთ. მწვრთნელი: თენგიზ კაცია
მწვრთნელები: შალვა კვარაცხელია, დავით კაცია

### ჭიათურა

| | |
|---|---|
| გიორგი ბადურაშვილი | 14.08.82 |
| გიორგი ძირია | 10.05.83 |
| ირაკლი ზაბახიძე | 14.11.84 |
| იმედა ტყეშუჩავა | 16.01.86 |
| ლაშა ცუცქირიძე | 20.02.89 |
| ზაურ ხაჭიპერაძე | 19.09.86 |
| დავით სევასტოპულო | 10.08.82 |
| ალექსანდრე ბაგლიძე | 25.04.94 |
| ნიკა გაფრინდაშვილი | 28.05.88 |
| საბა გაბაძე | 14.11.95 |
| დავით შეყილაძე | 06.02.82 |
| გიორგი მეცხოვრიშვილი | 09.07.90 |
| გივი სამყურაშვილი | 30.10.95 |
| დავით ციცხვაია | 30.11.83 |
| თეიმურაზ ხარებავა | 08.06.87 |
| ირაკლი ცერცვაძე | 18.05.92 |
| ბესიკ ბარბაქაძე | 17.11.92 |
| ზვიად ჯაფარიძე | 03.03.94 |
| გიორგი ბარბაქაძე | 06.05.89 |
| ლევან კუჭაშვილი | 02.11.94 |
| ილია სარალიძე | 13.05.88 |
| გიორგი კაპანაძე | 23.11.94 |

მთ. მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი
მწვრთნელი: ამირან გაჩეჩილაძე

### სამგურალი (წყალტუბო)

| | |
|---|---|
| იორამ კუჭუხიძე | 28.06.85 |
| ლევან გორდეზიანი | 23.03.88 |
| ბესიკ ხაჭიპერაძე | 19.11.84 |
| თეიმურაზ ჯანაშია | 06.01.92 |
| მიხეილ ჩხარტიშვილი | 11.12.83 |
| ბექა ბიბილაშვილი | 23.09.87 |
| ზვიად ჩხეტიანი | 17.10.83 |
| გიორგი ხარაბაძე | 20.03.92 |
| ავთანდილ მეტონიძე | 12.01.89 |
| გიორგი ბუხაიძე | 09.12.91 |
| გიორგი თევდორაძე | 23.11.91 |
| ზვიად კუხალაშვილი | 17.12.88 |
| ხვიჩა უგრეხელიძე | 16.07.89 |
| ალეკო ფანცხავა | 24.10.93 |
| ბექა ფანცხავა | 03.04.95 |
| ირაკლი ხვადაგიანი | 17.06.90 |
| გივი კოხრეიძე | 24.09.96 |
| ზურაბ სალინაძე | 07.04.92 |
| გიგა ამბროლაძე | 28.12.93 |
| ლევან ყიფიანი | 14.01.92 |
| უშანგი ბანძელაძე | 09.02.93 |
| ლაშა ხაჭაპურიძე | 11.06.92 |
| ლაშა ნავერიანი | 22.04.90 |
| თენგიზ ბრეგვაძე | 15.03.95 |

მთ. მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი
მწვრთნელები: თედო ფესტვენიძე, ოთარ ბობოხიძე

### კოლხეთი (ხობი)

| | |
|---|---|
| ლევან ჭურღულია | 20.06.89 |
| ვაგნერ ფირცხელავა | 28.01.88 |
| გელა ლომაია | 24.01.86 |
| დავით ჭითანავა | 02.04.82 |
| თორნიკე ლლონტი | 26.06.89 |
| ოთარ ფიფია | 06.09.85 |
| რობერტ ჩიტაია | 16.02.88 |
| გიორგი გოგენია | 01.01.86 |
| კოტე გოგენია | 04.05.88 |
| ცოტნე ბუკია | 03.01.90 |
| ლევან ვართაგავა | 10.08.81 |
| პაპუნა გაბრავა | 05.07.90 |

მთ. მწვრთნელი: ლევან ნოდია
მწვრთნელები: კალისტრატე ხურცილავა, მამუკა გაბრავა, ალექსანდრე სანაია

### სულორი (ვანი)

| | |
|---|---|
| დავით ხურციძე | 15.07.87 |
| ნოდარ გიორგაძე | 11.03.91 |
| ლევან გაბუნია | 19.08.91 |
| ბექა სულაბერიძე | 15.08.93 |
| გიგა ნიკოლეიშივლი | 10.03.91 |
| ამირან როხვაძე | 29.06.93 |
| ბექა ბელქანია | 01.07.92 |
| ანზორ მაღლაკელიძე | 10.09.93 |
| თორნიკე მაღლაკელიძე | 04.02.91 |
| გიორგი თევზაძე | 25.02.94 |
| თემურ მატარაძე | 01.09.95 |
| გიორგი ბრეგვაძე | 23.04.94 |
| თამაზ ძაგნიძე | 25.01.93 |
| მიხეილ ნაფეტვარიძე | 19.01.95 |
| ნიკა გიორგაძე | 13.10.91 |
| დავით ივანიაძე | 16.12.93 |
| გიორგი ბალდავაძე | 06.05.95 |
| გიორგი ფირანიშვილი | 21.09.91 |
| დავით გაგნიძე | 17.03.89 |

მწვრთნელები: გიზო ბრეგვაძე, ვახტანგ ლალაძე

### ბეთლემი (ქედა)

| | |
|---|---|
| არჩილ მაძაცარია | 19.03.92 |
| გურამ ნათენაძე | 17.01.89 |
| თორნიკე ჩადუნელი | 04.04.91 |
| რომა ძოგულაძე | 29.11.87 |
| ბექა კახიძე | 03.02.95 |
| გელა ძობალია | 06.01.83 |
| ირაკლი ბარამიძე | 17.08.86 |
| ირაკლი ნაჭყებია | 29.10.86 |
| ბექა ჯუგაშვილი | 06.10.92 |
| ელიზბარ ერძომაიშვილი | 14.12.93 |
| გიორგი კახიანი | 07.12.92 |
| მალხაზ ბერიძე | 17.02.93 |
| გიორგი შავლაძე | 07.11.91 |
| კახა გორგაძე | 08.02.92 |
| მინდია აბულაძე | 14.09.85 |
| ირაკლი სამნიძე | 15.09.94 |
| სულხან ბასილაძე | 19.04.94 |
| ირაკლი ბოლქვაძე | 12.05.90 |
| ირაკლი ჩხაიძე | 18.06.91 |
| ლაშა ნინიკაშვილი | 23.10.88 |
| ლევან ძანთარია | 05.07.91 |
| არჩილ ფარტენაძე | 07.08.87 |

მთ. მწვრთნელი: ემზარ იმნაძე
მწვრთნელი: გოგიტა ჯაბნიძე
მოთამაშე-მწვრთნელი: არჩილ ფარტენაძე

### დილა 2 (გორი)

| | |
|---|---|
| დევი გაბიჩვაძე | 01.04.94 |
| კონსტანტინე ლალანიძე | 03.02.94 |
| ლაშა მანაგაძე | 11.11.94 |
| გოჩა კვარაცხელია | 14.11.95 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | 06.05.95 |
| ლუკა მაღრაძე | 22.10.94 |
| კახა მელაშვილი | 01.10.94 |
| ილია კერძევაძე | 19.01.96 |
| ლევან შენგელია | 27.10.95 |
| ლაშა ძოხლაძე | 22.08.95 |
| ალიკო ჩაკვეტაძე | 28.03.95 |
| ირაკლი ბერიძე | 26.01.95 |
| გიორგი ბერიძე | 12.05.97 |
| გიორგი ხარებაშვილი | 22.08.96 |
| გიორგი ჩარექაშვილი | 01.07.95 |
| გიორგი კაშია | 29.07.95 |
| მურადი აფხაზავა | 02.02.95 |
| ცოტნე ძეგურია | 24.02.95 |
| გიორგი ჯაყელი | 23.01.94 |
| ნიკა გაგელია | 22.11.94 |
| საბა ცაბუტაშვილი | 15.05.94 |

მწვრთნელები: გუბაზ დოლიძე, გიორგი ცისკაძე

### მაჭახელა (ხელვაჩაური)

| | |
|---|---|
| გიორგი რომანაძე | 20.05.92 |
| შოთა მამინაშვილი | 30.08.86 |
| ნიკა შონია | 14.10.91 |
| გიორგი ჩხიკვიშვილი | 25.02.93 |
| გელოდი ფალავანდიშვილი | 15.07.91 |
| გოჩა მალაყმაძე | 10.03.86 |
| ლაშა კალანდაძე | 07.01.91 |
| ლაშა რამიშვილი | 30.01.90 |
| ირაკლი კუტალია | 27.02.86 |
| ალექსანდრე ლორია | 04.10.91 |
| გია გოგიტიძე | 27.12.91 |
| დავით ბერუაშვილი | 21.09.89 |
| შაქრო დუმბაძე | 21.17.99 |
| ალექსანდრე ლაბაძე | 21.03.90 |
| ირაკლი ლოლობერიძე | 29.10.94 |
| ნიკა ძორიძე | 12.10.92 |
| დავით დოლიძე | 10.02.94 |
| ზეზვა ანანიძე | 08.08.87 |
| ლერი ხოხონიშვილი | 15.12.87 |

მთ. მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე
მწვრთნელები: სიმონ ზაქარაძე, ბადრი ცისკარაძე

### ბახმარო (ჩოხატაური)

| | |
|---|---|
| გიორგი კუჭავა | 12.04.93 |
| ლევან ძნელაძე | 15.04.88 |
| კობა კალანდაძე | 15.07.90 |
| გიორგი შათირიშვილი | 08.09.88 |
| დათო სიხარულიძე | 07.10.88 |
| ლევან ნაკაშიძე | 07.04.88 |
| მამუკა გიორგაძე | 13.03.95 |
| სანდრო შონია | 14.08.89 |
| ლაშა ცენტერაძე | 22.03.87 |
| ხვიჩა დიდია | 08.08.91 |
| შალვა გიორგაძე | 08.09.88 |
| გიორგი ჟღენტი | 30.01.92 |
| ჯონი ლოლუა | 26.07.90 |
| დავით ჩაჩუა | 14.04.92 |
| მურმან ახოზაძე | 19.01.92 |
| სულეიმან დოსო | 30.08.93 |
| პატრიკ ანტვი | 14.04.90 |

მთ. მწვრთნელი: გრიშა თოდრია
მწვრთნელები: ბესო გიორგაძე, რამაზ უჯმაჯურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. ევროპა. საკვალიფიკაციო მატჩები

# სენსაციების დღე ევროპაში


იტალიამ ჯილარდინოს გოლით მოიგო

გუშინ მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებში ძალიან საინტერესო ანგარიშები დაფიქსირდა. მოგეხსენებათ, **თემურ ქეცბაიას** გუნდმა 2 ქულა დააკარგვინა საფრანგეთის ნაკრებს და ამით ესპანელები ძალიან მიაახლოვა სანუკვარ საგზურთან - „ფურია როხას" მუნდიალამდე მოგება აშორებს. თუმცა სხვა ჯგუფებშიც ბევრი საინტერესო ვიხილეთ.

„სკუადრა აძურამ" ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო ბულგარეთის გუნდს, გამარჯვების გოლი კი **ალბერტო ჯილარდინოს** ანგარიშზეა. უკრაინის ნაკრებმა 9:0 მოსრა ევროპის უსუსტესი გუნდი სან მარინოს ნაკრები. ინგლისის ნაკრებმაც დიდი ანგარიშით დაამარცხა მეტოქე და პირველი ადგილი შეინარჩუნა ჯგუფში. დიდი სენსაცია შემოგვთავაზა სომხეთის ნაკრებმა, რომელმაც სტუმრად ჩეხეთი დაამარცხა, ჰოლანდიამ პირველი ქულები ესტონეთთან დაკარგა, ის კი არა, ბოლო წუთზე პენალტის წყალობით დაუძვრა მარცხს. შვეიცარიამ და ისლანდიამ 4-4 ბურთი გაუტანეს ერთმანეთს, ნამდვილი დრამა ვიხილეთ ბელფასტში, სადაც **კრიშტიანო რონალდოს** ჰეთთრიკის წყალობით პორტუგალიამ ჩრდილოეთ ირლანდიას 4:2 მოუგო.

## A ჯგუფი

### მაკედონია-უელსი 2:1

**გოლები:** 1:0 ტრიჩკოვსკი (20), 1:1 რამსი (39-პენ.), 2:1 ტრაკოვსკი (80).

**მაკედონია (4-3-2-1):** პაჩოვსკი - გეორგიევსკი (77. ლაზევსკი), შიკოვი, ნოვესკი, რისტოვსკი - გლიგოროვი, იბრაიმი (61. ტრაკოვსკი), ტასევსკი - ტრიჩკოვსკი, პანდევი - კოსტოვსკი (86. მოისოვი).

**უელსი (4-3-2-1):** მაილი - გუნტერი, ა. ვილიამსი, რიკეტსი, დეივისი - კოლისონი (79. მატეუსი), ვაუგანი (85. ვოკესი), ლედლი - ი. ვილიამსი (82. კროფტსი), რამსი - ბელამი.

**მაყურებელი:** 13 000

### სერბეთი-ხორვატია 1:1

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (53), 1:1 მიტროვიჩი (66).

**სერბეთი (4-2-3-1):** სტოიკოვიჩი - სუბოტიჩი, ივანოვიჩი, ნასტასიჩი, კოლაროვი - ფესა, მატიჩი - ტოშიჩი (56. სულეიმანი), დორდევიჩი (56. ტადიჩი), მარკოვიჩი (79. პეტროვიჩი) - მიტროვიჩი.

**ხორვატია (4-2-3-1):** პლეტიკოშა - ჩორლუკა, სრნა, სიმუნიჩი, ლოვრენი - ვუკოევიჩი, მოდრიჩი - და სილვა (64. კოვაჩიჩი), ოლიჩი (57. პერიშიჩი), რაკიტიჩი (77. იელავიჩი) - მანჯუკიჩი.

**მაყურებელი:** 35 000

### შოტლანდია-ბელგია 0:2

**გოლები:** 0:1 დეფური (38), 0:2 მირალასი (88).

**შოტლანდია (4-4-1-1):** მარშალი - ჰატონი, მარტინი, ჰენლი, ვითეკერი - ფორესტი (86. მაკკორმაკი), ბრაუნი, მულგრიუ, სნოდგრასი (59. ანია) - მელოუნი - გრიფისი (68. როდესი).

**ბელგია (4-5-1):** კურტუა - ვან ბუიტენი, ლომბერტსი (77. პოკანიოლი), ვერტონენი, ალდერვეირელდი - ფელაინი (68. მირალასი), ვიტსელი, დეფური (87. დემბელე), დე ბრუინე, ჩადლი - ბენტეკე.

**მაყურებელი:** 36 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 8 | 7 | 1 | 0 | 15-2 | 22 |
| 2. ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 11-5 | 17 |
| 3. სერბეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-10 | 8 |
| 4. მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 5-8 | 7 |
| 5. უელსი | 7 | 2 | 0 | 5 | 7-16 | 6 |
| 6. შოტლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 4-11 | 5 |

**10 სექტემბერი**

მაკედონია-შოტლანდია
უელსი-სერბეთი

## B ჯგუფი

### ჩეხეთი-სომხეთი 1:2

**გოლები:** 0:1 მკრტიჩიანი (31), 1:1 როსიცკი (70), 1:2 გაზარიანი (90).

**ჩეხეთი (4-2-3-1):** ჩეხი - ლიმბერსკი (65. სუჩი), სივოკი, კადლეცი, გებრე სელასი - ჟირანეკი (62. ვანეკი), ჰუსბაუერი - რაბუსიჩი, პლასილი (55. კოლარი), როსიცკი - კოზაკი.

**სომხეთი (4-2-3-1):** ბერეზუცკი (69. კასპაროვი) - არზუმანიანი, ჰაროიანი, ქოიანი, ჰოვანესიანი (76. პიზელი) - მკრტიჩიანი, იედიგარიანი - ოზბილისი (28. ჰაირაპეტიანი), გაზარიანი, მხითარიანი - მოვსისიანი.

### მალტა-დანია 1:2

**გოლები:** 0:1 ანდრეასენი (2), 1:1 ფაილა (38), 1:2 კამილერი (52-საკ. კარში).

**მალტა (4-3-2-1):** ჰაბერი - კამილერი, აგიუსი, ფაილა, ერერა (89. კოენი) - შიბერასი, მინტოფი (75. ფენეჩი), შემბრი - მუსკატი, ბრიფა - მიფსუდი (81. ველა).

**დანია (4-4-2):** ანდერსენი - ბოილესენი, აგერი, კიაერი, ანდრეასენი (72. სლოსი) - იაკობსენი, კვისტი, ბრაიტვაიტი (84. ფიშერი), ერიკსენი - პედერსენი, ფალკი (46. კრიონდელი).

**მაყურებელი:** 10 000

### იტალია-ბულგარეთი 1:0

**გოლი:** 1:0 ჯილარდინო (38).

**იტალია (4-3-2-1):** ბუფონი - აბატე (80. მაჯო), ბონუჩი, კიელინი, ანტონელი (63. ასტორი) - პირლო, მოტა, დე როსი - ინსინიე (64. ჯაკერინი), კანდრევა - ჯილარდინო.

**ბულგარეთი (4-5-1):** მიხაილოვი - ვ. მინევი, ბოდუროვი, ივანოვი, ი. მინევი - დიაკოვი (75. დელევი), პოპოვი, გაძევი, ნედელევი, მანოლევი (55. ლიევი) - ტონევი (61. ანგელოვი).

**მაყურებელი:** 28 600

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 13-4 | 17 |
| 2. ბულგარეთი | 7 | 2 | 4 | 1 | 11-5 | 10 |
| 3. ჩეხეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| 4. სომხეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-9 | 9 |
| 5. დანია | 7 | 2 | 3 | 2 | 8-10 | 9 |
| 6. მალტა | 7 | 1 | 0 | 6 | 3-16 | 3 |

**10 სექტემბერი**

სომხეთი-დანია
მალტა-ბულგარეთი
იტალია-ჩეხეთი

## C ჯგუფი

### ყაზახეთი-ფარერები 2:1

**გოლები:** 0:1 ბენიამინსენი (23), 1:2 ზუმასკიევი (50), 2:1 ფინონჩენკო (63).

**ყაზახეთი (4-4-2):** სიდელნიკოვი - ლოგვინენკო, კისლიცინი (85. ოსტაპენკო), ნურდაულეტოვი, დიმიტრენკო - ზუმასკალიევი (92. ხაირულინი), შონკო, კოროპკინი, ბოგდანოვი - ხიზნიჩენო, შიჩეტკინი (46. ფინონჩენკო).

**ფარერები (4-4-2):** ნილსენი - მაესი, დავიდსენი, ბალდვინსონი, დავიდსენი - ოლსენი, ბენიამინსენი, ჰანსონი (81. ვატნსდალი), ჰოლსტი - ედმუნდსონი (81. კლეტსკარდი), მოურიტსენი.

**მაყურებელი:** 7 000

### გერმანია-ავსტრია 3:0

**გოლები:** 1:0 კლოზე (33), 2:0 კროოსი (51), 3:0 მიულერი (88).

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - მერტეზაკერი, ბოატენგი, შმელცერი (46. ჰიოვედესი), ლამი - ხედირა, კროოსი - მიულერი, როისი (92. დრაქსლერი), იოზილი - კლოზე (82. ბენდერი).

**ავსტრია (4-2-3-1):** ალმერი - დრაგოვიჩი, პოგატეცი, ფუჩსი, გარისი (78. კლეინი) - კავლაკი, ალაბა - არნაუტოვიჩი (68. ბაუნგარტლინგერი), ჰარნიკი, ივანშიჩი (67. ბურგშტალერი) - ვეიმანი.

**მაყურებელი:** 68 000

### ირლანდია-შვედეთი 1:2

**გოლები:** 1:0 კინი (22), 1:1 ელმანდერი (33), 1:2 სვენსონი (57).

**ირლანდია (4-4-2):** ფორდე - ოში, დანი, ვილსონი, კოულმანი - მაკარტნი, ველანი, მაკკლინი (74. ფიკინგტონი), ვოტერსი (68. კოკსი) - ლონგი, კინი.

**შვედეთი (4-4-2):** ისაკსონი - ანტონსონი, ნილსონი, ლუშტიგი (64. იოჰანსონი), მ. ოლსონი - ეკდალი, სვენსონი (68. ვენბლუმი), ლარსონი, კაჩანიკლიჩი - ელმანდერი (92. ი. ოლსონი), იბრაჰიმოვიჩი.

**მაყურებელი:** 49 500

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 25-7 | 19 |
| 2. შვედეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 14 |
| 3. ავსტრია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-8 | 11 |
| 4. ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 11 |
| 5. ყაზახეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-16 | 4 |
| 6. ფარერები | 7 | 0 | 0 | 7 | 3-22 | 0 |

**10 სექტემბერი**

ყაზახეთი-შვედეთი
ფარერები-გერმანია
ავსტრია-ირლანდია

## D ჯგუფი

### თურქეთი-ანდორა 5:0

**გოლები:** 1:0 უმუთ ბულუთი (35), 2:0 უმუთ ბულუთი (39), 3:0 ბურაქ ილმაზი (64), 4:0 უმუთ ბულუთი (68), 5:0 არდა თურანი (90)

**თურქეთი** (4-4-2): ვოლქან დემირელი - გიოქჰან გონული, სემიჰ ქაია, ომერ თოფრაქი, ერქინი - გოიქჰან თიორე (82. ჩალჰანოღლუ), ნური შაჰინი (65. შაჰანი), მეჰმეთ თოფალი, არდა თურანი - ბურაქ ილმაზი (78. ფოთუქი), უმუთ ბულუთი

**ანდორა** (4-4-2): ფერან პოლი - ემილი გარსია, მარკ გარსია, სან ნიკოლასი, კ. მარტინესი - ი. ლორენსო (61. მ. ვიეირა), ხ. აიალა (80. პეპე), ი. ლიმა, მ. ვალესი - ს. გომესი (69. რიერა), პუიოლი

**მაყურებელი:** 29 000

### რუმინეთი-უნგრეთი 3:0

**გოლები:** 1:0 მარიკა (2), 2:0 პინტილი (31), 3:0 ტანასე (88)

**რუმინეთი** (4-4-1-1): ტატარუშანუ - მატელი, გოიანი, ჩირიჩეში, რაცი - ტორიე (58. ტანასე), პინტილი, ბურჩეანუ, მაქსიმი (64. ა. პოპა) - სტანჩუ - მარიკა (79. ჰობანი)

**უნგრეთი** (4-4-1-1): ბოგდანი - გუზმიში, კადარი, ლიპტაკი, ვანჩაკი - ჯუჯაკი, კომანი (85. შაბიჩი), ვარგა (68. ლოვრენჩიჩი), კორჩმარი (34. ჰაინალი) - ბოდე - სალაი

**მაყურებელი:** 45 000

### ესტონეთი-ჰოლანდია 2:2

**გოლები:** 0:1 რობენი (2), 1:1 ვასილიევი (18), 2:1 ვასილიევი (57), 2:2 ვან პერსი (90-პენ)

**ესტონეთი** (4-4-1-1): პარეიკო - კრუგლოვი, კლავანი, პიროია, იაგერი - ლინდპერე (85. კამსი), ვუნკი, დმიტრიევი, ოიამა (90. რეინტამი) - ვასილიევი - ანიერი (56. ზენიოვი)

**ჰოლანდია** (4-3-3): ვორმი - იანმაატი, დე ვრეი (67. ბრუმა), მარტინს ინდი, ვილემსი (75. ჯ. დე გუზმანი) - სტროოტმანი, სნეიდერი, სხაარსი - რობენი, ლენსი (67. კუიტი), ვან პერსი

**მაყურებელი:** 9 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 6 | 1 | 0 | 22-4 | 19 |
| 2. რუმინეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-10 | 13 |
| 3. უნგრეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-11 | 11 |
| 4. თურქეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-7 | 10 |
| 5. ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-11 | 7 |
| 6. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 0-22 | 0 |

**10 სექტემბერი:**

რუმინეთი-თურქეთი
უნგრეთი-ესტონეთი
ანდორა-ჰოლანდია

## E ჯგუფი

### ნორვეგია-კვიპროსი 2:0

**გოლები:** 1:0 ელიუნუსი (43), 2:0 კინგი (66)

**ნორვეგია** (4-3-3): იარსტეინი - ბიორდალი, ს. იოჰანსენი (75. რ. იენსენი), ჰოგლი, რუუდი - ეიკრემი, ჰანგელანდი, გაში - ბრაატენი (81. სოდერუნდი), ელიუნუსი (64. კინგი), აბდელაუე.

**კვიპროსი** (4-4-1-1): გეორგალიდესი - ტეოფილუ, მერკისი, დოსა ჟუნიორი, ალექსანდრუ - ხარალამბიდისი (54. დემეტრიუ), დობრაშინოვიჩი (73. არტიმატასი), ნიკოლაუ (52. სოტერიუ), ლაბანი - ალონეფტისი - მიტიდისი

**მაყურებელი:** 11 295

### შვეიცარია-ისლანდია 4:4

**გოლები:** 0:1 ი. გუდმუნდსონი (3), 1:1 ლიხტშტაინერი (15), 2:0 შერი (27), 3:1 ლიხტშტაინერი (30), 4:1 ჯემაილი (54-პენ), 4:2 სიგტორსონი (56), 4:3 ი. გუდმუნდსონი (68), 4:4 ი. გუდმუნდსონი (90)

**შვეიცარია** (4-2-3-1): ბენალიო - ლიხტშტაინერი, ფონ ბერგენი, შერი, რ. როდრიგესი - ბეჰრამი, ჯემაილი - შაჩირი (89. ტ. კლოზე), ჯაკა (76. დრმიჩი), შტოკერი (79. ბარნეტა) - სეფეროვიჩი

**ისლანდია** (4-2-3-1): ჰალდორსონი - სევარსონი (82. ო. სკულასონი), რ. სიგურდსონი, არნასონი, ა. სკულასონი - გუნარსონი, დანიელსონი (46. ე. გუდიონსენი) - ბიარნასონი, გ. სიგურდსონი, ი. გუდმუნდსონი - სიგტორსონი

**მაყურებელი:** 31 000

### სლოვენია-ალბანეთი 1:0

**გოლი:** 1:0 კამპლი (19)

**სლოვენია** (4-3-2-1): ს. ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, ილიჩი, კელჰარი, იოკიჩი - ბირსა (74. მერტელი), კამპლი (90. ლიუბიანჩიკი), კურტიჩი - კრჰინი, კირმი - ნოვაკოვიჩი (83. მატავუჟი)

**ალბანეთი** (4-3-2-1): ბერიშა - კაჩე, კანა, ტელი, აგოლი - ბულკუ (53. სალიჰი), როში, ბაშა (80. აბრაში) - რამა, ლილა - ჩანი (71. მეჰმეტი)

**მაყურებელი:** 15 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 7 | 4 | 3 | 0 | 12-5 | 15 |
| 2. ნორვეგია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 3. ალბანეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 10 |
| 4. ისლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 12-13 | 10 |
| 5. სლოვენია | 7 | 3 | 0 | 4 | 9-10 | 9 |
| 6. კვიპროსი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-11 | 4 |

**10 სექტემბერი:**

ნორვეგია-შვეიცარია
კვიპროსი-სლოვენია
ისლანდია-ალბანეთი

## F ჯგუფი

### რუსეთი-ლუქსემბურგი 4:1

**გოლები:** 1:0 კოკორინი (1), 2:0 კოკორინი (36), 3:0 კერჟაკოვი (59), 3:1 იოაკიმი (90), 4:1 სამედოვი (90)

**რუსეთი** (4-4-2): აკინფეევი - გრანატი, კოზლოვი, იგნაშევიჩი, დ. კომბაროვი - ბისტროვი (68. სამედოვი), დანისოვი, შიროკოვი (82. რიაზანცევი), ფაიზულინი - კოკორინი (46. იონოვი), კერჟაკოვი

**ლუქსემბურგი** (4-3-3): ჟუბერი - იენიში, გერსონი (66. პეტერსი), ფილიპსი, ლატერზა - პაიალი, ტურპელი (60. ბასტოსი), იანსი - იოაკიმი, ალვეშ და მოტა, ბენსი (77. ლუისი)

**გაფრთხილება:** - პაიალი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 13-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 25 000

### ჩრდ. ირლანდია-პორტუგალია 2:4

**გოლები:** 0:1 ბრუნო ალვეში (21), 1:1 მაკოლი (36), 2:1 უორდი (52), 2:2 კრიშტიანო რონალდო (68), 2:3 კრიშტიანო რონალდო (77), 2:4 კრიშტიანო რონალდო (83)

**ჩრდ. ირლანდია** (4-4-2): რ. კეროლი - ჯ. ევანსი, მაკოლი, ფერგიუსონი (76. ბეირდი), ჰოდსონი - ბრანტი, პატერსონი, ს. დევისი, მაკგინი (67. ლაფერტი) - უორდი (71. კ. ევანსი), ნორვუდი

**პორტუგალია** (4-3-3): რუი პატრისიო - ჟოაო პერეირა, პეპე, ბრუნო ალვეში, ფაბიო კოენტრაო - მიგელ ველოზო, ჟოაო მოუტინიო, რაულ მეირელეში (55. ნანი) - ვიეირინია (65. ნ. ოლივეირა), ელდერ პოშტიგა, კრიშტიანო რონალდო (90. რუბენ ამორიმი)

**გაძევება:** ელდერ პოშტიგა (43. პორტუგალია), ბრანტი (61. ჩრდ. ირლანდია), ლაფერტი (80. ჩრდ. ირლანდია)

**მაყურებელი:** 20 000

**7 სექტემბერი**

ისრაელი-აზერბაიჯანი 21:45

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-8 | 17 |
| 2. რუსეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 12-3 | 15 |
| 3. ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 3 | 3 | 6-11 | 6 |
| 5. აზერბაიჯანი | 7 | 0 | 4 | 3 | 3-9 | 4 |
| 6. ლუქსემბურგი | 7 | 0 | 3 | 4 | 4-17 | 3 |

**10 სექტემბერი:**

რუსეთი-ისრაელი
ლუქსემბურგი-ჩრდ. ირლანდია

## G ჯგუფი

### ლატვია-ლიტვა 2:1

**გოლები:** 1:0 ბულვიტისი (20), 2:0 ზიუზინსი (42), 2:1 მატულევიჩიუსი (44)

**ლატვია (4-4-2):** ვანინში - ბულვიტისი, გორკსი, მაკსიმენკო, სინელნიკოვსი - რუგინსი (74. ლაზდინსი), ზიუზინსი (64. ცაუნია), ლაიზანსი, გაბოვსი - რუდნევსი (93. როდე), საბალა.

**ლიტვა (4-4-2):** კარჩემარსკასი - მიკუცკისი, კიანსკასი, სტანკევიჩიუსი, ვიჩიუსი - კალონასი (86. ე. ჩესნაუსკასი), პანკა, მიკოლიუნასი (73. რაზულისი), ნოვიკოვასი (50. დ. ჩესნაუსკასი ) - მატულევიჩიუსი, შერნასი.

**მაყურებელი:** 7 300

### ბოსნია-სლოვაკეთი 0:1

**გოლი:** 0:1 პეკოვსკი (77)

**ბოსნია (4-1-3-2):** ბეგოვიჩი - ვრსაიევიჩი (65. ვისკა), სპაჰიჩი, ბიკაკოიჩი, სალიჰოვიჩი - პიანიჩი - მედუნიანინი (82. ჰაიროვიჩი), მისიმოვიჩი (78. სტევანოვიჩი), ლულიჩი - იბიშევიჩი, ჯეკო.

**სლოვაკეთი (4-2-3-1):** მუხა - პეკარიკი, შკრტელი, დიურიცა, ჰუბოჩანი - კუჩკა, პეკოვსკი - შესტაკი (56. იენდრიშეკი), ჰამშიკი (72. გუედი), ვეისი - ნემეჩი (86. იაკუბკო).

**მაყურებელი:** 15 000

### ლიხტენშტაინი-საბერძნეთი 0:1

**გოლი:** 0:1 მიტროგლუ (72)

**ლიხტენშტაინი (4-3-2-1):** იელე - შტოკლასა, ოერი, ფრიკი (28. ა. კრისტენი), ქუინტანსი - ნ. ჰასლერი, ვიზერი (86. ილდიზი), მ. კრისტენი (92. გუბსერი) - დ. ჰასლერი.

**საბერძნეთი (4-3-3):** კარნეზისი - ტოროსიდისი, სიოვასი, პაპასტატოპულოსი, ოლებასი - მანიატისი, კაცურანისი, ტაჩიდისი (67. კარაგუნისი) - კონე (46. ნინისი), მიტროგლუ, ხრისტოდოლოპულოსი (84. პაპადოპულოსი).

**გაძევება:** დ. ჰასლერი (66. ლიხტენშტაინი), ოლებასი (59. საბერძნეთი)

**მაყურებელი:** 2 600

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 7 | 5 | 1 | 1 | 23-4 | 16 |
| 2. საბერძნეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 8-4 | 16 |
| 3. სლოვაკეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 4. ლატვია | 7 | 2 | 1 | 4 | 8-15 | 7 |
| 5. ლიტვა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-10 | 5 |
| 6. ლიხტ. | 7 | 0 | 2 | 5 | 3-17 | 2 |

**10 სექტემბერი**

ლიტვა-ლიხტენშტაინი
სლოვაკეთი-ბოსნია
საბერძნეთი-ლატვია

## H ჯგუფი

### უკრაინა-სან მარინო 9:0

**გოლები:** 1:0 დევიჩი (11), 2:0 სელეზნიოვი (26), 3:0 ედმარი (32), 4:0 ხაჩერიდი (45), 5:0 კონოპლიანკა (50), 6:0 ხაჩერიდი (54), 7:0 ბეზუსი (63), 8:0 ფედეცკი (74), 9:0 რაკიცკი (94)

**უკრაინა (4-4-2):** პიატოვი - ფედეცკი, ხაჩერიდი, რაკიცკი, შევჩუკი (60. გუსევი) - იარმოლენკო (75. ხომჩენოვსკი), ტიმოშჩუკი (60.ბეზუსი ), ედმარი, კონოპლიანკა - სელეზნიოვი, დევიჩი.

**სან მარინო (4-2-3-1):** ვალენტინი - კ. ვალენტინი (57. ბოლინი), პალაცი, ფ. ვიტაიოლი, სიმონჩინი - გენგინი, კოპინი (69.ბუსკარინი ) - მ. ვიტაიოლი, ჩერველინი, გასპერონი (88. რინალდი) - სელვა.

**მაყურებელი:** 34 900

### პოლონეთი-ჩერნოგორია 1:1

**გოლები:** 0:1 დამიანოვიჩი (12). 1:1 ლევანდოვსკი (16)

**პოლონეთი (4-4-1-1):** ბორუცი - იედრჟეიჩიკი, სზუკალა, გლიკი, ვავრჟინიაკი (27. ბოენიში) - ბლაშჩიკოვსკი, კრიხოვიაკი, კლიხი, სობოტა (62.ვსჟოლეკი) - ზიელინსკი (75. მიერჟეივსკი) - ლევანდოვსკი.

**ჩერნოგორია (4-4-2):** მ. ბოჟოვიჩი - სავიჩი, ბაშა, ჯუდოვიჩი, ვ. ბოჟოვიჩი - ზვეროტიჩი, დრინჩიჩი, კრკოტიჩი (46. ვუკჩევიჩო), ბერკოვიცი - დამიანოვიჩი (86. ბეჩირაი), ვუჩინიჩი (36. კასალიკა).

**მაყურებელი:** 25 600

### ინგლისი-მოლდოვა 4:0

**გოლები:** 1:0 ჯერარდი (12), 2:0 ლამბერტი (46), 3:0 უელბეკი (46), 4:0 უელბეკი (51)

**ინგლისი (4-3-3):** ჰარტი - უოლკერი, კეჰილი, იაგიელკა, ე. კოული (45. ბეინესი) - უილშირი (60.ბარკლი ), ლამპარდი , ჯერარდი - უოლკოტი, ლამბერტი (70. მილნერი), უელბეკი.

**მოლდოვა (4-2-3-1):** ნამაშკო - ბორდიანი, ბულგარუ (58. ), არმაში, გოლოვატენკო - იონიცა (19. ), ეპურიანუ - ანტონიუკი, გეორგიევი (85. ), დედოვი - სიდორენკო.

**მაყურებელი:** 61 600

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 4 | 3 | 0 | 25-3 | 15 |
| 2. ჩერნოგორია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-8 | 15 |
| 3. უკრაინა | 7 | 4 | 2 | 1 | 19-4 | 14 |
| 4. პოლონეთი | 7 | 2 | 4 | 1 | 13-8 | 10 |
| 5. მოლდოვა | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| 6. სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0-38 | 0 |

**10 სექტემბერი**

უკრაინა-ინგლისი
სან მარინო-პოლონეთი


უელბეკმა (მარცხნივ) მოლდოვას 2 გოლი გაუტანა



● რეალი

# სხვა სიო ქრის სამეფო კლუბში

## ახალი წარმატების ფორმულა: ისკო + ბენზემა



ამ სეზონში ისკომ და ბენზემამ „რეალს“ 9-ვე ქულა მოუტანეს

**ჟოზე მოურინიოს** „რეალი“ თვალსა და ხელს შუა ქრება, **კარლო ანჩელოტი** აშკარად ახალ გუნდს აშენებს, რომელშიც მთავარი მოქმედი გმირები სხვები ხდებიან...

ყველაფერი კი „რეალის“ სატრანსფერო პოლიტიკიდან გამომდინარეა - „სამეფო კლუბი“ შეელია მთავარ მეპასეს - **მესუთ იოზილს** და ის „არსენალში“ 50 მილიონ ევროდ გაყიდა. სამაგიეროდ, „რეალმა“ ამის ორმაგ ფასში შეიძინა **გარეთ ბეილი**. „რეალმა“ იყიდა **ისკო** და გაუშვა ფორვარდი **გონსალო იგუაინი**. სხვა ცვლილებებიც იყო გუნდში, მაგრამ ეს ოთხი მთავარია. ვერ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი გაახალგაზრდავების მიზნით გაკეთდა, კვარტეტის ასაკი 21-დან 25-წლამდე ამპლიტუდაში მერყეობს (ისკოდან იგუაინამდე), საქმე უფრო სათამაშო სტილის შეცვლასთან უნდა გვქონდეს.

იოზილის წასვლით ყველაზე მეტად გუნდში **კრიშტიანო რონალდო** ალშფოთდა. მიზეზიც აქვს. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ გერმანელი ყველაზე უკეთ ამჩნევდა პორტუგალიელის გადაადგილებებს მოედანზე (როგორც თავად რონალდომ თქვა) - პირველმა სამმა ტურმა აჩვენა, რომ 28 წლის სუპერვარსკვლავი მთავარი მოქმედი გმირი არ არის და ეს ჯერ კიდევ ბეილის ათამაშებამდე!

შორს რომ არ წავიდეთ, სტატისტიკას მოვიშველიებთ: რონალდომ პირველ ორ ტურში საერთოდ ვერ გაიტანა და მხოლოდ მესამეში შეაგდო (თავით).

სამაგიეროდ, პირველ პლანზე გამოვიდა ახალი წყვილი, რომელიც „მალაგადან“ გადმოსულმა ისკომ და **ქარიმ ბენზემამ** შექმნეს. ეს სწორედ მათი დამსახურებაა, რომ „რეალი“ 9 ქულით ლიდერთა შორისაა.

I ტურში „ბეტისთან“ (2:1) ისკოს პასით „რეალის“ პირველი გოლი ფრანგმა ფორვარდმა გაიტანა. იმავე მატჩში ისკომ (**მარსელოს** პასით) თავადაც გამოიჩინა თავი. II ტურში „რეალმა“ სტუმრად 1:0 დაამარცხა „გრანადა“. გამარჯვების გოლი კრიშტიანოს უნებური პასით (ბურთი კარგად ვერ გაიჩერა) ბენზემამ გაიტანა, კომბინაციას კი ისკო იწყებდა. „ბილბაოსთან“ მატჩში ბენზემამ გაუწია ასისტენტობა ისკოს, თანაც ორჯერ! მოკლედ, „რეალის“ 6 გოლიდან 5 ამ წყვილზეა (ერთიც რონალდოზე).

ახლა ყველაზე საინტერესოა, სად ათამაშებს ანჩელოტი გარეთ ბეილს. სეზონის წინ იტალიელი ეგრეთ წოდებულ ნაძვის ხეს - 4-3-2-1 - ამუშავებდა, თუმცა ბევრი კრიტიკაც შეხვდა. შესაძლოა, ამიტომ ანჩელოტი ისევ მოურინიოსეულ 4-2-3-1-ს დაუბრუნდა. სამივე ტურში ცენტრფორვარდის პოზიციაზე რეალურად უკონკურენციოდ დარჩენილი (იგუაინის წასვლის შემდეგ) ბენზემა თამაშობდა. ორი საყრდენიდან 1 ყოველთვის **ლუკა მოდრიჩი** იყო, ორჯერ **სამი ხედირა**, ერთხელ კი ისკო. თუმცა „გრანადასთან“ მატჩის გარდა ისკომ წინა სამეულში ითამაშა, რომელშიც უცვლელი მხოლოდ რონალდო რჩებოდა, იოზილი და **ანხელ დი მარია** კი მონაცვლეობდნენ. ახლა, როცა იოზილი ლონდონში გადაბარგდა, ერთ-ერთ პოზიციაზე ალბათ ბეილს ვიხილავთ. კიდევ უფრო საინტერესო იქნება, თუკი ანჩელოტი 4-3-2-1-ს დაუბრუნდება.

მოკლედ, მე-4 ტური, რომელშიც „რეალი“ თანალიდერ „ვილიარეალს“ „ელ მადრიგალზე“ ესტუმრება, ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს. ბუნებრივია, რონალდო ვერ შეეგუება გუნდში თუნდაც მეორე კაცობას და თავისას ეცდება, ძალიან ბევრი აქვს დასამტკიცებელი უელსელ უნივერსალსაც.

### მომგებიანი რეალი

მადრიდის „რეალის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, გასული სეზონის მიხედვით „სამეფო კლუბის“ შემოსავალი 520,9 მილიონი ევროა. აქედან სუფთა მოგება 36,9 მილიონის ტოლფასია, კლუბის ვალი კი 27,4%-ით შემცირდა. წინა წელთან შედარებით შემოსავალი 1,3%-ით მეტია, ხოლო სუფთა მოგება - 52,4%-ით მეტი. მოკლედ, ესპანური ფეხბურთის გრანდი ფინანსურადაც წარმატებული ორგანიზმია.

### მორატას პოკერი

მართალია, **ალვარო მორატა** ჯერ ვერ უწევს სრულფასოვან კონკურენციას ბენზემას, მაგრამ ახალგაზრდა ესპანელმა ფრანგს ავსტრიიდან სერიოზული მესიჯი გაუგზავნა - 4 გოლის სახით. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ქვა-ქვაზე არ დატოვა ავსტრიის გუნდისგან - 6:2. მორატამ კი პოკერი შეასრულა. სხვათა შორის, ანგარიში ამ მატჩში „რეალის“ მცველმა **დანიელ კარვახალმა** გახსნა, ხოლო ავსტრიელთა რბევა კიდევ ერთმა რეალელმა **ხესემ** დაასრულა.

აქვე საინტერესო იქნება ესპანელთა შემადგენლობაც: *პაჩეკო, კარვახალი, ამატი, მუნიესა, ალბერტო, საული, სერხი რობერტო, მუნიაინი, სუსო, სარაბია, მორატა. შეცვლაზე ითამაშეს: ობიანგმა, ხესემ და ოლივერ ტორესმა.*

### ადანი ჟოზეზე ნაწყენია

2 სექტემბერს მადრიდის „რეალი“ კლუბის აღზრდილმა გოლკიპერმა **ანტონიო ადანმა** დატოვა. 26 წლის ფეხბურთელი ჯერაც დაუსაქმებელია, თუმცა მას ახლა სატრანსფერო ჩარჩო არ ზღუდავს, რადგან თავისუფალი აგენტია. ადანმა „მარკასთვის“ მცირე კომენტარი არ დაიშურა:

*„რეალში“ კარგი დროებაც მქონდა და ცუდიც. ყველაზე ცუდად მახსოვს, რომ დიეგო ლოპესის ტრანსფერის შესახებ პრესით შევიტყვე. ეს იყო ჩემი უპატივცემლობა, ჟოზე მოურინიოს უნდა ეთქვა პირადად, რომ მეკარის მოყვანას აპირებდა. როცა კასილიასმა ტრავმა მიიღო, მე თავის გამოჩენის შანსი არ მომეცა. ამას დაემატა ზოგიერთი ჟურნალისტის საქციელი, რომელთაც ჩემზე ცუდი დაწერეს. ამას აშკარად არ ვიმსახურებდი და ამიტომ წავედი“.*

### სხვა ამბები

„მარკას“ მტკიცებით, კარლო ანჩელოტიმ გადაწყვიტა სამეკარეო საკითხი. ყოველ შემთხვევაში, იანვრამდე **გო ლოპესი** ჩადგება, ხოლო **იკერ კასილიასი** ხელთათმანებს ჩემპიონთა ლიგასა და სამეფო თასზე მოირგებს. „რეალის“ ახალწვეულმა **ასიერ ილიარამენდიმ** ვარჯიშები განაახლა, ის „რეალ კასტილიასთან“ ერთად ემზადება, რადგან „სამეფო კლუბის“ 17 ფეხბურთელი სხვადასხვა ნაკრებშია გამოძახებული.

„რეალის“ ყოფილ ფეხბურთელ **გუტის** „სამეფო კლუბში“ მწვრთნელის რანგში აქვს დებიუტი - ის 14-წლამდელთა გუნდს ავარჯიშებს ალბერტო გარიდოსთან ერთად.



ალვარო მორატამ ნაკრებში პოკერი შეასრულა

● ბარსელონა

## ბარსას აკადემია იზრდება




„ბარსელონას“ ოფიციალური ვებგვერდის მტკიცებით, პირველ გუნდში ძალიან მაღალია იმ ფეხბურთელთა პროცენტული წილი, რომლებიც „ბარსას“ აკადემიის აღზრდილები არიან. 25 ფეხბურთელიდან 17 სწორედ ასეთია, რაც 68%-ის ტოლფასია, ეს კი ბოლო წლების რეკორდია.

პირველ გუნდს სეზონის წინ ახალგაზრდულიდან ოფიციალურად 4 ფეხბურთელი დაემატა: **სერხი რობერტო, ოიერი, კრისტიან ტელიო და ისააკ კვენკა.**

ალსანიშნავია, რომ 33 წლის **ჩავი ერნანდესი** უკვე 23 წელია, „ბარსელონას“ წევრია. ამ მაჩვენებლით ის პირველ გუნდში საუკეთესოა. როდესაც ჩავი „ბარსას“ აკადემიაში მიიღეს - 10 წლის იყო. სწორედ იმ წელს დაიბადნენ ტელიო, კვენკა, **ბარტრა** და **მონტოია**. გუნდის კაპიტანი **კარლეს პუიოლი** 18 წელია, „ბარსელონას“ წევრია. „ბარსას“ 17 აღზრდილიდან პირველ გუნდში, კლუბის ყველაზე ახალი წევრი **სერხი რობერტოა** (7 წელი).

● ტრანსფერები. ანალიტიკა

# ახალი რეკორდი, 2 მილიარდი ევრო ახალ ფეხბურთელებში

„CIES საფეხბურთო ობსერვატორიის“ ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ევროპის საუკეთესო ხუთმა საფეხბურთო ქვეყანამ (ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი) ჯამში 2 მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა 2013 წლის ზაფხულის სატრანსფერო სეზონში. ეს კი 2008 წლის მერე (რაც ობსერვატორია ანალიტიკას აწარმოებს) ყველაზე მაღალი თანხაა. უდიდესი ალბათობით, 2013 წლის სატრანსფერო სეზონი ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხვავრიელი იყო.

ყველაზე აქტიური ინგლისური კლუბები იყვნენ, რომელთაც ჯამში 719 მილიონი ევრო დახარჯეს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. ეს ერთი ლიგის ყველა დროის მიღწევაა. ქვეყნის რეკორდები დამყარდა საფრანგეთში (383 მლნ ევრო) და გერმანიაში (259 მლნ). ალსანიშნავია, რომ ათმა ყველაზე აქტიურმა კლუბმა ამ ზაფხულს თითქმის იმდენი დახარჯა, რამდენიც დანარჩენმა 38-მა (ტოპ-5 ლიგაში 48 კლუბია) - უფრო ზუსტად კი 49%. ესეც ახალი მიღწევაა ფეხბურთში და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სულ უფრო და უფრო მეტი სიმდიდრეა თავმოყრილი საფეხბურთო გრანდების ხელში.

თითოეულ ლიგაში სამი ტოპ გუნდი რომ ავილოთ, მათ მიერ ტრანსფერებში გადახდილი თანხა ლიგასთან მიმართებაში ლავირებს 86%-დან (საფრანგეთი) 46%-მდე (ინგლისი).

### დინამიკა

2008 წელს ტოპ ხუთეულის კლუბებმა ჯამში 1,8 მილიარი ევრო დახარჯეს ახალ ფეხბურთელებზე. 2009 წელს კი ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა - 1,9 მილიარდი. ამის შემდეგ საყოველთაო ეკონომიკურმა კრიზისმა ფეხბურთშიც იჩინა თავი და 2010 წელს ტრანსფერებზე „სულ რაღაც“ 1,3 მილიარდი დაიხარჯა. 2011-ში თანხა 1,7 მილიარდამდე გაიზარდა, თუმცა მომდევნო წელს სატრანსფერო ჯამმა 1,6 მილიარდი ევრო შეადგინა. და აი, 2013 წელს მორიგი გარღვევა - 2 მილიარდ 139 მილიონი ევრო! მთელი 540 მილიონით მეტი, ვიდრე შარშან.




ჩემპიონატების შედარებითი შკალა „ობსერვატორიის“ მიხედვით

### ჯამში

2008-2013 წლებში პრემიერლიგაში ახალი ფეხბურთელების შეძენისთვის 3,5 მილიარდი ევრო დაიხარჯა, სერია ა-ში 2,5 მილიარდი, ლა ლიგაში თითქმის 2 მილიარდი, ლიგა 1-ში 1,4 მილიარდი. ყველაზე მოკრძალებულად კი ჯიბეზე ხელი ბუნდესლიგის კლუბებმა გაიკრეს - 1,2 მილიარდი ევრო.

### პრემიერლიგა ლიდერობს

წლევანდელი მაჩვენებლები ასეთია: 719 მილიონი ევრო - პრემიერლიგა; 404 - სერია ა; 382 - ლიგა 1; 372 - ლა ლიგა და 259 - ბუნდესლიგა. როგორც ხედავთ, ესპანურ ლა ლიგას სამმა ჩემპიონატმა გაუსწრო და ეს იმის მიუხედავად, რომ სწორედ ესპანეთში გადავიდნენ **გარეთ ბეილი** (100 მილიონი ევრო) და **ნეიმარი** (57).

### ტოპკლუბების წილი

თუკი 10 ყველაზე აქტიური კლუბი 2008 წელს საერთო წილის 35%-ს ხარჯავდა, ახლა ეს მაჩვენებელი 49%-ს გაუტოლდა, თუმცა 2009 წელსაც დაახლოებით ანალოგიური მაჩვენებელი იყო (48%).

სამმა ყველაზე აქტიურმა კლუბმა წლეულს ფრანგული ბაზრის სატრანსფერო თანხის 86% დახარჯა! ლა ლიგის სამეულმა კი - 70%.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალჩიო

# ყველაფერი იტალიური ტრანსფერების შესახებ

**სანამ საფეხბურთო ევროპა სანაკრებო მატჩებმა მოიცვა და ეროვნულ ჩემპიონატებში პაუზაა გამოცხადებული, შეგვიძლია კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი იტალიურ ტრანსფერებს და გარკვეული ანალიზიც გავაკეთოთ. მაშ ასე, ყველაფერი კალჩოს 2013 წლის საზაფხულო ტრანსფერების შესახებ...**

## 5 მთავარი ტრანსფერი

**კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი - იუვენტუსი, 9 მლნ ევრო)

კარლოს ტევესმა ისე მოიარა მანჩესტერული გრანდები, რომ არც სიტიში და არც „იუნაიტედში" საკუთარი შესაძლებლობები სრულად არ უჩვენებია. გულაცრუებულს კარიერის დასრულება ჰქონდა განზრახული, როდესაც ტურინული ვარიანტი გამოუჩნდა და გადაწყვეტილებაც მყისვე მიიღო. სეზონის სტარტით თუ ვიმსჯელებთ, კარლიტოსმა სწორი არჩევანი გააკეთა და არც პიემონტელებს გადაუყრიათ ჰაერში 9 მილიონი ევრო.

**გონსალო იგუაინი** (რეალი - ნაპოლი, 37 მლნ ევრო)

თუ გონსალო იგუაინის სტატისტიკას გადავხედავთ თუნდაც მადრიდის „რეალში", ამ კაცს გოლის გატანა უდავოდ ეხერხება და სულაც არ არის გამორიცხული, ნეაპოლელ ტიფოზებს თავი **ედინსონ კავანიზე** არანაკლებ შეაყვაროს. იგუაინმა სერია A-ს მიმდინარე გათამაშების პირველი ორი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა, გოლიც გაიტანა, საგოლე პასიც გააკეთა და არც უკანახაზელთა დახმარებას თაკილობდა.

**მარიო გომესი** (ბაიერნი - ფიორენტინა, 15.5 მლნ ევრო)

ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავარი შენაძენი „ფიორენტინამ" გააკეთა, როდესაც „ბაიერნიდან" მარიო გომესი გადაიბირა. გოლების მანქანა, რომელიც იტანდა ყველგან, სადაც თამაშობდა. მარიოს სპარინგ-მატჩებში ცოტა გაუჭირდა, სერია A-ს პირველ ტურშიც შებოჭილი იყო, აი გასულ უქმეებზე კი გაიხსნა და დუბლი შეასრულა.

**რიკარდო კაკა** (რეალი - მილანი)

როგორც „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა, რიკარდო კაკას ტრანსფერით „მილანს" ტექნიკა შეემატა. ალეგრის არ დასცდენია: სისწრაფე, არადა, იყო დრო, რიკი ელვის სიჩქარით დარბოდა და ამ კომპონენტში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში. ასეა თუ ისე, ბრაზილიელი შემტევის სახით, „მილანს" დიდი ძალა დაემატა.

**კევინ სტროტმანი** (პსვ - რომა, 16.5 მლნ ევრო)

თუ კაკამ საუკეთესო წლები უკან მოიტოვა, კევინ სტროტმანს ჯერ ყველაფერი წინ აქვს. პსვ-სა და ჰოლანდიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი „რომაში" აღმოჩნდა, რაც უდავოდ გააძლიერებს დედაქალაქურ გუნდს. მთავარია, კევინმა მალე აუღოს ალღო იტალიურ ფეხბურთს.

## 5 მთავარი შიდა იტალიური ტრანსფერი

**ადემ ლიაიჩი** (ფიორენტინა - რომა, 11 მლნ ევრო)

ადემ ლიაიჩს „ფიორენტინასთან" კონტრაქტი მომდევნო ზაფხულს ეწურებოდა და რადგან მის გახანგრძლივებას არ დათანხმდა, კლუბის მესვეურებმა მყისვე მოიშორეს - მიზეზი გასაგებია, მომავალ ზაფხულს ადემი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებდა „ვიოლას" და ფლორენციელები მასში ცენტსაც ვერ მიიღებდნენ. ლიაიჩს ევროპის ტოპ კლუბში სურდა გადასვლა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, „მილანმა" და კიდევ რამდენიმე გრანდმა სოლიდური თანხის გადახდა იუარეს. საბოლოოდ, ადემი „ჯალოროსიში" აღმოჩნდა და უკვე გაიტანა კიდეც პირველი გოლი ახალი გუნდის შემადგენლობაში.

**მაურო იკარდი** (სამპდორია - ინტერი, 6 მლნ ევრო)

მაურო იკარდი ჯერ იმაზე ყალიბდებოდა, არგენტინის ეროვნულ ნაკრებში სურდა თამაში თუ „სკუადრა აძურაში", შემდეგ კი კლუბის არჩევისას დაიბნა და ჯერ „სამპდორიას" გამოუცხადა ნდობა, შემდეგ კი „ინტერში" გადაბარგდა. მოკლედ, ავად თუ კარგად, მაურო ჩამოყალიბდა და ეს ახალგაზრდა არგენტინელი ფორვარდი კარიერას მილანურ გრანდში აგრძელებს. ერთი კია, ისეთი რიხით ველარ ასპარეზობს, როგორც გასული სეზონის პირველ ნახევარში.




კარლოს ტევესმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო

**ანჯელო ოგბონა** (ტორინო - იუვენტუსი, 13 მლნ ევრო)

ანტონიო კონტე „იუვენტუსს" სამი მცველით ათამაშებს და როდესაც ანდრეა ბარცალი, ლეონარდო ბონუჩი ან ჯორჯო კიელინი სხვადასხვა მიზეზით თამაშს ტოვებდა, ტურინული გრანდის მწვრთნელი რთულ მდგომარეობაში ვარდებოდა - ხან ნომინალურ ნახევარმცველ ლუკა მარონეს ათამაშებდა დაცვაში, ხანაც ფლანგის მცველებს აყენებდა ცენტრში. ანჯელო ოგბონამ წესით ეს პრობლემა უნდა აღმოფხვრას და დღევანდელი გადასახადიდან, მასში გადახდილი 13 მილიონი ევრო გამართლებულია.

**ანტონიო კასანო** (ინტერი - პარმა)

მიუხედავად იმისა, რომ ანტონიო კასანო ისაკ ბელფოდილის ხურდაში მოჰყვა და „პარმაში" ისე აღმოჩნდა, მთავარ შიდა ტრანსფერებში სწორედ კასანო უნდა შევიყვანოთ და არა იგივე ბელფოდილი. მიზეზი მარტივია: ისაკს ჯერ დასამტკიცებელი აქვს ყველაფერი, ანტონიო კი უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი და ნამდვილი ვარსკვლავია. წესით, კასანომ უნდა გააძლიეროს „პარმა", დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს...

**მეჰდი ბენატია** (უდინეზე - რომა, 13.5 მლნ ევრო)

„რომა" დაცვის გაძლიერებას ლამობდა და მეჰდი ბენატიას სახით, მაღალი დონის უკანახაზელი შეიძინა. მაროკოელი წლების განმავლობაში იცავდა „უდინეზეს" ღირსებას, თავი არ შეურცხვენია და 13.5 მილიონი ევროც ამად დაედო ფასად. თანხა სოლიდურია, მეჰდიზე დიდი ავანსებია გაცემული და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან.

## 5 მთავარი დანაკარგი

**ედინსონ კავანი** (ნაპოლი - პსჟ, 64.5 მლნ ევრო)

„ნაპოლის" პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისს არ სურდა ედინსონ კავანის გაყიდვა, მაგრამ ამოქმედდა კონტრაქტში ჩადებული პუნქტი, რომლის თანახმადაც 64 მილიონი ევროს გადამხდელი კლუბი ურუგვაელ ფორვარდს უპრობლემოდ შეიძენდა. ბუნებრივია, ამას თავად ფეხბურთელის თანხმობაც სჭირდებოდა და კავანიმაც ნეაპოლს პარიზი არჩია. საფრანგეთის დედაქალაქს არაფერი დაეწუნება და ალბათ ბევრი რამითაც სჯობია ნეაპოლს, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით თუ გაამართლებს ედინსონის არჩევანი, ამას დრო გვიჩვენებს.

**სტევან იოვეტიჩი** (ფიორენტინა - მან. სიტი, 26 მლნ ევრო)

სტევან იოვეტიჩი უდავოდ გამორჩეული ნიჭის პატრონია, მაგრამ ტრავმიანობა სჩვევია და გამომდინარე აქედან, 26 მილიონი ევროს გადახდით ინგლისელებმა გვარიანად გარისკეს. ფლორენციაში ჩერნოგორიელი ნახევარ სეზონს მაინც ლაზარეთში ატარებდა და თუნდაც ამ ლოგიკით, მისი გასხვისება იტალიელებისთვის დიდი ტრაგედია არ უნდა იყოს. მით უმეტეს, ტოსკანურმა კლუბმა სანაცვლოდ არაერთი ფეხბურთელი, მათ შორის მარიო გომესი გადაიბირა.

**კევინ პრინს ბოატენგი** (მილანი - შალკე, 10 მლნ ევრო)

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრაში, „მილანმა" პსვ-ს სამი უპასუხო გოლი გაუტანა, რომელთაგან ორი კევინ პრინს ბოატენგის ანგარიშზეა. ყველაფერ ამის შემდეგ, განელი ნახევარმცველის „მილანიდან" „შალკეში" გადაბარგება ცოტა მოულოდნელი იყო. გერმანელებმა 10 მილიონი ევრო გადაიხადეს და პრინციც თავისთან წაიყვანეს.

**ერიკ ლამელა** (რომა - ტოტენჰემი, 30 მლნ ევრო)

ერიკ ლამელას სატრანსფერო საგა კარგა ხანს გაიწელა და საბოლოოდ, მისი „ტოტენჰემში" გადაბარგებით დასრულდა. რომაელებმა არგენტინელს საბოლოოდ მაშინ გაუშვეს ხელი, როდესაც ადემ ლიაიჩის ტრანსფერი გაჩარხეს და ამით, ერიკს შემცვლელი მოუძებნეს. ლამელა ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელიც კალჩოს ნამდვილად დააკლდება.

**პაბლო დანიელ ოსვალდო** (რომა - საუთჰემპტონი, 15.1 მლნ ევრო)

პაბლო დანიელ ოსვალდო არა მარტო სერია A-ს და კერძოდ „რომას", შესაძლოა იტალიის ეროვნულ ნაკრებსაც დააკლდეს. ჯერ ერთი, „საუთჰემპტონი" არაა ის გუნდი, საიდანაც „სკუადრა აძურაში" ფართოდ გაგიღებენ კარს და მეორე, ინგლისურ ფეხბურთთან ადაპტაცია არც თუ იოლი საქმეა. საინტერესოა, როგორ განვითარდება გაიტალიელებული არგენტინელის საფეხბურთო კარიერა.

## 5 ყველაზე უცნაური ტრანსფერი

**ინოსენტი ემეგარა** (სიენა - ლივორნო, 1 მლნ ევრო)

ინოსენტი ემეგარა „სიენაში" გასული სეზონის მეორე ნახევარში გამოჩნდა და მალევე მოერგო იტალიურ ფეხბურთს. ნიგერიელმა ფორვარდმა ტოსკანურ გუნდში 12 შეხვედრა გამართა და 7 გოლი გაიტანა, რამაც მის მიმართ არაერთი კლუბის ინტერესი გამოიწვია. გამომდინარე აქედან, მოულოდნელი და მეტად უცნაური გახლდათ მისი „ლივორნოში" გადაბარგება და თანაც, 1 მილიონ ევროდ. წესით, ემეგარას უკეთესი ვარიანტები უნდა ჰქონოდა.

**ალესანდრო მატრი** (იუვენტუსი - მილანი, 12 მლნ ევრო)

მთელი ზაფხულის განმავლობაში საუბრობდნენ, რომ ალესანდრო მატრის გადაბირება „ნაპოლის" მესვეურებს სურდათ. სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში თითქოს მომწიფდა კიდეც ჩრდილო-სამხრეთული გარიგება, მაგრამ საბოლოოდ, მატრიმ „მილანში" ამოყო თავი. მიზეზი ალბათ ჯამპაოლო პაცინის მძიმე ტრავმაა, მაგრამ ამ შეთანხმებამ მაინც ბევრი გააკვირვა.

**მორგან დე სანქტისი** (ნაპოლი - რომა, 0.5 მლნ ევრო)

„რომას" მესვეურები ჰოლანდიელ კიპერ მარტინ სტეკელენბურგს შეელიენ და მისი შემცვლელის ძიებისას, ყველაზე ხშირად ჟულიო სეზარის ვარიანტს ასახელებდნენ. მოკლედ, „ჯალოროსის" ექსტრაკლასის მეკარე სჭირდებოდა და ხელში მორგან დე სანქტისი შერჩა. ამ უკანასკნელს კლასი არ დაეწუნება, მაგრამ 37 წლისაა და საუკეთესო წლები რომ უკან აქვს მოტოვებული, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. რჩება შთაბეჭდილება, რომ რომაელებს რამდენიმე ფრონტზე მოეცარათ ხელი და ფორსმაჟორში ჩავარდნილებს, შერჩათ ის, ვინც შერჩათ.

**მარკინიოსი** (რომა - პსჟ, 31 მლნ ევრო)

მარკინიოსი მხოლოდ 19 წლისაა და უდავოდ ნიჭიერი მცველია, მაგრამ 31 მილიონი ევრო? - არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ პარიზელებმა აშკარად გადაამეტეს და ამ გარიგებითაც ალბათ უფრო „რომა" დარჩა მოგებული, ვიდრე პსჟ. ვერ გეტყვით, რას ითამაშებს მომავალში მარკინიოსი, მაგრამ აქამდე რომ 31 მილიონის არაფერი გაუკეთებია, ცხადზე უცხადესია. ბრაზილიელ მცველში ამხელა თანხის გადახდა მეტად უცნაური ამბავია.

**ალექსანდრ იაკოვენკო** (ანდერლეხტი - ფიორენტინა)

„ფიორენტინამ" სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურა და გვარიანადაც გაძლიერდა, მაგრამ ჯერ ისევ გაურკვეველია რაში სჭირდებოდა ვინჩენცო მონტელას უკრაინელი ნახევარმცველი ალექსანდრ იაკოვენკო? - ურიგო მოთამაშე არაა, ბურთსაც გაატარებს და კარშიც დაარტყამს, მაგრამ ასეთ მძაფრ კონკურენციაში მას ალბათ არაფერი ესაქმება.

## 5 ტრანსფერი მომავალზე გათვლით

**ტინ ედვაი** (დინამო ზ. - რომა, 5 მლნ ევრო)

17 წლის ხორვატი მცველი, რომელიც გამოირჩევა ფიზიკური მონაცემებით, დასწრებაზე კარგი თამაშით და გრძელი გადაცემებით შეტევების წამოწყებით. ამბობენ, რომ ახლო მომავალში დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**ანტე რებიჩი** (სპლიტი - ფიორენტინა, 4.5 მლნ ევრო)

ასევე ხორვატი ფეხბურთელი, ამჯერად ფორვარდი, რომელიც იშვიათი უნარით გამოირჩევა, იყოს ტექნიკური და ამავდროულად, ტარანის ტიპის. ამით, ის ზლატან იბრაჰიმოვიჩს მოგაგონებთ. ანტე რებიჩმა შესანიშნავად ითამაშა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, მასზე მონადირე კლუბებიდან კი „ფიორენტინა" აირჩია.

**ბრუნო ფერნანდეში** (ნოვარა - უდინეზე, 2.5 მლნ ევრო)

18 წლის პორტუგალიელი შემტევი, რომელსაც საოცარი ტექნიკა და დრიბლინგის უნარი აქვს. ამასთან, გამოირჩევა უნივერსალური თვისებებით და რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. „უდინეზეს" მესვეურებს ტალანტების ამოცნობა არ ეშლებათ და რადგან მასში სოლიდური თანხაც გადაიხადეს, ე.ი. ნამდვილ ტალანტთან გვაქვს საქმე.

**ხუან იტურბე** (პორტუ - ვერონა)

20 წლის არგენტინელი ნახევარმცველი, რომელსაც „ინტერი" დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა და იმდენი ქნა, სანამ ფეხბურთელმა „ვერონაში" არ ამოყო თავი. შესაძლოა ასე უკეთესიც იყოს, მეტი სათამაშო დრო ექნება და თუ თავიც გამოიჩინა, გრანდები კიდევ გამოჩნდებიან.

**ბრაიან პერეა** (დეპორტ. კალი - ლაციო, 2 მლნ ევრო)

ბურაქ ილმაზის ჩაშლილი ტრანსფერი ბრაიან პერეას უტოვებს შანსს ამავე სეზონში ითამაშოს „ლაციოს" მთავარ გუნდში. ახალგაზრდა კოლუმბიელი ფორვარდი ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკურია, თუმცა მომენტების რეალიზებაში აშკარად მოიკოჭლებს. თუ ამ კომპონენტში მოუმატებს, მისგან ბრწყინვალე თავდამსხმელი დადგება.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. იურგენ კლოპი

# ეს უკვე სიგიჟეა!

## 180 კმ/სთ სისწრაფეზე ჩაწერილი ინტერვიუ დორტმუნდის თავკაცთან

**დორტმუნდის** „ბორუსიას" თავკაც იურგენ კლოპს მხოლოდ ფეხბურთში როდი უყვარს სისწრაფე. 46 წლის სპეციალისტს ავტომობილებიც ძალიან უყვარს და მანქანის სწრაფად ტარებაც. თანაც, კლოპს მართვა ეხერხება, რაშიც ჩვენი გერმანელი კოლეგა, გაზეთ „ბილდის" ჟურნალისტი „ოპელის" სპორტულ ტრეკზე დარწმუნდა - დუდენჰოფენის ავტოდრომზე კლოპი „ოპელის" სპორტულ მოდელს საშუალოდ 180 კმ/სთ სისწრაფით მართავდა და მან სწორედ ამ დროს ჩაიწერა ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით. რატომ მაინცდამაინც „ოპელი"? საქმე იმაშია, რომ აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც კლოპი „ოპელის" სახე გახდა.



დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი სპორტული Opel Insignia OPC-ს საჭესთან დუდენჰოფენის ავტოდრომზე

**- ჰერ კლოპ, რას იტყვით მესუთ იოზილის ტრანსფერის შესახებ, რომელიც „რეალიდან" ლონდონის „არსენალში" გადავიდა? სხვათა შორის, „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თქვენს „დორტმუნდთან" ერთად მოხვდა და აქვე მეორე კითხვაც: იოზილის გამო ლონდონური კლუბის დამარცხება უფრო ძნელი იქნება?**

- ჩემთვის სულერთია, ვინ ითამაშებს ჩვენს წინააღმდეგ. თუმცა უნდა ვთქვა, რომ ეს ტრანსფერი ნამდვილი ბომბი იყო. ასეთი ტრანსფერები ხშირად არ ხდება და სიმართლე ვთქვა, არც მე ველოდი. 50 მილიონ ევროს ასე სწრაფად იშვიათად იხდიან ხოლმე. თუმცა მესუთიც ნამდვილი ბომბია და საბოლოო ჯამში არ მიკვირს, რომ მის სანაცვლოდ 50 მილიონი გადაიხადეს. თუმცა არავინ იცის, რატომ გაუშვა ის „რეალმა". იქნებ, მადრიდელებს ფული სჭირდებოდათ...

**- ამდენ ფულს ფეხბურთელში თქვენც გადაიხდიდით?**

- (ამუხრუჭებს) ფეხბურთელებში უზომოდ ბევრ ფულს ადრე დორტმუნდის „ბორუსიაც" იხდიდა, თუმცა მაშინ მე აქ არ ვმუშაობდი. თუმცა ის, რაც ახლა ინგლისში ხდება, უკვე მართლა სიგიჟეა! სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს იქ ფეხბურთელებში 700 მილიონი ევრო დაიხარჯა და მინდა გითხრათ, რომ იმ ფეხბურთელების 80 პროცენტს არ ვიცნობ.

**- „რეალმა" გარეთ ბეილში 100 მილიონი ევრო გადაიხადა. ალბათ ფიქრობთ, რომ ესეც ნამეტანია...**

- მთავარი ის კი არ არის, თუ რა ღირს ესა თუ ის ფეხბურთელი, არამედ ის, თუ რამდენად გჭირდება კონკრეტული მოთამაშე და შეგიძლია თუ არა მისი ტრანსფერის დაფინანსება, რაშიც არა მარტო ფეხბურთელის ღირებულებას, არამედ იმ ხელფასსაც ვგულისხმობ, რაც კონტრაქტის ბოლომდე უნდა გადაუხადო. ფასები უკვე მართლა ასტრონომიულია, მაგრამ კარგი ის არის, რომ ეს ფული ისევ ფეხბურთში რჩება და ტრიალებს. „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ბეილის შეძენა აიკვიატა და რაკი აიკვიატა, მასში 100 მილიონიც გადაიხადა. თუმცა პერესისგან ასეთ საქციელს მიჩვეულები ვართ. ხანდახან მგონია, რომ ფლორენტინომ დილით არ იცის, სად და რაში დახარჯავს ფულს საღამოს.

**- „დორტმუნდმა" ბუნდესლიგის ახალი სეზონი ოთხი მოგებით დაიწყო, რაც ამ კლუბის ისტორიაში რეკორდია. ბუნდესლიგის მასშტაბით კი სასტარტო რეკორდი მიუნხენის „ბაიერნს" ეკუთვნის - რეკორდმაისტერს პირველი 8 შეხვედრა აქვს მოგებული. ამ რეკორდსაც ხომ არ დაამხობთ?**

- (კლოპი მანქანას ისევ აჩქარებს) სტარტზე ოთხი მოგება კარგია, მეტიც შეიძლება, მაგრამ ძნელი იქნება. ასეა თუ ისე, სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ და ეს მიხარია.

**- ბოლო დღეებში თქვენც ტრავმირებული იყავით და საინტერესოა, მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ლეგენდების მატჩში, რომელიც კვირას შედგება და რომელშიც თქვენი მწვრთნელი მათიას ზამერი უნდა იყოს?**

- ჯერ კიდევ არ ვიცი, მაგრამ ალბათ მაინც ვითამაშებ, რადგან ცოტაოდენი სირბილი უკვე შემიძლია. მხოლოდ ის ვიცი, რომ დიდხანს ვერ ვითამაშებ. რაც შეეხება ზამერს: ყოველთვის ვოცნებობდი იმაზე, რომ მათიასის ხელმძღვანელობით ფეხბურთი მეთამაშა...

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ზამერმა გვარდიოლა დაიცვა

## მათიასი: წინა სეზონში ყველაფერი იდეალურად არ იყო



„ბაიერნის" სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** უმეტესად კრიტიკოსის რანგში გვევლინება ხოლმე - მათიასი ყოველთვის იმაზე ზრუნავს, რომ რეკორდმაისტერის ფეხბურთელები არ მოდუნდნენ და მუდმივად ტონუსში იყვნენ. 46 წლის ზამერმა ამჯერად „ბაიერნის" ამჟამინდელი დამრიგებელი **ხოსეპ გვარდიოლა** დაიცვა და სამაგიეროდ, წინა სეზონზე ისაუბრა კრიტიკულად. ალბათ გაინტერესებთ, რა არ მოსწონდა ზამერს იმ სეზონში, რომელშიც „ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და გერმანიის თასი მოიგო.

*„ჰო, წინა სეზონი მართლაც ძალიან კარგად ჩავატარეთ და ჰეთ-თრიკი შევასრულეთ, მაგრამ ისეთი თამაშით, როგორსაც წინა სეზონში ვაჩვენებდით, დიდხანს ვერ ვიქნებოდით წარმატებულები. მომავალში ის ფეხბურთი ტიტულებს ველარ მოგვაგებინებდა,"* - აცხადებს ზამერი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მოგეხსენებათ, მიუხედავად ტრიუმფალური სეზონისა, „ბაიერნმა" ზაფხულში მწვრთნელი შეცვალა - **იუპ ჰაინკესის** ადგილი პეპ გვარდიოლამ დაიკავა და ამ უკანასკნელს მსოფლიოში უძლიერესი კლუბის კიდევ უფრო გაძლიერება დაევალა. ბოლო დროს გვარდიოლას გერმანიაში მოსალოდნელზე ხშირად აკრიტიკებენ, რაც ზამერისთვის გაუგებარი და მიუღებელია.

*„მიმაჩნია, რომ ზოგიერთი ექსპერტი პეპს უსამართლოდ და არაკორექტულად აკრიტიკებს. მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონში ჰეთთრიკი შევასრულეთ, არც მაშინ იყო ყველაფერი იდეალურად და ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, მხოლოდ თავს იტყუებს. ვფიქრობ, რომ „ბაიერნს" მომატება შეუძლია და აუცილებლად მოუმატებს. გაიხსენეთ: ჩემპიონთა ლიგის ფინალის პირველ 25 წუთშიც ძალიან ცუდად ვთამაშობდით და ბევრს ეგონა, რომ წავაგებდით. გერმანიის თასის ფინალშიც დიდხანს გვიჭირდა. იმის თქმა მინდა, რომ იმ ფინალებში მაინცდამაინც სტაბილურად არ გვითამაშია,"* - ამბობს ზამერი.

ასეა თუ ისე, გვარდიოლა უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული, რადგან ჰეთთრიკის შემსრულებელი გუნდი ჩაიბარა. ზამერი მის შესაძლებლობებში დარწმუნებულია და სჯერა, რომ გვარდიოლას სახით რეკორდმაისტერს იდეალური მწვრთნელი ჰყავს: *„გუნდი ჯერაც დამშეულია და დარწმუნებული ვარ, რომ პეპი „ბაიერნს" თავის ხელს დაატყობს,"* - მიიჩნევს მათიასი.

**გოტფრიდ ლენცი**

დაპირისპირება

# ვიზე ჰოფენჰაიმს ემუქრება

## კონტრაქტს არ გავწყვეტ, მიხადეთ ხელფასი!

„ჰოფენჰაიმის" ხელმძღვანელებსა და 31 წლის მეკარე **ტიმ ვიზეს** შორის დაპირისპირება გრძელდება. როგორც იცით, ვიზე სხვა 4 ფეხბურთელთან ერთად „ჰოფეს" ძირითადი გუნდიდან 5 ივლისს მოკვეთეს და მოყვარულთა გუნდში გადაისროლეს. არადა, გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე წინა სეზონის დასაწყისში „ჰოფენჰაიმის" კაპიტანი იყო. სხვა მოკვეთილი ფეხბურთელები ახალ კლუბებს ეძებენ - **ტობიას ვაისი** და **ედსონ ბრააფჰაიდი** თურქეთში გადასვლასთან არიან ახლოს, ვიზე კი „ჰოფეს" მოყვარულთა გუნდში რჩება.

„ჰოფენჰაიმის" თავკაცმა **მარკუს გისდოლმა** არაერთხელ აღნიშნა, რომ ვიზე არ სჭირდება, რაც იმასაც ნიშნავს, რომ „სოფლელების" ხელმძღვანელები მას კონტრაქტს სიამოვნებით გაუწყვეტდნენ, რადგან ვიზე კლუბში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა! ტიმი წელიწადში 3.5 მილიონ ევროს იღებს და რასაკვირველია, შეფებს არ სიამოვნებთ იმ მოთამაშისთვის ამდენი ფულის ხდა, რომელიც მოყვარულთა გუნდშია გადასროლილი. მაგრამ ვიზე ხელშეკრულებას არ წყვეტს.

*„კონტრაქტის გაწყვეტით დაინტერესებული არ ვარ. ოთხწლიანი ხელშეკრულება იმიტომ არ გამიფორმებია, რომ ერთ წელიწადში დამერღვია. თუმცა ჩემთვის კონტრაქტის შეწყვეტის მოთხოვნით არც არავის მოუმართავს. მწვრთნელთან და მენეჯერთან ორი თვეა, არ მისაუბრია,"* - აცხადებს ვიზე ბილდისთვის მიცემულ ინტერვიუში. ამრიგად, თუ არაფერი შეიცვალა, ტიმი 2016 წლამდე მხოლოდ სოფლის გუნდებთან თამაშისთვის ჯამში 10 მილიონზე მეტს მიიღებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ტიმ ვიზე

ამბები

### ინდონეზიელი მაცარის ჰაინკესით შეცვლის?

იტალიური პრესის ცნობით, მილანის „ინტერის" პოტენციურ ინვესტორს სამწვრთნელო გადაადგილება აქვს დაგეგმილი კლუბში.ინდონეზიელი ბიზნესმენი **ერიკ ტოჰირი**, სულ მალე გახდება „ინტერის" აქციათა დიდი ნაწილის მფლობელი.

ტოჰირი გუნდში მრავალი მილიონის ჩადებას აპირებს, თუმცა ცვლილებებიც განუზრახავს. მას სურს **ვალტერ მაცარი** 68 წლის გერმანელი **იუპ ჰაინკესით** ჩაანაცვლოს.

შეგახსენებთ, რომ მაცარი ამ ზაფხულს გადავიდა „ნაპოლიდან" „ინტერში" და მისმა გუნდმა ახალი ჩემპიონატი შესანიშნავად დაიწყო.

მიუნხენის „ბაიერნიდან" ტრიუმფით წასულმა ჰაინკესმა კი არაერთხელ განაცხადა, რომ ფეხბურთში დაბრუნებას აღარ აპირებს.

### უეფამ უნგრული და პოლონური კლუბები რასიზმისთვის დასაჯა

უეფამ სანქციები განახორციელა უნგრული და პოლონური კლუბების მიმართ, რომლის ფანებიც რასიზმში ამხილეს. ევროპალიგის პლეი ოფის მატჩებში რასიზმის გამოვლენისთვის სულ სამი კლუბი დაჯარიმდა.

უნგრული „ჰონვედი" ორ მატჩს უმაყურებლოდ ჩაატარებს და 50 ათას ევროს გადაიხდის. პოლონური „ლეხი" ევროთასების მორიგ მატჩს ნაწილობრივ უმაყურებლოდ ჩაატარებს, დაიხურება იქაური „ულტრასის" ტრიბუნა. ამავე დროს პოზნანელები 5 ათას ევროს გადაიხდიან.

### მატა: ჩელსიში ბედნიერი ვარ

ლონდონის „ჩელსის" ესპანელმა ნახევარმცველმა **ხუან მატამ** განაცხადა, რომ ლონდონურ კლუბში ბედნიერია და იქ საფეხბურთო ზრდა სურს.

*„სავსებით ნორმალური მოვლენაა, როცა სატრანსფერო ფანჯრისას ათასი ინფორმაცია ჩნდება. მე ბედნიერი ვარ „ჩელსიში", აქ გატარებული ორი სეზონი ჩემთვის ბრწყინვალე იყო. ახლა მინდა კიდევ უფრო კარგად ავთამაშდე. მთავარი მიზანია „ჩელსიში" გავიზარდო როგორც ფეხბურთელი. იმედი მაქვს, კიდევ კარგი სეზონი მელის წინ"*, - განაცხადა 25 წლის მატამ.

### დემიკელისი სეზონის გამოტოვებას გადაურჩა

„მანჩესტერ სიტიში" შვებით ამოისუნთქეს - გუნდის ახალწვეულის, **მარტინ დემიკელისის** მუხლის სკანირებამ აჩვენა, რომ ფეხბურთელი ოპერაციას არ საჭიროებს. მართალია, მუხლის ჯვარედინი იოგები ოდნავ დაზიანებულია, მაგრამ საგანგაშო არაფერია, ოპერაციის ნაცვლად 32 წლის არგენტინელს დასვენებაც ეყოფა. „სიტის" ექიმთა ვარაუდით, მარტინი 6 კვირას გამოტოვებს.

**მანუელ პელეგრინის ვენსან კომპანიც** ტრავმირებული ჰყავს და **მიკა რიჩარდსიც**, ხოლო **მატია ნასტასიჩმა** ახლახან მოირჩინა ტრავმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### აბიდალი: ავადმყოფობისას ბარსა ხელფასს არ მიხდიდა

„ბარსელონადან" „მონაკოში" გადაბარგებულმა ფრანგმა ფეხბურთელმა **ერიკ აბიდალმა** კატალონიური გრანდი გააკრიტიკა. „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში 33 წლის მარცხენა მცველმა განაცხადა, რომ ავადმყოფობის პერიოდში (ერიკს სიმსივნე ჰქონდა) „ბარსელონაში" ხელფასს არ უხდიდნენ.

*„ბარსელონადან" წამოსვლისას ფულზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. იმ თვეების განმავლობაში, როცა ავად ვიყავი, კატალონიური კლუბი ხელფასს არ მიხდიდა,"* - აცხადებს აბიდალი და დასძენს, - *ბედნიერი ვარ, რომ „მონაკოში" გადმოვედი. აქ მწვრთნელიც მენდობა და პრეზიდენტიც მხარში მიდგას. ყველაფერი კარგად მიდის, მშვენიერ ფორმაში ვარ და ვფიქრობ, „ბარსელონასაც" გამოვადგებოდი. ჩემი აზრით, „ბარსას" მწვრთნელი ისევ გვარდიოლა რომ ყოფილიყო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა და დღესაც „ბარსაში" ვითამაშებდი."*

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო 4-2-3-1




**შეცვლები**

60. კობახიძე - **ე. გრიგალაშვილი**
69. ანანიძე - **თარგამაძე**
79. გელაშვილი - **დვალიშვილი**

**სათადარიგოები:** *რ. კვასხვაძე (მ), რევიშვილი (მ), ხიზანიშვილი, დოლიძე, ძარია, მოდებაძე, გ. ფოფხაძე, თომაშვილი, ცხადაძე.*

# საქართველო 0 – საფრანგეთი 0

6 სექტემბერი.
თბილისი, „დინამო არენა“
25 000 მაყურებელი

გაფრთხილება:
ოქრიაშვილი (37),
ლორია (87)
არბიტრი: ფ. აიდინუსი
(თურქეთი)

| მატჩის სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| საქართველო | | საფრანგეთი |
| 7 | კარში დარტყმა | 16 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 9 | ჯარიმა | 17 |
| 2 | კუთხური | 9 |
| 39 | ბურთის ფლობა | 61 |

საფრანგეთი 4-4-2




**შეცვლები**

62. ბენზემა - **ჟინიაკი**
78. გილავოგი - **ნასრი**

**სათადარიგოები:** ლანდრო (მ), მანდანდა (მ), კლიში, დებუში, გონალონი, მანგალა, პაიეტი, რამი.

# ქეცბაია, მამლების გამანადგურებელი

ამასწინათ, ჰოლივუდში ასეთი ფილმი გადაიღეს: „ჯეკი, გიგანტების გამანადგურებელი (Jack The Giant Slayer). გუშინ კი **თემურ ქეცბაიამ** ფრანგული მამლები გაანადგურა - **დიდიე დეშამის** გუნდისთვის საქართველოსთან ფრე ძალიან ცუდი შედეგია, რითიც ჯგუფში პირველი ადგილის შანსი პრაქტიკულად გაფლანგა.

საქართველოს ნაკრებს ახასიათებს, რომ ჩაფლავებული შესარჩევი ციკლის ბოლოს, შემოდგომაზე, ერთი გემრიელი თამაში აჩუქოს გულშემატკივარს და თუ არ ჩავთვლით **ექტორ კუპერის** მწვრთნელობის პერიოდს, ჩვენი გუნდი ამას ყოველთვის ახერხებდა.

საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში მეორედ შეძლო გრანდ ნაკრებთან არწაგება - პირველად, ეს **დავით ყიფიანის** მწვრთნელობის დროს მოხდა, როცა შინ იტალიას 0:0 ვეთამაშეთ და მუნდიალზე (საფრანგეთი 98) მოხვედრა სათუო გავუხადეთ. მაშინაც ჩაფლავებული შესარჩევის ბოლო, საშემოდგომო ეტაპი იყო.

გუშინ სტადიონი არ გაივსო, ბევრი ხალხი არ მოვიდა საფრანგეთის ნაკრებისა და **ფრანკ რიბერის** სანახავად. ბევრს ეგონა, თბილისში გრანდებთან მატჩზე სტადიონი იმიტომ ივსება, რომ გულშემატკივარს უფრო დიდი ნაკრების ხილვა სურს, ვიდრე საქართველოს ქომაგობაო, მაგრამ გუშინ ერთხელაც გამოჩნდა, რომ ასე არ არის. სტადიონის არგავსების მიზეზი ალბათ უიმედობა იყო - ჩვენი გუნდის ბევრს არ სჯეროდა...

რწმენას ბევრი რამ შეუძლია. თუ არ გჯერა საკუთარი თავის და შენი საქმის, გარჯა ფუჭად რჩება. გუშინდელი ფრე იმითიც არის მნიშვნელოვანი, რომ ეს შედეგი ძალიან სჭირდებოდა საქართველოს ნაკრებს - ფეხბურთელებს და, რა თქმა უნდა, მწვრთნელსაც.

საფრანგეთთან რიგიანი თამაში და ფრე ის შედეგია, რაც წინაპირობა უნდა იყოს 10 სექტემბერს ფინეთთან წარმატებისა. გუშინ მონოლითური, კარგად ორგანიზებული ნაკრები ჰყავდა საქართველოს, ყველა ფეხბურთელმა ნორმალურად ითამაშა, იყვნენ გამორჩეულებიც, იყო გუნდური და ინდივიდუალური თამაშის კარგი შესრულება და სინთეზი - საქართველოს ნაკრებმა გუშინ ყველა სასიამოვნოდ გააკვირვა.

ფრანგთა იერიშებს რიბერი და **მატიე ვალბუენა** ქოქავდნენ. ძალიან ინერტული იყო **ქარიმ ბენზემა**, ნახევარდაცვის ცენტრში ფრანგებს ფანტაზია და აგრესია აკლდათ. ჩვენმა ნაკრებმა მოწინააღმდეგეს სივრცეები კარგად ჩაურაზა. როგორც კი რიბერი ბურთს მიიღებდა, ორი მეურვე გამოუჩნდებოდა, მესამე კი დაზღვევაზე იყო. ვალბუენას ბურთის ფლობაში ბევრი ვერ შეედრება და ჩვენი გუნდის დაცვას თვლემის საშუალებას არც ის აძლევდა.

საქართველომ დაცვიდან ითამაშა, თუმცა ეს უწინდელზე უკეთესად გამოუვიდა - შეტევაში გადასვლის დროს იყო კომბინაციური თამაშის ელემენტები. დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა **სანდრო კობახიძე**, იერიშებსაც ამწვავებდა და უკანაც ჩამოდიოდა, თანაც - რიბერის ფლანგზე, საიდანაც ყველაზე დიდი საფრთხე იყო მოსალოდნელი.

**თორნიკე ოქრიაშვილს** ქეცბაიამ რამდენჯერმე შეუცვალა ამპლუა გუშინდელ შეხვედრაში. ოქრიაშვილმა ყველა ფუნქცია კარგად შეასრულა და მატჩის შემდეგ ქება ფრანგთა დამრიგებლისგანაც დაიმსახურა.

ნაყოფიერი გამოდგა **ნიკა გელაშვილის** გარჯაც - რამდენჯერმე შეიმაგრა ბურთი და მეტოქის ნახევარზე რამდენიმე ჯარიმაც მოინაგრა.

საქართველოს ნაკრებს გუშინ სუსტი ადგილი არ აღმოაჩნდა და ფრანგებმაც ვერაფერი მოუხერხეს ქეცბაიას გუნდს.

პირველ ტაიმში სტუმრებმა არაერთი მწვავე მომენტი შექმნეს, მაგრამ რასაც საგოლე შანსი ჰქვია, ასეთი არ ჰქონიათ.

შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდი შეტევაში უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა. კობახიძემ ერთხელაც გაამწვავა თამაში, მარჯვენა ფლანგიდან მოარღვია ფრანგული დაცვა, მერე კი ოქრიაშვილს მართებდა გატანა, მაგრამ ბურთი ჯერ **უგო ლორისს** მოარტყა, მერე კი ძელს.

აღსანიშნავია ის ეპიზოდიც, როცა **ჯანო ანანიძემ** ორ მეტოქეს აუბნია თავგზა, ოციოდე მეტრი გაირბინა, თუმცა კარგად წამოწყებულ კონტრშეტევას ასეთივე გაგრძელება ვერ მიაყოლა.

შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთილა რომ დარჩა, კიდევ უფრო კარგი და საინტერესო თამაში გაჩაღდა. საქართველოს ამ ნაკრებმა ნათლად დაგვანახა, რომ პერსპექტიული გუნდია და საკმაოდ კარგი კონტინგენტიც ჰყავს.

ფრანგებმა ტემპს მოუმატეს, რიბერიმ და ვალბუენამ კიდევ რამდენჯერმე მოახერხეს მწვავე შეტევის ორგანიზება. ბოლოს **გიორგი ლორიას** ჯერიც დადგა - ჯერ **ჟირუს** აუღო ახლო მანძილიდან დარტყმული თავური, ამ ეპიზოდს მოყოლებული კუთხურის შემდეგ კი ერთი ჯადოქრობაც ჩაიდინა და **სანიას** თავურიც მოიგერია.

გუშინ იღბალიც საქართველოს მხარეს იყო, თუმცა საფრანგეთთან ფრე მხოლოდ ამას არ უნდა დავაბრალოთ - ღმერთი იმას წყალობს, ვისაც მხრებზე თავი აბია. ქეცბაიას განვრთნილმა გუნდმა გუშინ სწორი ფეხბურთი ითამაშა.

**დავით თავართქილაძე**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**მატჩის შემდეგ**

## დიდიე დეშამი: საქართველომ ღირსეულად ითამაშა

- დასაწყისში საკმაოდ კარგი მომენტები გვქონდა, რითიც ვერ ვისარგებლეთ. საქართველომ საკმაოდ კარგად ორგანიზებული გუნდი გამოიყვანა და დიდი წინააღმდეგობაც გაგვიწია.

**- და მაინც, ეს შედეგი რამ განაპირობა?**

- ვერ მოვიგეთ იმიტომ, რომ გოლი ვერ გავიტანეთ. მაქვს განცდა, რომ დღეს მოსაგებად ყველაფერი ვერ გავაკეთეთ. უფრო მეტი უნდა მოგვენდომებინა. ნახევარდაცვის ცენტრში რამდენიმე სერიოზული შეცდომაც დავუშვით.

**- გუნდით იმედგაცრუებული ხართ?**

- ასე არ ვიტყოდი. აღსანიშნავია, რომ ქართველები ორგანიზებულად იყვნენ შეჯგუფებულები და თამაშის საშუალება არ მოგვცეს.

**- მატჩამდე თქვით, რომ 3 ქულას მოიპოვებდით...**

- ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება იყო, მაგრამ ესპანეთმა ფინეთს მოუგო და მეორეზე გავალთ. ამაში ცუდი არაფერია. მიმაჩნია, რომ უფრო პოზიტიური განწყობა უნდა გვქონდეს. მომდევნო მატჩში ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ, გაცილებით შემტევი ფეხბურთი ვაჩვენოთ და უფრო ზუსტი გადაცემები გავაკეთოთ. წინ კიდევ ორი შეხვედრაა.

**- თქვენი შეტევები რიბერისა და ვალბუენას საშუალებით ვითარდებოდა. მათ სრულად ვერ აჩვენეს თავიანთი შესაძლებლობები თუ თავად დაუშვით ტაქტიკური შეცდომა?**

- მატჩამდე ბევრი რამ გავაანალიზე და ამ ტაქტიკით თამაში გადავწყვიტე. თუმცა ფეხბურთელებსაც ვერ გავაკრიტიკებ.

**- ამ ფორმაციის ნაკრებით მსოფლიოს ჩემპიონატზე რისი იმედი გაქვთ?**

- ბრაზილიაშიც მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

**- საქართველოდან ვის გამოარჩევდით?**

- ოქრიაშვილს. თუმცა მთელმა გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია.

## თემურ ქეცბაია: ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით

- უპირველესად, ვიტყვი, რომ ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. დღეს ბიჭებმა ისეთი თამაში აჩვენეს, თანაც ქართული ფეხბურთისთვის ისეთ მძიმე პერიოდში, რომ დროა, ფეხბურთისთვის რაღაც გაკეთდეს. დღეს საქართველოს ნაკრებმა არაფერი დაუთმო მსოფლიო დონის გუნდს, სადაც დიდი ვარსკვლავები თამაშობენ. ვინც დღევანდელ შეხვედრაზე არ მოვიდა, ბევრი დაკარგა. მაგრამ ეს ჩვენი ბრალიც არის, ცუდი შედეგებით ხალხს ხელი თავად ვკარით... მომდევნო მატჩი ფინეთთან გვაქვს. იმედია, გაცილებით მეტი მაყურებელი მოვა, მოვიგებთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, ანუ ჯგუფში მესამე ადგილს დავიკავებთ. დღეს სტადიონი არ შეივსო, მაგრამ ვინც მოვიდა, გვერდში გულიანად დაგვიდგა. ასეთი გულშემატკივრობით ფინეთთან მოგება შესაძლებელი იქნება.

**- რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით და რამ განაპირობა დღევანდელი შედეგი?**

- ძნელია, ასეთი მატჩის შემდეგ რომელიმე ფეხბურთელი გამოარჩიო. დღევანდელ შედეგში წვლილი მოედანზე გასულმა ყველა ფეხბურთელმა შეიტანა, მათ შორის - შეცვლაზე შესულებმა. ბიჭებმა საქართველოს სიხარული აჩუქეს. მთავარი ისაა, რომ ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს, დავალებები კარგად შეასრულეს და შედეგის მისაღწევად ყველაფერი გააკეთეს. თუ დარჩენილ შეხვედრებშიც ასე ვითამაშებთ, მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება. მე ზღაპრები არ მიყვარს და რეალობას კარგად ვხედავ - რა თქმა უნდა, საუკეთესო თამაშამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი გაიზრდება, აქ ხომ ბევრი ახალგაზრდაა და ორი წლის შემდეგ გაცილებით უკეთ ათამაშდება. მერე კი, იქნებ, რეალურად მივუახლოვდეთ იმ მიზანს, რაზეც ჩვენი გულშემატკივარი 23 წელია ოცნებობს.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში საქართველოს ნაკრებმა საუკეთესო თამაში აჩვენა. ასეთი რა დავალება მიეცით ფეხბურთელებს?**

- საფრანგეთი არ აღმოჩნდა ისეთი ძლიერი და აქედან გამომდინარე, შეტევაში უფრო აქტიურად თამაში იყო შესაძლებელი. ხალხიც გვერდში დაგვიდგა და მიხარია, რომ ასეთი დონის გუნდთან საქართველოს ნაკრები ღირსეულად გამოიყურებოდა. დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საშინაო მატჩებს გაცილებით უკეთ ვატარებთ. ამიტომაც მინდა, რომ ამხანაგურები თბილისშიც ჩავატაროთ, ბიჭები უფრო თავდაჯერებულები გახდებიან და საკუთარ შესაძლებლობებს ირწმუნებენ. მაგრამ არ სურთ ნაკრებებს აქ ჩამოსვლა და სხვა რა გზაა? ამიტომაც სულ გასვლაზე გვიწევს თამაში.

**- ბრძანეთ, საფრანგეთი ისეთი ძლიერი არ აღმოჩნდა, როგორიც წარმოგვედგინაო...**

- მერე? ხომ არ გეწყინათ?

**- სხვა რამეს გეკითხებით. საფრანგეთმა სათანადოდ არ დაგვაფასა?**

- ახლა ისეთი რაღაცის თქმა მსურს, ვიცი, მერე ერთი ამბავი ატყდება და ამიტომ თავს შევიკავებ.

**- როგორ მოახერხებთ ფინეთთან მატჩისთვის გადაწყობას და პირველ ნომრად თამაშს?**

- ახლავე ვამბობ, რომ ხუთი ფორვარდის დაყენებას და უკანმოუხედავად შეტევას არ ვაპირებთ, რადგან მოგება დაცვის დალაგებით იწყება. მაგრამ უნდა შევუტიოთ კიდეც და მოვიგოთ.

**- დღეს თქვენ და გუნდი ერთიანი იყავით...**

- სულ ასეა. ან საიდან მოიტანეს, რომ გუნდში დაძაბულობაა?!

**- ხიზანიშვილის არყოფნა რამ გამოიწვია?**

- იმან, რომ ცენტრალური მცველების უმრავლესობა ყვითელი ბარათების ზღვარზე იყო და თამაშამდე ამაზე ზურას ველაპარაკე. მაგრამ დღეს ბიჭებმა ისე ითამაშეს, ამ საკითხზე კიდევ დავფიქრდები.

**- დღეს ფეხბურთელები სათამაშო დისციპლინას იცავდნენ, რასაც ბევრ სხვა შეხვედრაზე ვერ ვიტყვით...**

- ალბათ, ბოლო ამხანაგურ შეხვედრებს გულისხმობთ. გარკვეულწილად, ეს ლოგიკურიც არის, რადგან ოფიციალურ მატჩში ფეხბურთელები უფრო მეტად არიან მობილიზებულები და აცნობიერებენ, რამხელა პასუხისმგებლობა აკისრიათ.

**- გპირდებით ფინეთთან მოგებას?**

- ასეთ დაპირებებს შეჩვეული არ ვარ და არც მიყვარს, მაგრამ ფრანგებთან ნაჩვენები თამაშით ფინეთს უნდა მოვუგოთ.

**- დღეს გამოჩნდა, რომ ამ ნაკრებისთვის ოპტიმალური დაცვითი ფეხბურთია...**

- დიახ, ასეა. ტაქტიკას ქართული ფეხბურთის მდგომარეობა გვკარნახობს.

**მერაბ მამულაშვილი**

## მეტოქეები

| I ჯგუფი | |
|---|---|
| ფინეთი-ესპანეთი | 0:2 |

**გოლები:** 0:1 ალბა (19), 0:2 ნეგრედო (86)

**ფინეთი:** მაენპაა, ჰალსტი, არკივუო, მოისანდერი, პასანენი, ერიომენკო, ტაინიო (69. რისკი), ტოივიო, შულერი, რინგი (69. ჰამალაინენი), პუკი (ზენელი, 81).

**ესპანეთი:** კასილიასი, სუარესი, ალბიოლი, რამოსი, ალბა, კოკე, ჩავი, ინიესტა, პედრო (81. კასორლა), ფაბრეგასი (71. ნეგრედო), ვილია (55. ნავასი).

**გაფრთხილება:** სუარესი (90)

**კარში დარტყმა:** 7-10; **კარისკენ დარტყმა:** 3-4; **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:** 0-0; **ჯარიმა:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:2 | 14 |
| 2. საფრანგეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| 3. ფინეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| 4. საქართველო | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| 5. ბელარუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |

**დარჩენილი მატჩები**

**10 სექტემბერი**
საქართველო-ფინეთი
ბელარუსი-საფრანგეთი

**11 ოქტომბერი**
ესპანეთი-ბელარუსი

**15 ოქტომბერი**
ესპანეთი-საქართველო
საფრანგეთი-ფინეთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. XVIII ტური

# პირველი წრე კრუზეიროსია

**გოიასი-გრემიო 2:0**

**გოლები:** 1:0 ვალტერი (14), 2:0 ვალტერი (71)

**ფლამენგო-ვიტორია 2:1**

**გოლები:** 1:0 ერნანი (23), 2:0 ერნანი (44), 2:1 ჟუანი (90)

**ატლ. პარანაენსე-სანტოსი 2:1**

**გოლები:** 1:0 მარსელო (7), 2:0 მარკო ანტონიო (38), 2:1 ემერსონი (87)

**პორტუგეზა-პონტე პრეტა 2:1**

**გოლები:** 1:0 ჟილბერტო (41-პენ), 2:0 ჟილბერტო (49), 2:1 ადრიანინიო (90)

**ბაია-კრუზეირო 1:3**

**გოლები:** 0:1 ბორჟესი (25), 0:2 ევერტონ რიბეირო (40), 1:2 ფაელი (69), 1:3 ჟულიო ბაპტიშტა (90)

**ინტერნასიონ.-კორინთიანსი 1:0**

**გოლი:** 1:0 დალესანდრო (54)

**ატლ. მინეირო-ფლუმინენსე 2:2**

**გოლები:** 0:1 ვაგნერი (14), 1:1 რონალდინიო (45), 1:2 რაინერი (72), 2:2 რონალდინიო (83)
**გაძევება:** რაინერი (83. ფლუმინენსე)

**ბოტაფოგო-კორიტიბა 3:1**

**გოლები:** 1:0 რაფაელ მარკეში (14), 2:0 იური (40), 3:0 იური (50), 3:1 ალექსი (58-პენ)
**გაძევება:** რენანი (55. ბოტაფოგო), მაიკინიო (85. კორიტიბა)

**სან პაულო-კრისიუმა 1:2**

**გოლები:** 0:1 მარსელი (25-პენ), 0:2 ლინსი (42), 1:2 ალოიზიო (69)

ნაუტიკო-ვასკო 0:3
**გოლები:** 0:1 ვილი (48), 0:2 მარლონი (52), 0:3 მარლონი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 18 | 11 | 4 | 3 | 41-18 | 37 |
| 2. ატლ. პარან. | 18 | 9 | 6 | 3 | 34-24 | 33 |
| 3. ბოტაფოგო | 18 | 9 | 6 | 3 | 30-20 | 33 |
| 4. გრემიო | 18 | 9 | 4 | 5 | 23-17 | 31 |
| 5. კორინთიანსი | 18 | 7 | 8 | 3 | 19-8 | 29 |
| 6. ინტერნასიონ. | 17 | 6 | 9 | 2 | 28-24 | 27 |
| 7. გოიასი | 18 | 6 | 8 | 4 | 19-21 | 26 |
| 8. კორიტიბა | 18 | 6 | 7 | 5 | 21-20 | 25 |
| 9. კრისიუმა | 18 | 7 | 2 | 9 | 24-29 | 23 |
| 10. ვასკო | 18 | 6 | 5 | 7 | 29-32 | 23 |
| 11. ბაია | 18 | 6 | 5 | 7 | 18-23 | 23 |
| 12. ვიტორია | 18 | 6 | 4 | 8 | 22-26 | 22 |
| 13. სანტოსი | 16 | 5 | 7 | 4 | 19-14 | 22 |
| 14. ფლამენგო | 18 | 5 | 7 | 6 | 19-22 | 22 |
| 15. ატლ. მინეირო | 17 | 5 | 6 | 6 | 17-21 | 21 |
| 16. ფლუმინენსე | 18 | 5 | 4 | 9 | 21-26 | 19 |
| 17. პორტუგეზა | 18 | 4 | 7 | 7 | 24-29 | 19 |
| 18. სან პაულო | 18 | 4 | 6 | 8 | 17-20 | 18 |
| 19. პონტე პრეტა | 17 | 4 | 3 | 10 | 19-27 | 15 |
| 20. ნაუტიკო | 17 | 2 | 2 | 13 | 9-32 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 „ ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 10 „ ვილიამი (პონტე პრეტა); 8 „ ბიანკუჩი (ვიტორია), რაფაელ მარკეში (ბოტაფოგო), ვალტერი (გოიასი), ანდრე (ვასკო და გამა)



ახალგაზრდა იურის ულამაზეს გოლს კლარენს ზეედორფი ულოცავს

**ბრაზილიის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი, მაგრამ უკვე გაირკვა, რომ სეზონის პირველ ნაწილს „კრუზეირო“ მოიგებს. ასევე, ამ ტურის შემდეგ თითქმის გადაწყდა „ნაუტიკოს“ ამბავიც „ ამ გადმოსახედიდან წარმოუდგენელია, რომ რესიფელებმა ლიგაში ადგილის შენარჩუნება მოახერხონ.**

## ბაპტიშტას მორიგი გოლი

სამშობლოში დაბრუნებულმა **ჟულიო ბაპტიშტამ** მეორე მატჩი ითამაშა და მეორე გოლიც შეაგდო. ამჯერად, „სევილიას“, „რეალის“, „რომას“, „არსენალის“ და „მალაგას“ ყოფილმა ფეხბურთელმა უკანასკნელ წუთზე გაიტანა და „კრუზეიროს“ ქომაგები დაამშვიდა. „მელიები“ „ბაიას“ 25-ე წუთიდან მოყოლებული უგებდნენ „ სტუმრები **ბორჟესმა** დააწინაურა, რასაც მალე **ევერტონ რიბეიროს** გოლიც მოჰყვა. მეორე ტაიმში, მასპინძლების მხრიდან თავი **ფაელმა** გამოიჩინა და შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა, ბოლოს კი ბაპტიშტას ჯერი დადგა.

„კრუზეირომ“ ბრაზილიის 2-გზის ჩემპიონს ზედიზედ მესამედ მოუგო, სულ კი ამ კლუბთან „მელიებს“ უკვე 19 წელია არ წაუგიათ. ამ ხნის განმავლობაში გამართული 14 მატჩიდან „კრუზეირომ“ 12-ში იმარჯვა და მხოლოდ ორი დაასრულა ფრედ.

## ვალტერის ორი გასროლა

მეორე ადგილზე მყოფმა „გრემიომ“ 5-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა და „გოიასთან“ დამარცხდა. სტუმრებს რამდენიმე ლიდერი არ ჰყავდათ, მაგრამ წაგება მაინც მოულოდნელი იყო. შეხვედრის გმირი გახდა „პორტუს“ ყოფილი ფორვარდი **ვალტერი**, რომელმაც დუბლი გაიფორმა და ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც კი გაერია. 24 წლის ფორვარდმა სერია A-ში თავისი მე-7 და მე-8 გოლები გაიტანა, გარდა ამისა, ვალტერმა გოიასის შტატის ჩემპიონატში მეტოქეთა კარი 11-ჯერ აილო, თასზე კი 4 გოლი გაიტანა. როგორც ხედავთ, „პორტუს“ საკუთრებაში მყოფი ფორვარდი საკმაოდ კარგ ფორმაშია და არ გამოვრიცხოთ, რომ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, პორტუგალიის ჩემპიონმა ის თავისთან დაიბრუნოს.

ამასობაში, „გოიასმა“, ყველასთვის მოულოდნელად, 7-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია გამოაცხო და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზეც გადავიდა.

## ატლეტიკოს სერია გრძელდება

„ატლეტიკო პარანაენსეს“ საოცარი სერია გრძელდება. **ვაგნერ მანსინის** გუნდმა, რომელსაც უკვე 11 მატჩია არ წაუგია, „სანტოსს“ მოუგო და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. არადა, 8 ტურის შემდეგ „ატლეტიკოს“ მხოლოდ 7 ქულა ჰქონდა და ბოლოსწინა პოზიციაზე იყო. იქიდან მოყოლებული, 10 შეხვედრაში „პარანაენსემ“ 26 ქულა (8 მოგება, 2 ფრე) დააგროვა და ბოლოდან მეორე ადგილიდან, მეორე ადგილამდე ალზევდა.

„სანტოსთან“ არ გაუტანია გუნდის და ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერ **ედერსონს**, სამაგიეროდ თავი **მარსელომ** (მე-3 გოლი) და **მარკო ანტონიომ** (პირველი) გამოიჩინეს. სტუმრებმა შეხვედრის ბოლოსკენ მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხეს „ გოლი 19 წლის მცველმა **ემერსონმა** გაიტანა. მართალია, „სანტოსი“ ცუდად ასპარეზობს და გასავარდნ ზონას მხოლოდ 3 ქულით უსწრებს, მაგრამ **კლაუდინეი ოლივეირას** გუნდს სხვებთან შედარებით ორი მატჩით ნაკლები აქვთ გამართული, თანაც „სანტოსში“ ძალიან ბევრი ნიჭიერი თინეიჯერი ირიცხება, რომლებიც წელს თუ არა, მომავალ სეზონში წარმატებას აუცილებლად მიაღწევენ.

## იურის წარმატებული დებიუტი და საოცარი გოლი

„ბოტაფოგომ“ „კორიტიბას“ უმასპინძლა და როგორც მოსალოდნელი იყო, იოლადაც მოუგო. მასპინძელთა მხრიდან პირველი ბურთი **რაფაელ მარკეშმა** გაიტანა და ამაში გასაკვირი არაფერია „ 29 წლის ფორვარდი ხომ შესანიშნავ ფორმაშია. სამაგიეროდ, გასაკვირი იყო ის, რომ მატჩის გმირი ყველასთვის უცნობი ფეხბურთელი გახდა. 21 წლის **იური ენრიკე დე ოლივეირია კოშტა**, ან უბრალოდ **იური**, რომელიც წელს „აუდაქს რიოში“ თამაშობდა და „ფოგოში“ სწორედ იქიდან გადავიდა, თავის პირველ შეხვედრას ატარებდა და ამაზე უკეთეს დებიუტზე ალბათ ვერც იოცნებებდა, „ იურიმ დუბლი შეასრულა, ერთ-ერთი გოლი კი არანორმალური და საოცარი დრიბლინგის შემდეგ გაიტანა. ყველას გირჩევთ, არ დაიზაროთ და ეს გოლი ინტერნეტში მოიძიოთ.

„კორიტიბას“ ლიდერებიდან ამ შეხვედრაში მხოლოდ **ალექსმა** ითამაშა, ვინც 58-ე წუთზე პენალტიც გამოიყენა, თუმცა მიუხედავად მეტოქის კაცნაკლულობისა, „კორიტიბამ“ მეტი ვერაფერი მოახერხა. ეს გუნდი შინ ძალიან კარგად კი თამაშობს, მაგრამ გასვლაზე ერთ-ერთი ყველაზე სუსტია და ეს წაგებაც გასაკვირი ნამდვილად არ ყოფილა.

## კონტინენტის ჩემპიონი და ბრაზილიის ჩემპიონი

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბის და ბრაზილიის ჩემპიონის მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. „ფლუმინენსე“ მეტოქეს ორჯერ უგებდა, მაგრამ **რონალდინიომ** საჯარიმო დარტყმებით ანგარიში ორჯერვე გაათანაბრა.

„ფლუს“ „ატლეტიკოსთან“ თამაში ტრადიციულად უჭირს. გარდა ურთიერთშეხვედრებში არსებული მკვეთრად უარყოფითი ბალანსისა, ბრაზილიის 2012 წლის ჩემპიონს ბელუ ორიზონტიში ისტორიის განმავლობაში მხოლოდ სამი მატჩი აქვს მოგებული, რაც მართლაც ძალიან ცუდი შედეგია.

წინა სეზონის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი სერია A-ს ამ გათამაშებაში ძალიან ცუდად გამოდიან და 18 ტურის შემდეგ გასავარდნ ზონასთან იმყოფებიან. თუ „ატლეტიკოს“ ჩავარდნა ლიბერტადორესის თასზე ყურადღების გადატანით აიხსნება, „ფლუს“ ასეთი ცუდი ასპარეზობის მიზეზის დადგენა რთულია. **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გუნდი „პორტუგეზას“ მხოლოდ მეტი მოგებული მატჩის ხარჯზე ჯობნის და თუ დროულად არ გამოილვიძა, არაა გამორიცხული ლიგის დატოვების საფრთხის წინაშეც დადგეს.

## ორი სერიის დასასრული

„ინტერნასიონალი“ და „კორინთიანსი“ ურთიერთშეხვედრას ხანგრძლივი სერიებით შეხვდნენ. მასპინძლებს ბოლო 6 მატჩი ფრედ ჰქონდათ დასრულებული და სულ ბოლო 7 ტურში არ ემარჯვათ, „კორინთიანსს“ კი 10-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია ჰქონდა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, იმარჯვა იმან, ვისაც მოგების გემო დავიწყებული ჰქონდა.

ორივე გუნდს საკმაოდ სერიოზული დანაკლისი ჰქონდა, ვინაიდან თავიანთ ეროვნულ გუნდში გამოძახებული ფეხბურთელები ამ მატჩში მონაწილეობას ვერ იღებდნენ. საბოლოოდ, ამ დანაკლისმა უფრო მეტად „ტიმაოზე“ იმოქმედა, **ტიტეს** შეგირდებმა საკმაოდ ცუდად ითამაშეს და დამსახურებულად წააგეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ანდრეს დალესანდრომ** გაიტანა და „ინტერს“ ნანატრი გამარჯვება მოუტანა.

ორი სიტყვა აუტსაიდერებზეც უნდა ვთქვათ. „სან პაულომ“ თითქოს გამოილვიძა, ბოლო 4 ტურში 8 ქულა მოაგროვა, მაგრამ მორიგ შეხვედრაში **პაულო აუტუორის** გუნდი კვლავ დამარცხდა. „კრისიუმამ“ „მორუმბიზე“ ისტორიაში პირველად იმარჯვა და სახიფათო ზონას დაშორდა.

მორიგი, ზედიზედ მე-6 მარცხი განიცადა „ნაუტიკომ“, თანაც ამ შეხვედრებში გუნდმა მხოლოდ 1 (!) გოლი გაიტანა. „ვასკოდან“ ისევ გაიტანა 20 წლის **ვილიმ**, ვინც წინა ტურში („კრუზეიროსთან“, 3:5) დუბლი შეასრულა, ორი გოლი კი 21 წლის **მარლონის** ანგარიშზეა.

კვირა ციფრებში

# სარეკორდო ტრანსფერი და კარგი სტარტი

**დღევანდელ კვირის მიმოხილვაში გარეთ ბეილის სარეკორდო ტრანსფერზე, მიუნხენის „ბაიერნის“, „ლივერპულის“ და მარეკ ჰამშიკის წარმატებულ ასპარეზობასა და „გუანჯოუ ევერგრანდის“ შეწყვეტილ სერიაზე ვისაუბრებთ...**

**100** - მილიონი ევრო გადაიხადა მადრიდის „რეალმა“ **გარეთ ბეილში** და ახალი სატრანსფერო რეკორდი დაამყარა. უელსელმა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის სტატუსი ახალ თანაგუნდელ **კრიშტიანო რონალდოს** ჩამოართვა, რომელშიც, თავის დროზე, „სამეფო კლუბმა“ 94 მილიონი ევრო გაიღო.

საერთოდ, „რეალი“ სატრანსფერო ბაზრის ბოლო 5 რეკორდის მფლობელია. ბეილამდე მადრიდელებმა **ლუიშ ფიგუ** (45 მილიონი ევრო, 2000 წელს), **ზინედინ ზიდანი** (65 მილიონი, 2001), **კაკა** (70 მილიონი, 2009) და რონალდო (94 მილიონი, 2009) შეიძინეს.

რიცხვი „100“ „ბარსელონას“ მიმართებაშიც უნდა ვიხმაროთ, ოღონდ საუბარი არა ფულზე, არამედ გოლებზე გვექნება. როდესაც ერთი წინადადებაში „ბარსელონა“ და „გოლი“ ფიგურირებს, იქვე ახლოს **ლიონელ მესიც** უნდა ენეროს. ასეა ამჯერადაც „ „ბარსელონას“ ლიდერმა „ვალენსიასთან“ ჰეთთრიქი შეასრულა და ახლა, არგენტინელს ლა ლიგაში, სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ზუსტად 100 გოლი აქვს გატანილი. ამით, მესიმ ესპანეთის ჩემპიონატის კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა და **უგო სანჩესს** ერთი გოლით გაასწრო. 26 წლის არგენტინელმა „მესტალიაზე“ სამი გოლი პირველივე ტაიმში შეაგდო და მსგავსი ჰეთთრიქი უკვე მესამედ შეასრულა. მანამდე, „პულგამ“ 45 წუთში სამჯერ „არსენალის“ (2010 წლის აპრილი) და „მალიორკას“ (2011 წლის ოქტომბერი) აილო.

**22** - მატჩი წაგების გარეშე - „გუანჯოუ ევერგრანდის“ ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია შაბათს, „ტიანჯინ ტედასთან“ გამართული შეხვედრაში დასრულდა. ჩინეთის ჩემპიონატის ლიდერმა, ვისაც უკანასკნელი მატჩი აპრილში, აზიის ჩემპიონთა ლიგაში ჰქონდა წაგებული („ურავა რედ დაიმონდსთან“), ხოლო ქვეყნის მასშტაბით თავს 10-თვიანი დაუმარცხებელი სერიით იწონებდა, გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატს ვერაფერი მოუხერხა და 0:1 წააგო. მიუხედავად ამ მარცხისა, **მარჩელო ლიპის** გუნდი დამაჯერებლად ლი-



დერობს, უახლოეს მდევარს 14 ქულით უსწრებს და მალე ჩემპიონის ტიტულსაც გაიფორმებს.

**3** - მწვრთნელს აქვს ევროპის სუპერთასი ორი სხვადასხვა გუნდში მუშაობისას მოგებული. **პეპ გვარდიოლამ** სერ **ალექს ფერგიუსონის** და **ლუის ვან გაალის** მიღწევა გაიმეორა. „ბარსელონას“ ყოფილმა დამრიგებელმა გერმანული გუნდების საოცრად უილბლო სერიაც დაასრულა და ამ ქვეყნის წარმომადგენელს ეს ტიტული პირველად მოაგებინა. აქამდე, გერმანელებს სუპერთასზე 7-ჯერ ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული და ყველა შემთხვევაში, ალემანები მოედანს დამარცხებულნი ტოვებდნენ, თავად „ბაიერნს“ კი სამიდან სამი წაგება ჰქონდა.

„ჩელსისთან“ გამართული შეხვედრის გადამწყვეტი გოლი **ხავი მარტინესმა** 121-ე წუთზე გაიტანა, ანგარიში გაათანაბრა და მატჩი პენალტების სერიაში გადაიყვანა, სადაც უფრო ძლიერი მიუნხენური კლუბი აღმოჩნდა. ამ გამარჯვებით, „ბაიერნი“ „იუვენტუსს“, „აიაქსს“, „ბარსელონას“ და იმავე „ჩელსის“ გაუთანაბრდა. „ უეფას ეგიდით გამართული ოთხივე საკლუბო ტურნირი (ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, იგივე ევროპა ლიგა, თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი) მხოლოდ ამ კლუბებს აქვთ მოგებული.

**3** - „ მოგება, ყველა ანგარიშით 1:0 „ლივერპულმა“ უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში საუკეთესო სტარტი აილო. უმაღლესი ლიგის ისტორიაში, მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როდესაც გუნდმა სეზონი სამი 1:0-ით დაიწყო, თუმცა „მანჩესტერ სიტის“ (1912/13) და „ჰადერსფილდის“ (1920/21) წარმატებული სტარტი ერთი ფეხბურთელის „ბრალი“ არ ყოფილა, „ლივერპულის“ შემთხვევაში კი სამივე გოლი **დანიელ სტარიჯმა** გაიტანა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

ახალგაზრდა ინგლისელი ფორვარდი ასევე პირველი ფეხბურთელია **რობი ფაულერის** შემდეგ, ვინც „ლივერპულის“ პირველ სამ შეხვედრაში გაიტანა. „ღმერთმა“, როგორც მას „ლივერპულის“ ქომაგებმა შეარქვეს, ზედიზედ სამ შეხვედრაში თავის გამოჩენა 1994/95 წლების სეზონის სტარტზე მოახერხა.

**2** - გოლი თითო შეხვედრაში **მარეკ ჰამშიკმა** „ნაპოლის“ პირველ ორ მატჩში დუბლი შეასრულა და **ალესანდრო დელ პიეროს** (2002/03) შემდეგ, გახდა სულ მეორე მოთამაშე, ვინც სერია A-ს პირველ ორ ტურში ორი დუბლი გაიფორმა.

გაიტანა **კარლოს ტევესმაც**, მისმა „იუვენტუსმა“ კი „ლაციო“ გაანადგურა „ 4:1. აღსანიშნავია, რომ ტევესი უკვე 5 წელია არ დამარცხებულა იმ შეხვედრებში, რომელშიც მას გოლი გაჰქონდა. ბოლო 46 მატჩიდან, რომელშიც ტევესმა გაიტანა, მისმა გუნდებმა 42 მოიგეს და მხოლოდ 4 დაასრულეს ფრედ.

სერია A-ს მეორე ტურში სულ 43 გოლი გავიდა, რაც 2005 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

● ჭადრაკი

# ქართველები უცხოეთში პირველობენ

**ზაფხულის პერიოდში ქართველმა მოჭადრაკეებმა წარმატებით ითამაშეს უცხოურ საერთაშორისო ტურნირებში, მაგალითად, მიხეილ მჭედლიშვილმა და გიგა ყუფარაძემ მთავარ პრიზებსაც გამოჰკრეს ხელი.**



გიგა ყუფარაძე

## იტალია

პორტო სან ჯორჯოში 12 ქვეყნის 72 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს მოჭადრაკეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში პირველობას. ბოლო ტურის წინ 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულით მასპინძელი დანიილ დვირნი მეწინავეობდა ერთპიროვნულად. იგი მე-9 ტურში შავი ფიგურებით თანამემამულე ალესიო ვალსეჩის დაუზავდა და 7 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა მოაგროვეს საქართველოს ნაკრების წევრმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** და ოლეგ რომანიშინმა (უკრაინა), რომლებმაც, შესაბამისად, დავით ექლესტონი (ინგლისი) და ნიკოლას პალტრინიერი (იტალია) დაამარცხეს. უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი მჭედლიშვილმა დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები დვირნიმ და რომანიშინმა გაიყვეს.

## თურქეთი

ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა მოჭადრაკეთა ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლეს. ჩანაკელიში ტროას ფესტივალზე შესანიშნავად იასპარეზა **გიგა ყუფარაძემ.** ბოლო ტურის წინ ქართველ საერთაშორისო ოსტატს 7 ქულა ჰქონდა და ერთბაშად შვიდ მოჭადრაკეს, მათ შორის **ნოე თუთისანს, შოთა ახალაძეს** და **ბაჩანა მორჩიაშვილს**, ნახევარ-ნახევარი ქულებით უსწრებდა. ყუფარაძემ გადამწყვეტ ტურში სწორედ თანამემამულე აზალაძეს აჯობა და 8 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. თუთისანი თეთრი ფიგურებით ჰანდზარ ოდეევთან (თურქმენეთი) დამარცხდა, ორხან ემინოვმა (თურქეთი) შავებით აიდინ დუმანს (თურქეთი) აჯობა, ხოლო მორჩიაშვილი და შაჰრიარ რახმანოვი (აზერბაიჯანი) დაზავდნენ. ამდენად, ყუფარაძე 8 ქულით პირველ ადგილზე გავიდა, ემინოვმა და ოდეევმა 7,5-7,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 6. **ბაჩანა მორჩიაშვილი** (7), 14. **შოთა აზალაძე** (6,5), 19. **ნოე თუთისანი** (6,5), 41. **არმენ გრიგორიანი** (6).

მოჭადრაკეებმა ჩანაკელიდან კაშანში გადაინაცვლეს, სადაც საქართველოს 8 წარმომადგენელი მონაწილეობდა. პირველი ადგილის ბედი აქაც ბოლო ტურში გადაწყდა, რადგან 3 მოჭადრაკეს 6,5-6,5, ხოლო 6 მოჭადრაკეს 6-6 ქულა ჰქონდა. მე-9 ტურში ყუფარაძე და ალექსანდრ დელჩევი (ბულგარეთი) მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, **დავით ბენიძემ** ვუგარ რასულოვთან (აზერბაიჯანი) გაიყო ქულა. შოთა აზალაძეს მეტოქე — ჰანდზარ ოდეევი (თურქმენეთი) არ გამოუცხადდა და გათამაშების ცხრილში მუქთი ქულა ჩაიწერა, ორხან ემინოვმა (თურქეთი) **არმენ გრიგორიანს** (თბილისი) აჯობა, ხოლო **გიორგი ბაღათუროვმა** არიან ჩულამი (თურქეთი) დაამარცხა. ამდენად, ბოლო ტურის შემდეგ 5 მოჭადრაკეს 7-7 ქულა აღმოაჩნდა. დამატებითი მაჩვენებლებით ადგილები ასე განაწილდა: ვუგარ რასულოვი, ალექსანდრ დელჩევი, **გიგა ყუფარაძე**, ორხან ემინოვი, **შოთა აზალაძე.**

დანარჩენ ჩვენიანთა შედეგები: 6. **გიორგი ბაღათუროვი** (6,5), 7. **დავით ბენიძე** (6,5), 10. **ბაჩანა მორჩიაშვილი** (6,5), 14. **ნოე თუთისანი** (6. იგი 16 წლისაა), 15. **არმენ გრიგორიანი** (6), 16. **ივერი ჭილლაძე** (6), 50. **მარიამ ჭოლაძე** (5).

ვაჟა **დანელია**

● კრივი. თაობა

# დაუვიწყარი 1993 წელი

ბოლო წლებში ქართულ კრივში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე სხვადასხვა სინჯის მედლები საოცნებო გაგვიხდა. არადა იყო დრო, როდესაც ცალკეული მოკრივეებისთვის მსოფლიოს ჩემპიონობა და პრიზიორობა წარმოუდგენელი არ ყოფილა და ჩვენი სპორტსმენები გუნდურადაც შთამბეჭდავ შედეგს აჩვენებდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით 1993 წლის თაობაა გამორჩეული. ზუსტად ოცი წლის წინათ, 1993 წელს საქართველოს ნაკრებმა ჯერ მსოფლიოს (ტამპერე, 7 - 16 მაისი), ხოლო შემდეგ ევროპის (ბურსა, 6 - 12 სექტემბერი) ჩემპიონატებზე ერთად 6 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა. გამორჩეულად წარმატებული **გიორგი კანდელაკის** ასპარეზობა გამოდგა. მაშინ ჯერ კიდევ 18 წლის სპორტსმენმა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალს, ევროპის ჩემპიონატზე ოქროც მიუმატა. მაშინდელ ნაკრებს და მოკრივეთა ასპარეზობებს დღეს გიორგი კანდელაკთან და გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელ **ავთანდილ შოშიაშვილთან** ერთად გავიხსენებთ.

„იმ სეზონში პირველად ჯერ მსოფლიოს, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ჩემი შეგირდი გიორგი კანდელაკი მაშინ მართალია, ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, მაგრამ არც დიდებში ჰყავდა ბადალი. მეტიც, 1992 წელს ახალგაზრდებს შორის სულაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჰქონდა მოპოვებული. მიუხედავად ამისა, ნაკრების მწვრთნელები (ზურაბ გუნია, როლანდ კვაჭაძე) სიფრთხილეს იჩენდნენ, დიდებს შორის საასპარეზოდ გაყვანას არ ჩქარობდნენ. ასაკით პატარაა, გამოუცდელია და შეიძლება დარტყმები გამოეპაროსო. მე დაჟინებით ვითხოვდი კანდელაკის გუნდში დაყენებას, ვინაიდან მჯეროდა მისი შესაძლებლობების და ბოლოს, საბედნიეროდ, დამიჯერეს" — იხსენებს ავთანდილ შოშიაშვილი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გიორგიმ ფინალამდე გზა წარმატებით განვლო. სადებიუტო დაპირისპირებაში გერმანელ მოწინააღმდეგეს მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩამორჩებოდა ქულებით, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა, ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ბოლო წამებზე გადამწყვეტი იერიშით დაწინაურდა კიდეც. შემდეგ კიდევ ერთი მეტოქე დაამარცხა, ნახევარფინალში კი სომეხ არშაკ ავერტეკიანს აჯობა. ფინალში კანდელაკი კუბელ ფელიქს სავონთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. თუმცა ჭაბუკი ქართველისთვის მოპოვებული ეს ტიტულიც ცხადია, დიდი შედეგი იყო.

„სავონი მსოფლიოს სამოყვარულო კრივის ისტორიაში ქვემძიმე წონის ყველაზე ტიტულოვანი მოკრივეა. ის ფიზიკურად ძლიერი, ტანმაღალი სპორტსმენი გახლდათ. მე კი ყოველთვის ტექნიკური პაექრობა მიტაცებდა. სავონმა ძირითადად თავისი ზემოაღნიშნული კოზირის ხარჯზე მაჯობა, თუმცა უდიდესი მნიშვნელობა ფიზიკურ აღნაგობაში ჩვენს ასაკობრივ განსხვავებას ჰქონდა. ახლა მაშინდელი ჩემი შეხვედრების ვიდეოებს რომ ვუყურებ, მეღიმება. 18 წლის, 86 კგ ვიყავი. ამ ასაკში თანატოლთან ორთაბრძოლა სულ სხვაა და უფროსთან — სხვა. მერწმუნეთ, 26 – 27 წლისა რომ შევხვედროდი სავონს, აბსოლუტურად საპირისპირო შედეგს ვიხილავდით. ამ დროს ორგანიზმი ჩამოყალიბებულია, სუნთქვა გაცილებით უკეთესია, აღარაფერს ვამბობ დაგროვილ გამოცდილებასა და ტაქტიკურ განსწავლულობაზე. აღსანიშნავია, რომ ქვემძიმე წონაში კუბის ნაკრების მეორე ნომერს ყოველთვის ვჯობნიდი. 26 წლისა, როდესაც უკვე პროფესიონალებში გამოვდიოდი, ლენოქს ლუისის კლუბში ვარჯიშისას მძიმე წონაში ბრიტანეთის პირველი ნომერი ოდლი ჰარისონი მომიყვანეს, რომელიც სიდნეის ოლიმპიადისთვის (2000 წ) ემზადებოდა. გეფიცებით, ოთხ-ხუთ სპარინგში შევხვდი და ისე მოვუგე, მისი მწვრთნელი მეუბნებოდა, ეგრე გამეტებით ნუ სცემო, ჰარისონი იქიდან და, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!" — იხსენებს გიორგი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მსოფლიოს ჩემპიონატზე კუბის მაშინდელი გუნდის საოცრად წარმატებული გამოსვლა. თავად განსაჯეთ, მათი 11 მოკრივიდან 8 ჩემპიონი გახდა და 3 ფინალისტი! „მეტსაც გეტყვით, კუბელებს კიდევ მეტი ჩემპიონი შეიძლება ჰყოლოდათ. სამი წაგებული ფინალიდან, კუბელები კასამაიორი (54 კგ) და კარიონი (57 კგ) ბულგარელებთან, შესაბამისად ხრისტოვთან და ტოდოროვთან დამარცხდნენ. AIBA – ს (სამოყვარულო კრივის მსოფლიო ასოციაცია) პრეზიდენტი მაშინ ბულგარელი გენჩევი გახლდათ და მსაჯების „დამსახურებით" ბულგარელთა მიერ კუბელებთან მოგებულ აღნიშნულ ფინალებს მთლად სუფთა არ ეთქმოდა" - გვეუბნება შოშიაშვილი. 57 კგ-ში კარიონთან და ტოდოროვთან ერთად კვარცხლბეკზე **რამაზ ფალიანი** იდგა. მას ბრინჯაოს მედალი ერგო. რამდენიმე თვეში ევროპის ჩემპიონატის ფინალი იმავე ტოდოროვმა ამჯერად რამაზს მოუგო და ქართველ სპორტსმენს ვერცხლის მედალი ხვდა წილად. სხვათა შორის, შემდეგ წლებში ფალიანმა ბულგარელთან რევანში მაინც მოახერხა. ევროპის ჩემპიონატზე მედლის ხარისხი გიორგი კანდელაკმაც გააუმჯობესა და შინ ჩემპიონის რანგში დაბრუნდა.

თუმცა იქამდე იყო მოსამზადებელი ეტაპი. „ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრები ბორჯომში ემზადებოდა. ვვარჯიშობდით კალათბურთის დარბაზში, კუსტარულად გაკეთებული კრივის ტომრებით. მეცადინეობის შემდეგ გავდიოდით იქვე სტადიონზე და მინდორზე სარწყავი სისტემის რეზინის შლანგების საშუალებით ერთმანეთს ხელდახელ გაკეთებული შადრევნით წყალს ვავლებდით. ვცხოვრობდით სასტუმროს მე-11 სართულზე დევნილებთან ერთად. რა გასაკვირია, რომ კვებაც არ ყოფილა სახარბიელო..." — გვიყვება გიორგი კანდელაკი. და მაინც, ბურსაში ევროპის ჩემპიონატზე თითო ოქროს და ბრინჯაოს, აგრეთვე ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა ხსენებულ პირობებში გამოვლილმა ჩვენმა გუნდმა. მესამე ადგილზე **პაატა გვასალია** (60 კგ) გავიდა. ერთ-ერთ ფინალისტ რამაზ ფალიანზე ზემოთ მოგახსენეთ. ფინალში იბრძოლა აგრეთვე მძიმეწონოსანმა **ზურაბ სარსანიამ.** „ჩემი ღრმა რწმენით, ზურაბს თავის წონაში ევროპაში იმ დროს ბადალი არ ჰყავდა. ბურსაში მას საჩემპიონო შეხვედრა ასევე ბულგარელ სლივენ რუსილოვთან „წაართვეს". არ იფიქროთ, რომ ვამეტებ, როცა ბულგარელთა მიმართ მსაჯების მიკერძოებას ვიხსენებ. პრეზიდენტის გავლენა მსაჯებზე დიდი იყო. საგულისხმოა, რომ ფინალში სამმა ბულგარელმა გაალწია და სამივე ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის ძალიან ცოტა დააკლდათ საპრიზო ადგილებამდე თენგიზ მესხაძეს და ალბერტ კაზანჯიანს" - ამბობს შოშიაშვილი.



ავთანდილ შოშიაშვილი (მარცხნივ) და გიორგი კანდელაკი

„ამ შეჯიბრებაში ფინალურ ბლოკამდე ორი მეტოქე დავამარცხე. ნახევარფინალში დენი უილიამსს (ინგლისი) მოვუგე. ოქროს მედლისთვის კი ჰოლანდიელ დონ დიეგო პოედერთან მომიწია შეხვედრა. პოედერმა ბურსაში ჩემამდე ყველა მეტოქე ნოკაუტით ჩამოიშორა. ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო და პირველივე რომ მომიქნია, ხელში ისე მწარედ მომხვდა, ვიფიქრე, არ მომტეხოს მეთქი. თუმცა მე ტექნიკურად ვეჩხუბე, ჭკუით ვაჯობე და ჩემპიონი გავხდი" — გვიყვება კანდელაკი.

იმ წელს საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: გიორგი კანდელაკი, რამაზ ფალიანი, ზურაბ სარსანია, პაატა გვასალია, თენგიზ მესხაძე, კობა გოგოლაძე, ალბერკ კაზანჯიანი, აკაკი კაკაურიძე... 90 –იან წლებში ქვეყანაში დასადგურებულმა ქაოსმა ამ შესანიშნავ საკრივო თაობას ბოლომდე არ მისცა შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის საშუალება. მართალია, ზოგიერთმა ტიტულებიც მოიპოვა, მაგრამ ნაწილი სხვა ქვეყანაში გაექცა ქაოსს და იქაური დროშით იბრძოლა, ზოგი ტრაგიკულად დაიღუპა, ზოგმაც ნაადრევად ჩამოკიდა ხელთათმანები ლურსმანზე.

ვასილ **ბალახაძე**
გორიდან

● ჩოგბურთი



# შაფათავა ნახევარფინალში

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომელშიც წარმატებით ასპარეზობს თბილისელი **სოფიო შაფათავა.** პირველ ორ წრეში **ii იანისა** (ჩინეთი) და **განა პოზნიხირენკოს** (უკრაინა) ძლევის შემდეგ გუშინ მეოთხედფინალში რუსი ალიონა ტარასოვა ჩამოიშორა გზიდან — 6:3, 6:3. ქართველი ჩოგბურთელი მე-2 ნომრადაა განთესილი. ნახევარფინალში მე-4 ნომერ **ანასტასია ვასილიევას** (უკრაინა) შეხვდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილში **ევგენია როდინა** (რუსეთი) და **მარგარიტა გასპარიანი** (რუსეთი) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

წყვილთა პაექრობაში მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** და **იულია კალაბინა** (რუსეთი) **ამინათ კუშხოვას** (რუსეთი) და **განა პოზნიხირენკოს** (უკრაინა) დუეტთან პირველ სეტში 0:3 აგებდნენ, კალაბინამ ტრავმა რომ მიიღო და პაექრობა ვერ შეძლო.

ვაჟა **დანელია**

# მხოლოდ უცხოელები

თელავში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) ფინალისტები გამოვლინდნენ. სამწუხაროდ, შვიდი ქართველიდან ნახევარფინალსაც ვერავინ უწია. გუშინ ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ბენჟამინ ტალერეტმა (ჩერნოგორია) რომაინ არნეოდოს (საფრანგეთი) აჯობა — 6:3, 7:6, ხოლო მე-2 ნომერმა ტონი ანდროიჩმა (ხორვატია) ბლაჟეი კონიუშს (პოლონეთი) მოუგო — 6:3, 6:2.

წყვილთა ფინალშიც პირველი და მეორე ნომრები ითამაშებენ: ანდრეოდო (საფრანგეთი), ბალერეტი (ჩერნოგორია) — კონიუში, არკადიუშ კოსილა (ორივე — პოლონეთი).

9 სექტემბერს თელავშივე სტარტს აიღებს ვაჟთა მე-2 თხუთმეტათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს წარმომადგენელთაგან ძალებს მოსინჯავენ **რობერტ ჩაჩავა-რობა, გიორგი რევაზიშვილი, გიორგი ლოქაფიშვილი, დემურ დავითაძე, ირაკლი მეტრეველი, დავით კვერნაძე** და **კარენ სარქისიანი.**

ვაჟა **დანელია**

● ძალოსნობა

## ტალინში შვიდეულით

ესტონეთის დედაქალაქი 21 სექტემბრიდან ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ქართველთაგან ტალინში საასპარეზოდ შვიდი ათლეტი გაემგზავრება. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: 20-წლიანებში - **რამინ შამილიშვილი** (62 კგ, აჭარა), **შოთა მიშველიძე** (69, ქუთაისი), **ირაკლი გაბრიჭიძე** (77, საჩხერე), **ზურიკო თავაძე** (77, ქუთაისი), **ვილიამინ ალექსიძე** (105, აჭარა), **ლაშა ტალახაძე** (+105, საჩხერე), 23-წლიანებში - **გიორგი ლომთაძე** (77, ქუთაისი).

ვაჟა **დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრები

ვალერი ლიპარტელიანი და ავთანდილ ჭრიკიშვილი

**გუშინ „ლელომ“ ბრაზილიაში გამართული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნებს - ავთანდილ ჭრიკიშვილსა (81) და ვალერი ლიპარტელიანს (90) უმასპინძლა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჭრიკიშვილი პრინციპულად არ ატარებს მობილურ ტელეფონს და მისი მოხელთება ფრიად გაგვიჭირდა. როგორც ლიპარტელიანმა განგვიმარტა, არ სურს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არ უყვარს ინტერვიუები, ტელეფონზე საუბარ-მესიჯები და ასე იმიტომ იქცევაო. არადა, მისი დონის ფალავანი მუდამ სასურველი რესპონდენტია. სალაპარაკო ლიპარტელიანთანაც ბევრი დაგვიგროვდა, რომელიც, სამწუხაროდ, უსიამოვნო სკანდალებში გაეხვია - ჯერ იყო და, ჩემპიონატის დასრულებისთანავე რუსმა კირილ დენისოვმა ფეხზე კბენა დააბრალა, ორიოდ დღის წინ ფინალში მისმა მომგებმა კუბელმა ეშლი გონსალესმა კი განაცხადა, ფინალის წინ ქართველებმა ქრთამი შემომაძლიესო... თუმცა ჩვენებურებს ამ უსიამოვნო თემების გარდა, მოსაგონარი და სასაუბრო სხვაც ბევრი ჰქონდათ. მათთან ინტერვიუში ისიც გაირკვა, რომ ნაკრებში დიდი ძეობაა - ვინძლო, ძიუდოისტთა ახალი თაობაც მოდის.**



ვალერი ლიპარტელიანი (მარცხნივ) და ავთანდილ ჭრიკიშვილი

# ლიდერთა დუეტი

> დავით ქევხიშვილმა თქვა ტელევიზიაში, თუ მოგება გინდა, ხელებით და ფეხებით კი არა, კბილებითაც უნდა იბრძოლოო. ჩვენც არაფერი დავაკელით, რომ ოქრო საქართველოში ჩამოგვეტანა, თუმცა იქ კბენა და მსგავსი რამე რომ ყოფილიყო, ხომ დაფიქსირდებოდა ყველაფერი, ვინ გვაპატიებდა?

იმედია, მათ მიერ მოპოვებული ეს დიდი წარმატება ქვეყანაში ძიუდოს განვითარებას კიდევ უფრო წაადგება, მაგრამ ცოტა გასაკვირია, რომ ბრაზილიიდან დაბრუნებულ გუნდს ჯერ არც ოფიციალური შეხვედრა გაუმართეს (თუმცა ქვეყნის პრეზიდენტმა და პრემიერმა სოცქსელებში კი მიულოცეს), არც ევროპის პირველობაზე გამარჯვებისთვის კუთვნილი პრემია მიუღიათ და არც ახალ ჯილდოზე ისმის რამე. ალბათ, პრემიას კი მიიღებენ, მაგრამ ცუდია, რომ ძიუდოს სასახლის მშენებლობაზე ლაპარაკი შეჩერდა. იმედია, სათანადოდ დააფასდება მიღწევები.

## მოგონებანი გარდასულ ჩემპიონატზე

**ლიპარტელიანი:** მე და ავთო ერთ ნომერში ვცხოვრობდით და როცა ჭრიკიშვილმა ფინალი წააგო, სასტუმროში დაბრუნებული მეუბნებოდა, თებერვალში პარიზის „დიდ მუზარადზეც“ ასე მოხდა - მე ვერცხლი მოვიპოვე, შენ კი ჩემპიონი გახდი და ხვალაც მოიგებო. ფინალში რომ გავედი და იქაც კუბელი შემხვდა, როგორ პარიზში, ვიფიქრე, რომ ყველაფერი მართლა ისე მიდიოდა, მაგრამ ვერა, ბოლომდე მაინც არ გამართლდა.

ჩემი გამოსვლით კმაყოფილიც ვარ და უკმაყოფილოც. ორივეს გვქონდა შანსი და შეგვეძლო ოქროს მედლით დაბრუნება, მაგრამ ჭრიკიშვილმა მსაჯების არაობიექტური გადაწყვეტილებებით დაკარგა ჩემპიონობა, კუბელმა კი ტაქტიკურად მაჯობა, ერთმა გაფრთხილებამ გადაწყვიტა ყველაფერი. წინასწარ შეხვედრებში არც ერთს არ გაგვჭირვებია, ნახევარფინალში კი ორივეს რთული ორთაბრძოლა გვქონდა რუს მეტოქეებთან. ტიტულებით ავთოს მოწინააღმდეგე ივან ნიფონტოვი უფრო ძლიერი იყო - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი, მაგრამ ჩემთვის კირილ დენისოვი უხერხული მეტოქეა და ისეთი აზრიც კი ჩამოყალიბდა, რომ თითქოს დაუძლეველი ბარიერია ჩემთვის. საბედნიეროდ, ნავსი გავტეხე და ორჯერ მოვუგე. მისი შეხვედრები ბევრჯერ ვნახე და კარგად შევისწავლე. ის მარცხენა მხარეს ჭიდაობს, რაც არაა ჩემთვის ხელსაყრელი სტილი. თან სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ადრინდელივით ბოლო წუთებში არ დამეშვა შეცდომა. მოსამზადებელ პერიოდში მასზე ბევრი ვიმუშავეთ პერსონალურად, რაშიც ნაკრების მწვრთნელებთან ერთად ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილიც აქტიურად იყო ჩართული. მოგეხსენებათ, ჩვენ ერთი დარბაზიდან მოვდივართ და ერთად გავიზარდეთ. მას მთავარ მწვრთნელ ირაკლი უზნაძესთან პირობაც კი ჰქონდა დადებული, რომ რუსთან შეხვედრაში თვითონ გამყვებოდა მწვრთნელად და ამიტომ იკისრა „სეკუნდანტობა“ ნახევარფინალში. დენისოვთან საჭიდაოდ აქტიურად ვამუშავებდით ყველა ვარიანტს - საიდან უნდა გამეკეთებინა გდება, როგორ ამელო ჩავლება, როგორ დამეწყო თავიდან, როგორ გამეგრძელებინა 2 წუთის მერე, როგორ მეჭიდავა იუკოს ან ვაზარის მოპოვების შემთხვევაში, როგორ შემენარჩუნებინა ანგარიში და სხვა...

**ჭრიკიშვილი:** ცხადია, ფინალში წაგებაზე გული მწყდება, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ - ეს ხომ ჩემი პირველი მედალია მსოფლიოზე. ამისთვის მთელი წელიწადი ვემზადებოდით და ბევრი შრომაც ჩავდეთ. მწვრთნელებიც გვერდში მედგნენ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია - როცა დაძაბული არ ხარ, ფსიქოლოგიურად არ იტვირთები, ეს ბევრს ნიშნავს.

ძალიან რთული შეხვედრები მქონდა, განსაკუთრებით - ნახევარფინალსა და ფინალში. საჩემპიონო ბრძოლაში გამარჯვებისთვის არაფერი დამიკლია, მაგრამ ნიფონტოვის შემდეგ მეტისმეტად მალე მომიწია ჭიდაობა, დასასვენებლად დრო არ მეყო. 15-20 წუთი კიდევ რომ მქონოდა, სულ სხვა ჭიდაობა იქნებოდა. ნიფონტოვთან პაექრობა ძალზე ძნელი იყო - ტატამიდან რომ გამოვედი, მაჯები დაბერილი და დალურჯებული მქონდა, თითებს ვერ ვამოძრავებდი. თუმცა ის ჩემზე მეტად დაილალა, ბრინჯაოსთვის ვერც კი იჭიდავა. ფინალი სამი შეხვედრის შემდეგ მიწევდა, მაგრამ ქალებში ორი ბრძოლა იპონით მალევე დასრულდა, რის გამოც მალევე მომიწია ასპარეზობა. პრაქტიკულად, ბოლო ორი პაექრობა 15 -წუთიანი ინტერვალით გავმართე. ამიტომ ფინალში შესაძლებლობების მხოლოდ 50% გამოვავლინე, თორემ პიეტრისთან ადრეც მომიგია და 4 თვის წინაც დავამარცხე გერმანიაში. უბრალოდ, ახლა როგორც გითხარით, თითებს ვერ ვამოძრავებდი. ამიტომ ფრანგმა პირველი წუთის განმავლობაში ჩავლებებით მაჯობა. არადა, ბავშვობიდან მოყოლებული, არ მახსოვს, ჩემთვის ჩავლებებში ვინმეს ეჯობნოს. მერე კი მოვახერხე განეიტრალება, მაგრამ ქულის აღება მაინც შეძლო. აი, გუნდურში კი სულ სხვა სხვა ჭიდაობა იყო.

**ლიპარტელიანი:** ეს ახალი წესების გამო მოხდა - დღეში მხოლოდ ერთი წონა ჭიდაობდა. თან ბადეებს თუ გადავხედავთ, ჭრიკიშვილს ყველა წრეში ძლიერი მეტოქე ჰყავდა, ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა, პიეტრიმ კი იოლი ბადე გაიარა. ამიტომ უფრო დასვენებული შეხვდა ფინალს.

**ჭრიკიშვილი:** დღესდღეობით ტაქტიკურ შეცდომას თუ დავუშვებ და ისე მომიგებენ, თორემ წონაში ჩემთვის უხერხული მეტოქე არავინაა. შეიძლება კიდევ წავაგო - სპორტში ყველაფერი ხდება, მაგრამ ჭიდაობისას რომ ვუყურებ, ჩემზე ძლიერი არავინაა. მხოლოდ კორეელ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ ჯაებუმ კიმს გამოვყოფ, თუმცა მას კორეაში ერთობლივ შეკრებებზე ვეჭიდავებოდი და ღონით ვჯობივარ. მას არც ტრავმა აწუხებდა და არც არაფერი, მაგრამ რიოში მაინც არ იჭიდავა. ორგანიზმს ვასვენებო, ასე ამბობს, თუმცა ცოლიც მოიყვანა.

**ლიპარტელიანი:** გამოვარჩევდი 73 კილოგრამში გამარჯვებულ იაპონელ შოჰეი ონოს - ის ჩემპიონატის აღმოჩენაა. ფინალიც შთამბეჭდავი იპონით მოიგო და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად ლამაზი სტილის მოჭიდავეა. ნახევარფინალების წინ ნაკრების ძველი მწვრთნელი პეტერ ზაიზენბახერიც მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, გქომაგობთ და თქვენი იმედი მაქვსო. ბოლოსაც მოგვილოცა მედლები, თვითონ კი გახარებული იყო თავისი გუნდის შედეგით. განსაკუთრებით იმით, რომ მისმა შეგირდმა ქართველს მოუგო. ცხადია, გახარებული იყო ელხან მამადოვის ოქროთიც, რომელიც გაგდებული ჰყავდა ნაკრებიდან - ასაკოვანია და აღარ მჭირდებაო.

## ამრავლოთ - სანაკრებო ძეობა!

**ლიპარტელიანი:** სეზონის მთავარი ტურნირები კი დამთავრდა, მაგრამ ქალაქიდან გასასვლელად ვერ ვიცლი, რადგან დღე-დღეზე პირველ შვილს ველოდები. თანაგუნდელებს დასასვენებლად ერთობლივად გასვლა კი გვინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებთ. აგერ, ავთოა თავისუფალი კაცი და ის გაერთოს ყველას ნაცვლად.

**ჭრიკიშვილი:** არც მე ვაპირებ სადმე გასვლას. ვალერის მეჯვარე ვარ, საცაა, ნათლული შემეძინება და სად წავალ? შალვა ქარდავასაც შვილი შეეძინა, არც მისი შვილი გვინახავს ჯერ, ერთი კვირისაა და დღეს მოვინახულებთ ალბათ. ლაშა ზურაბიანის მეჯვარეც ვარ, მასაც შვილი შეეძინა და მალე ნათლობა აქვს. სხვათა შორის, ამ მოკლე პერიოდში ზებედა რეხვიაშვილიც მამა გახდა.

## ლიპარტელიანი ჭორების ეპიცენტრში

**ლიპარტელიანი:** დავით ქევხიშვილმა თქვა ტელევიზიაში, თუ მოგება გინდა, ხელებით და ფეხებით კი არა, კბილებითაც უნდა იბრძოლოო. ჩვენც არაფერი დავაკელით, რომ ოქრო საქართველოში ჩამოგვეტანა, თუმცა იქ კბენა და მსგავსი რამე რომ ყოფილიყო, ხომ დაფიქსირდებოდა ყველაფერი, ვინ გვაპატიებდა? პირიქით - მან დამიწყო მტკივნეული ილეთი მატჩის შემდეგ, რაც ადრეც გაუკეთებია ჩემთანაც და სხვასთანაც. ორთაბრძოლის შემდეგაც ეს ვუთხარი, არ იქცევი სწორად-მეთქი, თან იქვე მიხაილინი და სხვებიც იყვნენ, წაგებით დაღონებული მისი თანაგუნდელები, და ისინი ვაწუგეშე, ვწუხვარ, ასე რომ მოხდა-მეთქი. ეტყობა, დენისოვმა ეს გაიგო ბოდიშად, თუმცა გასაგებია, რატომაც განაწყენდა და რატომ ლაპარაკობს ახლა ასე. მასთან საბოდიშო რა მქონდა?!

გონსალესს რაც შეეხება, კარგი პიროვნებაა, კარგი ურთიერთობა გვაქვს და ვახლობლობთ კიდეც. მას პირველად 2010 წელს შევხვდი მსოფლიოს ჩემპიონატზე და მას შემდეგ კარგი დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა, ბრაზილიაში ნომრებშიც კი შევდიოდით ერთმანეთთან და არ მესმის, რაში დასჭირდა ამის მოგონება. ალბათ, თავის ქვეყანაში გმირობა მოუნდა. როცა ვნახავ, საყვედურსაც ვეტყვი და ტურნირზეც გადავუხდი სამაგიეროს.

## ქართველები და რუსები

**ლიპარტელიანი:** რუსეთის ნაკრების კავკასიელ წევრებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ყველამ მოგვილოცა გუნდურში გამარჯვება. მიხაილინი გვეხუმრა კიდეც, ქართული ღვინო თქვენზეაო. საერთოდ, ის ძალზე კარგი ადამიანია. დენისოვი ცოტა განსხვავებული ტიპია.

**ჭრიკიშვილი:** დენისოვი და ნიფონტოვი სულ ცალკე დადიან, არც თანაგუნდელებს ეკონტაქტებიან და არც - ერთმანეთს. მათი გუნდის სხვა წევრებთან მეგობრული, ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ერთი ავტობუსი გვემსახურებოდა, სულ ერთად გვიწევდა სიარული დარბაზსა და სასტუმროს შორის. ალიმ გადანოვიც და სხვა კავკასიელებიც ყოველთვის გამოგველაპარაკებოდნენ, მოგვიკითხავდნენ. სირაზუდინ მაგომედოვმა გუნდურში ჩემთან წაგების შემდეგ მობილურში თავისი შვილის ფოტო მაჩვენა, გაკვირვებული სახე ჰქონდა ბავშვს - უკვირს, რომ წავაგე, არ სჯერაო, იცინოდა მამა. პატარა შვილი ჰყავს, ძალიან ჰგავდა მას.

ერთი სიტყვით, ყველასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, მხოლოდ ეგ ორია ცოტა განსხვავებული ადამიანი.

## გუნდური ტურნირი

**ჭრიკიშვილი:** გუნდურს ჩვენსავით ვერავინ ჭიდაობს. ასეთი მებრძოლი და ერთსულოვანი ნაკრები სხვა არ მინახავს. ლაშა შავდათუაშვილის თავდადება ცალკე თემაა. მან პირადის წინაც დაიკლო და - გუნდურისაც, მთელი 6 კილოგრამი. ჩვენ ვიცოდით, რომ გუნდურში 2 კილოს გადამეტება დასაშვები იყო - ასე ტარდებოდა ყოველთვის და ასე გაიმართა წლევანდელი ევროპირველობაც, მაგრამ ორი დღით ადრე გვითხრეს, რომ ეს შეღავათი არ იქნებოდა. ამდენად, ლაშას 4 კი არა, 6 გაუხდა დასაკლები და არ აპირებდა გამოსვლას, მაგრამ ჩვენ ვთხოვეთ, რაზეც დაგვეთანხმა. ოლიმპიური ჩემპიონი ბევრი არ იზამდა ამას. მხოლოდ ის გვთხოვა, წამომყევით, დასაკლებად რომ წავალ და ხელი შემაშველეთ, არ წავიქცეო. წვალებით დაიკლო და არც მეგონა, იმდენსაც თუ იჭიდავებდა. ასეთი მებრძოლი სულის ადამიანი ბევრი არ მინახავს. მისი თავდადების შემდეგ მე რა უფლება მქონდა, არ მებრძოლა! იგივე ლიპარტელიანი ნატკენი თითებით ჭიდაობდა - სისხლი მოსდიოდა, ჩავლებებს ვერ აკეთებდა, ყველა დანგრეულები ვიყავით, გასახდელში არც კი ვხურდებოდით - არ შეგვეძლო ეს, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ.

**ლიპარტელიანი:** გუნდურში ჭიდაობისას ერთი ტრადიცია გვაქვს - მთელი გუნდი სამჯერ ვიძახით „დიდება უფალს!“ ეს ტრადიცია წინა თაობებისგან გადმოგვეცა და ვაგრძელებთ კიდეც.

გუნდურში მთელი სული და გული ჩავდეთ. იმდენად დიდი ჟინით ვიჭიდავეთ, ნებისმიერს დავამარცხებდით. ავთომ სწორად აღნიშნა - ასეთი შეკრული, ერთსულოვანი ნაკრები სხვა არ მინახავს. ეს წარმატებაც ამან განაპირობა, სამომავლოდ კი ამ ბიჭებისა კიდევ უფრო მეიმედება - ახალგაზრდები არიან და მჯერა, მონაპოვარს შევინარჩუნებთ. ბრძოლა არ იყო იოლი, რადგან ყველას ძალიან უნდოდა ჩემპიონობა. ფრანგები 2011-ში ჩემპიონები რომ გახდნენ, რინერი მხოლოდ ფინალში აჭიდავეს, ახლა კი თავიდანვე დააყენეს. რუსები აქამდე დენისოვსა და ნიფონტოვს არ აჭიდავებდნენ, მონღოლებმა კი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი ნაიდინ ტუვშინბაიარი გამოიყვანეს... რეზონანსი დიდი იყო - ბევრი უცხოელი მწვრთნელი თუ ქომაგი მოდიოდა, სურათებს იღებდნენ ჩვენთან ერთად... ფედერაციის წარმომადგენლების მხრიდან სითბოს ვგრძნობდით, როგორც ძლიერი ნაკრების მიმართ.

**ირაკლი თავაძე**

europe-bet.com

ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან

# რა უპირატესობა გვაქვს სლოვენიასთან?

ევროპის ჩემპიონატზე უკრაინამ და ლატვიამ საწყის ორ ტურში ორივე მატჩი მოიგეს და მომდევნო ეტაპზე გასვლის სერიოზული განაცხადი გააკეთეს. მათთან ერთად წაუგებელი შეიძლებოდა საქართველოს ნაკრებიც ყოფილიყო, მაგრამ ხორვატიასთან ბოლო წამებზე დრამატულ შეხვედრაში მინიმალური სხვაობით დავმარცხდით - 76:77.

გახსნით მატჩში კი საქართველომ პოლონეთს იმდენად დამაჯერებლად სძლია, რომ ევროპის საკალათბურთო საზოგადოება ხმამაღლა აალაპარაკა. 5 სექტემბრის დილას ესპანელი ჟურნალისტების მსჯელობას შევესწარი - მარკოიშვილი, შერმადინი ახსენეს და გაკვირვებას ვერ მალავდნენ, 6-7 კალათბურთელით ასე ძლიერად როგორ თამაშობენო. რომ არა ხორვატიასთან დასანანი მარცხი, საქართველოს ნაკრები ევრობასკეტის მეორე ეტაპზე თამაშის ფავორიტთა შორის თამამად შევიდოდა.

ჩვენი გუნდის შესახებ მთავარ მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** გავესაუბრეთ. პირველ რიგში ხორვატიასთან შეხვედრაზე ვკითხეთ.



იგორ კოკოშკოვი წუთშესვენებზე შეგირდებს დარიგებას აძლევს

- მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა. ხორვატიის დონის გუნდთან ჩვენი კალათბურთელების გამოსვლით ვამაყობ. შეიძლებოდა გამარჯვებაც, რასთანაც ახლოს ვიყავით, მაგრამ კალათბურთი მათემატიკა არ არის, წინასწარ გამოთვალო, რა სხვაობით მოიგებ, ან რა შანსი გაქვს ამა თუ იმ გუნდთან. ზოგჯერ შეიძლება თამაში წაგივიდეს და ყველაფერი კარგად გამოგივიდეს, ხან პირიქით ხდება. არის შემთხვევები დაცვაში ვერ თამაშობ სათანადოდ, ზოგჯერ - შეტევაში. მატჩის მსვლელობისას იყო ლოკალური ჩავარდნები, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა ღირსეულად იბრძოლა.

**- საწყისი ორი მატჩის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გუნდი გაორმაგებული ენერგიით თამაშობს. პოლონელებსაც და ხორვატებსაც მოედნის არც ერთ მონაკვეთში არაფერს უთმობდა.**

- ეროვნულ ნაკრებში თამაში განსაკუთრებული მოვლენაა. გარდა იმისა, რომ ქვეყანას წარმოადგენ და გინდა შენი საქმე კარგად შეასრულო, არის მოლოდინი - გულშემატკივარი, მედია ელის შენს კარგ თამაშს, წარმატებას. მათთვის ხომ გუნდის თითოეული გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია. ეს კალათბურთელებმაც იციან და საქართველოს ნაკრების მაისურით სხვა ემოციით თამაშობენ.

**- ხორვატიასთან შეხვედრას დავუბრუნდეთ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ბოლო მეოთხედში გიორგი ცინცაძეს, რომელსაც თამაში კარგად წაუვიდა, სრული თავისუფლება მიეცით. ქართული კალათბურთი ძველთაგანვე სწორედ „თავისუფალი იმპროვიზაციით" გამოირჩეოდა.**

- გიორგი ცინცაძე გამთამაშებელია, მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და მრავალმხრივი მოთამაშეა. ექვსი წელიწადია საქართველოს ნაკრებს ვწვრთნი და გიორგის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. ასე რომ, მჯერა მისი და ისიც ვიცი, რომ შეუძლია გუნდს გამარჯვებისკენ გაუძღვეს. ხორვატიასთან მატჩში მართლაც მივეცი თავისუფლად თამაშის საშუალება, შეცდომა ყველას მოსდის, თუმცა მთავარია, რომ თავს კომფორტულად გრძნობდა, ენერგიაც საკმარისად აღმოაჩნდა. ვთვლი, რომ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და მისი დიდი დამსახურება იყო ხორვატიასთან ბოლო წამებამდე თანაბრად რომ ვითამაშეთ.

**- საწყის მატჩებში ნაკრები კარგად გამოიყურება. როგორც ფიზმომზადების მწვრთნელი დაგვპირდა, ფორმის პიკს სწორედ ევრობასკეტზე მიაღწია. თუ მიგაჩნიათ, რომ პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლოსაც ასევე ენერგიულად ითამაშებთ?**

- მთავარია, ჯანმრთელად დავრჩეთ შეჯიბრების ბოლომდე. ფიზიკურად კარგად მომზადება სწორედ იმას გულისხმობს, რომ კალათბურთელებმა რაც შეიძლება ნაკლები ტრავმა მიიღონ და ძალა თავიდან ბოლომდე შეინარჩუნონ. ასევე მნიშვნელოვანია სათადარიგოთა სკამის დახმარება. სადღეისოდ 6-7 კალათბურთელით ვთამაშობთ და იმედი მაქვს, სათადარიგოები მეტად დაგვეხმარებიან. ამის გარეშე წარმატების მიღწევა რთული იქნება.

**- ამჯერად მეტად ენდობით სათადარიგოებს...**

- ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელია, რომლებისთვისაც ევრობასკეტზე თამაში დიდი გამოცდილებაა. ისინი ბევრს მუშაობენ და ასევე ბევრს სწავლობენ. მათ მონდომებას რომ ვუყურებ, მჯერა, მომავალში გუნდს ძალიან დაეხმარებიან. ისინი დღითი დღე პროგრესირებენ.

**- ხორვატიის ნაკრებთან საინტერესო მატჩის შემდეგ შესაძლოა, ერთგვარად ჩრდილში მოექცა პოლონეთთან გამარჯვება, მაგრამ საბოლოოდ, საერთო სურათის გაანალიზებისას პოლონეთთან ლამაზი მოგება არავის დაავიწყდება.**

- ჩვენგან განსხვავებით პოლონელებს ბევრი არაფერი გამოუვიდათ. მათ პერიმეტრიდან სათანადოდ ვერ შეგვიტიეს, რაც ჩვენთვის დიდი ფორა აღმოჩნდა. ყველამ იცის, რომ პოლონეთის ნაკრების მთავარი კოზირი ფარქვეშ თამაში და ორქულიანებია. ეს რომ ვიცოდით, ამიტომაც შევუზღუდეთ სივრცე და მეტოქემ თავისი კოზირი ვერ გამოიყენა. როცა თამაში ვერ წაუვიდათ, პოლონელები ცოტა ანერვიულდნენ და ამან საბოლოო შედეგზეც იმოქმედა.

**- მარცინ გორტატთან „ფინიქსში" 2008 წლის შემდეგ მუშაობთ. მან საქართველოს წინააღმდეგ ისე ვერ ითამაშა, როგორც შეუძლია.**

- NBA-ის კალათბურთელობა იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებში 20-30 ქულას ჩააგდებ და გუნდს მოაგებინებ. გორტატი მაღალი დონის ცენტრია, მაგრამ თუ ნაკრებში გულშემატკივრები ბევრ ქულას ელიან, NBA-ში ასე არ არის. ამერიკაში გორტატს ისევე მოეთხოვება ზონის კონტროლი, მოხსნა, თანაგუნდელის დაზღვევა და მოწინააღმდეგე ცენტრის კარგი მეურვეობა, როგორც ქულების ჩაგდება. იგი მრავალმხრივი კალათბურთელია და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია.

**- 7 სექტემბერს სლოვენიასთან გადამწყვეტი მატჩი გელის. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს საქართველოს ნაკრების მთავარი კოზირი მასპინძლებთან?**

- სლოვენიელებთან უპირატესობა ნამდვილად გვექნება. სათამაშო ტაქტიკასა და კალათბურთელებზე არ ვლაპარაკობ, ჩვენ თავისუფლად ვითამაშებთ, ყოველგვარი წნეხი მოხსნილი გვექნება. მასპინძლებს კი ჩვენთან მატჩი აუცილებლად მოსაგები ექნებათ, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლა გაიადვილონ. ასე რომ, ვითამაშებთ თავისუფლად, მონდომებით და იმედი მაქვს, შედეგიანადაც.

ევრობასკეტი. საქართველოს ნაკრების მეტოქე. სლოვენია-საქართველო

## ბოჟიდარ მალიკოვიჩი:

# საქართველო საშიშია




სლოვენიას ევრობასკეტზე 2011 წელსაც შევხვდით

საქართველოს ნაკრები დღეს ევრობასკეტის მესამე მატჩში დაუპირისპირდება სლოვენიას, რომელიც პირველობის მასპინძელია. თანაც, 5 სექტემბერს მოქმედ ჩემპიონს, ესპანეთს მოუგო და ერთი შეხედვით მასთან გამარჯვების შანსი მცირეა. თუმცა აგვისტოშიც დავწერე და ახლაც განვმეორდები: სასტარტო ხუთეული სლოვენიას ჩვენზე უკეთესი ნამდვილად არ ჰყავს და ამ გუნდთან გამარჯვების შანსი გვაქვს.

შეხვედრის შედეგი უამრავ კომპონენტზე იქნება დამოკიდებული და რომელი მხარე როგორ შეასრულებს მწვრთნელის მითითებებს, ეს თამაშისას გამოჩნდება. რაც შეეხება სლოვენიელების ესპანეთთან გამარჯვებას, ერთი ადგილობრივი გულშემატკივარი ესპანელ ჟურნალისტს გამოუტყდა - რადგან თქვენ გაცილებით ძლიერი შემადგენლობა გყავთ, თამაშის წინ ვთვლიდით, 10 ქულაზე ნაკლებით წავაგებდით, თუ - მეტით. საოცარია, მაგრამ მოვიგეთო. ამ ჟურნალისტს (ტიკო პქვია) წაგების მიზეზი რომ ვკითხე, მხრები აიჩეჩა - ალბათ სლოვენიელების ექსტრა-მონდომებამ იქონია გავლენაო.

სლოვენიელთა დამრიგებელმა **ბოჟიდარ მალიკოვიჩმა** ესპანეთთან თამაშისას საქართველოს ნაკრებზე კონკრეტულად არ ილაპარაკა:

- აქამდე ესპანეთზე ვფიქრობდით და ქართველებისთვის არ გვეცალა. ამ გუნდთან სათამაშოდ მზადებას 6 სექტემბრიდან ვიწყებთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კარგი გუნდია. ვნახე ლიტვასთან ქართველების თამაში და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას - საშიში მეტოქეა.

შედარებით ვრცლად ილაპარაკა ჩვენი გუნდის შესახებ სლოვენიელთა ვარსკვლავმა **გორან დრაგიჩმა**:

- სერიოზულ მეტოქესთან რომ გვაქვს საქმე, საქართველოს ნაკრების შედეგებიც მოწმობს. მას თავისუფლად შეიძლებოდა ჰქონოდა ორი მოგება, მაგრამ ხორვატიასთან ბოლო წუთებზე წააგო. ჩვენს 7 სექტემბრის მეტოქეს გამოცდილი მწვრთნელი ჰყავს. იგორ კოკოშკოვს კარგად ვიცნობ. მასთან ერთად „ფინიქსში" ვმუშაობდი, წლეულს კი „კლივლენდში" გადავიდა. 2011 წელს, როცა საქართველო ევრობასკეტზე დებიუტანტი იყო, დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია და რთულ ბრძოლაში დავამარცხეთ. ახლა ქართველებმა მეტი გამოცდილება მიიღეს და კიდევ უფრო რთული იქნება მათი გატეხა.

სლოვენიის შესახებ იგორ კოკოშკოვის მოსაზრებას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ, აქ კი ერთს დავძენთ: სლოვენიის ნაკრების ესპანეთთან გამარჯვება უმთავრესად გულშემატკივარმა განაპირობა. ერთ რამედ ღირდა გამწვანებული მოგუგუნე არენის ხილვა. ასეთ ატმოსფეროში მოედანზე გამოსვლა საქართველოს ნაკრებისთვისაც სასიამოვნო უნდა იყოს და როგორც იგორ კოკოშკოვი ამბობს, თავისუფლად თამაში ჩვენს კოზირად უნდა იქცეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**
ცელიედან

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დამოკლებული შუალედი და ფედერალური სტარტი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მიმდინარე კვირა უჩვეულოდ დატვირთული გამოდგა. მე-4 ტურის მატჩები სულ ახლახან ჩატარდა. გუნდებს ამოსუნთქვის საშუალებაც არ მიეცათ და მორიგი, მე-5 ტურისთვის მზადება დაიწყეს, რომელიც ხვალ გაიმართება.**

ძნელი სათქმელია, რამდენად მისაღებია მატჩებს შორის ასეთი მოკლე შუალედი, თუმცა, ფაქტია, რომ ფრანგულ კლუბებში ტრავმიანობამ იმატა. ფრანგ და უცხოელ მორაგბეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამის დასტურად ჩვენი დაშავებული მორაგბეების სიაც გამოდგება. ესენია: **ჯაბა ბრეგვაძე, ვასილ კაკოვინი** (ორივე-ტულუზი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი), **გიორგი ჟღენტი** (პერპინიანი), **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი) და **მამუკა გორგოძე** (მონპელიე).

მე-5 ტურში რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართება. ყურადღებას იპყრობს **მიხეილ ნარიაშვილისა** და **მამუკა გორგოძის** „მონპელიეს" საშინაო დაპირისპირება **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზთან". ამ ოთხი ქართველი მორაგბიდან, როგორც უკვე ვთქვით, სამი დაშავებულია. ნარიაშვილი გუნდის ძირითადის მოთამაშეა, თუმცა გამორიცხული არ არის, ის **ფაბიენ გალტიემ** დაასვენოს.

„მონპელიე" და „ტულუზი" სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან. მონპელიელები საკუთარ მოედანზე იშვიათად აგებენ, თუმცა ფრანგული რაგბის გრანდთან არაერთხელ დამარცხებულა. მართალია, ტულუზელები ბოლო ხანს ისე ველარ ბრწყინავენ, ვიდრე თუნდაც ორიოდ წლის წინათ, თუმცა, გამოცდილი და მაღალი დონის მორაგბეებით დაკომპლექტებულ გუნდს მის წინაშე მდგარი ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა ძალუძს.

სერიოზული გამოცდა ელის საშინაო არენაზე **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს". პარიზელები გათამაშების ლიდერს **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" უმასპინძლებენ. „სტად ფრანსე" ორ წელიწადზე მეტია ფინანსური კრიზისის დაძლევის შემდეგ სათანადო სპორტული ფორმის აღდგენას ცდილობს. ეს უძველესი ფრანგული კლუბი, რომელიც ლიდერობას იყო მიჩვეული, მისთვის უჩვეულო ამპლუაშია. თუმცა, თუ წლევანდელი ჩემპიონატის სტარტით ვიმსჯელებთ, პარიზელებს ოპტიმიზმის საფუძველი უნდა ჰქონდეთ. უფრო რეალური სურათი, რამდენად საფუძვლიანია „სტად ფრანსეს" ამბიციები, სწორედ „ვულკანებთან" მატჩის შემდეგ გვექნება.

ვერ ვიტყვით, რომ „კლერმონი" საუკეთესო ფორმაშია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც ლიდერია და „ვარსკვლავებით გადაჭედილ" „ტულონს" ერთი ქულით უსწრებს. ზირაქაშვილს ტრავმა აწუხებდა, თუმცა გამორიცხული არ არის, პარიზში თამაში შეძლოს. „სტად ფრანსეს" ქართველი ბურჯი ზურაბ ჟვანია ტრავმას იშუშებს, ქუბრიაშვილი კი, რეგულარულად თამაშობს.

ოიონაქსში სახლის გუნდებად შერაცხილი ორი კლუბი დაუპირისპირდება ერთმანეთს. ადგილობრივი გუნდი საფრანგეთის ჩემპიონს ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრს" უმასპინძლებს, რომელიც 12 ქულით მესამე ადგილზეა და ტიტულის შენარჩუნების სერიოზული ამბიცია გააჩნია. ოიონაქსელები დებიუტანტები არიან. თუმცა, მიუხედავად ამისა, ელიტარულ გუნდებს შორის საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებიან და, სავარაუდოდ, გავარდნის კანდიდატებიც არ იქნებიან.

ზემოთ **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი" ვახსენეთ, რომელიც მე-5 ტურში სტუმრად ეთამაშება ბასკურ „ბიარიცს". ქართული წარმოშობის ფრანგი ცხრა ნომრის, **დიმიტრი იაშვილის** გუნდი წლეულს უჩვეულოდ სუსტად გამოიყურება და 6 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

ჩილაჩავამ და მიქაუტაძემ წინა ტურში შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ „ტულონის" თავკაცმა **ბერნარ ლაპორტმა**, რომელიც საფრანგეთის ნაკრების ყოფილი დამრიგებელია, საბიარიცო განაცხადში არცერთი შეიყვანა.

სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი უკავია **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივს", რომელიც შინ მიიღებს ბასკურ „ბაიონს". შველიძე, ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მხნედ გამოიყურება. ასეიშვილი კი, ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ლელოს ავტორია პირველ დივიზიონში. ბრივლებს, რომლებსაც დიდი სარაგბო ტრადიცია აქვთ, „ბაიონთან" გამარჯვება მდგომარეობასაც გამოუსწორებს და ხასიათსაც.

სულ რაღაც ორი წლის წინათ **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი" საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს ატარებდა. მწვრთნელის, **ჟაკ ბრუნელის** იტალიაში გადაბარგების შემდეგ, კატალონიური გუნდი საგრძნობლად დასუსტდა. ამჟამად პერპინიანელები დაკარგული დიდების აღდგენას ცდილობენ. საამისოდ, მათ წარმატებული მატჩები სჭირდებათ. რისი შანსიც, მე-5 ტურში ნაკლებად გააჩნიათ, რადგან სტუმრად **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგს" დაუპირისპირდებიან.

პარიზული გუნდი, რომელიც საფრანგეთის პირველი ჩემპიონატის ფინალისტია, წლეულს საგრძნობლად მოლონიერდა და, ძნელი სავარაუდოა, შინიდან ვინმეს იოლად რამე გაატანოს. ჟღენტი და ხინჩაგიშვილი, შესაძლოა, ამ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

### V ტური

**მონპელიე-ტულუზი, ბრივი-ბაიონი, ბიარიცი-ტულონი, გრენობლი-ბორდო, ოიონაქსი-კასტრი, მეტრო რასინგი-პერპინიანი, სტად ფრანსე-კლერმონი.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. კლერმონი - 14 ქულა, 2. ტულონი - 13, 3. კასტრი - 12, 4. ტულუზი - 11, 5. მონპელიე - 11, 6. პერპინიანი - 10, 7. სტად ფრანსე - 10, 8. ბორდო - 9, 9. ბაიონი - 9, 10. ოიონაქსი - 8, 11. მეტრო რასინგი - 8, 12. გრენობლი - 8, 13. ბიარიცი - 6, 14. ბრივი - 5.**

ამასობაში, დღეს დაიწყება ფედერალ 1 დივიზიონის გათამაშება, სადაც 9 გუნდში 22 ქართველი მორაგბე იასპარეზებს. ელიტურ, მეორე დივიზიონში გადასასვლელად, სავარაუდოდ, ჩვენებურთა სამი გუნდი იბრძოლებს. ესენია: **თედო ზიბზიბაძის, ნიკოლოზ მალალდაძის, გიორგი გაბელიას, ირაკლი ნატრიაშვილის** „პერიგო", **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერი" და **დავით აშვეთიას, შალვა სუთიაშვილის, არჩილ კობაურის, ელიზბარ ყუფარაძის, დავით დადუნაშვილის** „მასი".

ამავე დივიზიონში ასპარეზობენ საქართველოს ნაკრების მგეზავები **მერაბ კვირიკაშვილი** (ვიენი) და **ლაშა მალაღურაძე** (ბაგნერე). კვირიკაშვილი „ვიენში" წლეულს ჩაირიცხა. მას იქ შერკინების ქართველი ბურჯი **ზერო პეტრიაშვილი** დახვდა. „ბაგნერეში" კი, მალაღურაძის გარდა კიდევ ოთხი ქართველი ირიცხება. ესენია: **სიმონ მაისურაძე, ლადო გუნიავა, ბექა ურჯუკაშვილი** და **გიორგი მჭედლიშვილი.**

### ფედერალ 1

ავთანდილ კოპალიანი (ორივე - მაკონი), ზერო პეტრიაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი (ორივე - ვიენი), რეზო გიგაური (მონლუსონი), გიორგი ჯაშიტაშვილი (შალონი), თედო ზიბზიბაძე, ნიკოლოზ მალალდაძე, გიორგი გაბელია, ირაკლი ნატრიაშვილი (ოთხივე-პერიგო), თენგიზ გელანტია (ობენა), ირაკლი ნინიძე (დიჟონი), , ბაჩუკი გუჯარაიძე (სენ ნაზერი), სიმონ მაისურაძე, ლაშა მალაღურაძე, ლადო გუნიავა, ბექა ურჯუკაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი (ყველა - ბაგნერე), დავით აშვეთია, შალვა სუთიაშვილი, არჩილ კობაური, ელიზბარ ყუფარაძე, დავით დადუნაშვილი (ყველა - მასი).

**ბესიკ ჯანგავაძე**



მარჯვნიდან მესამე ლევან ჩილაჩავა

საქართველოს ჩემპიონატი



ყოჩები-ლოკომოტივი

# სარაგბო სეზონის წინ

**სარაგბო კლუბი „ყოჩები" 1959 წელს ჩამოყალიბდა და თავდაპირველად საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის (სპი) სახელით ასპარეზობდა. მოგვიანებით გუნდი ქართული რაგბის ერთ-ერთ მთავარ კოლორიტად იქცა და სახელად „ყოჩები" დაირქვა. კლუბს თავის არსებობის ისტორიაში სამჯერ აქვს მოგებული ეროვნული ჩემპიონატი (1997, 1998, 2007 წლებში), ოთხჯერ ვერცხლის პრიზიორი გახდა (1996, 1999, 2000, 2003 წლებში) ხოლო ბრინჯაოს მედლებს 2001, 2006, 2008 და 2010 წლებში ფლობდა.**

### ყოჩები

2010 წლიდან კლუბში სერიოზული კრიზისი დაიწყო, რამაც დიდი სირთულეების წინაშე დააყენა გუნდი. სამი წლის განმავლობაში „ყოჩებმა" 27 წამყვანი მორაგბე დაკარგა და გასული სეზონის პირწმინდად ჩაგდება სავსებით ლოგიკურიც იყო. მათ რეგულარული გათამაშება ბოლო, მეათე ადგილზე დაასრულეს, თუმცა ფლეი აუტში პირველი ლიგის ჩემპიონ „თი-ბი-სის" სძლიეს და უმაღლესში ადგილი შეინარჩუნეს.

უდიდესი ტრადიციების მქონე კლუბს საქართველოს XXIV სარაგბო ჩემპიონატში, სავარაუდოდ, ლიგიდან გავარდნა აღარ დაემუქრება, რადგან რაგბის კავშირის და მთავრობის დახმარებით გუნდის ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ამასთან ერთად, კლუბის ხელმძღვანელებმა ზაფხულის პერიოდში უდიდესი სამუშაო გასწიეს, წარმატებით იმუშავეს ტრანსფერებზე, რის შემდეგაც „ყოჩები" პლეი ოფში გასვლის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტები არიან.

### შერკინება

შერკინება ძირითადად ახალგაზრდა მორაგბეებით გახლავთ დაკომპლექტებული. თუმცა, შემადგენლობაში რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეცაა, რომელთაც შეუძლიათ ტაქტიკურად სწორ თამაშში აიყოლიონ ახალბედა თანაგუნდელები. პირველ ხაზში ბურჯის პოზიციაზე 37 წლის **ალექსანდრე ესაკია** იასპარეზებს, აქვეა „ლელოდან" დაბრუნებული **ბაჩანა გოგიშვილი.** მეორე ხაზში **დავით ბელაშვილის** და **ბექა ნიკოლაიშვილის** დუეტი გაირჯება, მესამე ხაზის უნარიან თამაშს კი, უკრაინის ჩემპიონატიდან დაბრუნებული **ჯაბა მალალურაძე,** ჰართპურის კოლეჯში დასტაჟებული **გიორგი ტყეშელიაძე** და **დავით გრძელიშვილი** გაუძღვებიან.

### უკანა ხაზი

ცხრა ნომრის პოზიციაზე „ბათუმიდან" დაბრუნებული **გიორგი ბეგაძე** ითამაშებს, რომელიც ამავდროულად საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მორაგბეა. პოლონეთიდან მშობლიურ კლუბში დაბრუნდა და მგეზავად გამწესდება **თემურ სოხაძე.** პრობლემატურია შუამარბის პოზიცია, სამაგიეროდ ფართო არჩევანია გარემარბებში, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე პრეტენზიას **ირაკლი გეგენავა, თორნიკე ხულელიძე, ლევან გოგოლაშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე** და **ლევან კობაური** გამოთქვამენ. ფულბეკის პოზიციაზე ულტერნატივოა **შავლეგ მახარაშვილის** კანდიდატურა.

### სამწვრთნელო შტაბი

სამწვრთნელო შტაბი უალესად გამოცდილი და მაღალ კვალიფიციურია. მთავარი მწვრთნელი მორკინალი **სანდრო ესაკია** იქნება. მას უკანა ხაზის გაწვრთნაში **ირაკლი გიორხელიძე** დაეხმარება. კლუბის ასაკობრივ გუნდებში მუშაობს საქართველოს შვიდკაცა რაგბის სტუდენტური ნაკრების თავკაცი **ზაზა ლეჟავა,** ხოლო მენეჯერის ფუნქციებს **ნუგზარ მალალურაძე** შეასრულებს.

### შემადგენლობა

**პირველი ხაზი:** ბაჩანა გოგიშვილი, გურამ გოგიძე, სანდრო ესაკია, გიორგი ირემაძე, კახაბერ მახარაშვილი, გიორგი მჭედლიძე, გიორგი რეხვიაშვილი, გიორგი ფირიაშვილი, გიორგი ქობულაძე, ლევან შენგელია, ჭაბუკა ჭილლაძე, დავით ხიდეშელი, თემურ ჯინჭარაძე;

**მეორე ხაზი:** დავით ბელიაშვილი, ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, ერეკლე მეტრეველი, გივი რეხვიაშვილი, გია ტვილდიანი, ირაკლი ცუხიშვილი, ზურაბ ხელიძე, დავით ჯავახიშვილი;

**მესამე ხაზი:** ნიკო აფციაური, დავით გრძელიშვილი, ბექა გუგეშაშვილი, გაგა მაისურაძე, ჯაბა მალალურაძე, თორნიკე პეტრიაშვილი, ბექა რეხვიაშვილი, გიორგი ტყეშელიაძე, ნიკოლოზ ჩხიკვაძე, გიორგი წიკლაური, გიორგი ხვისტანი;

**№9:** გიორგი ბეგაძე, ვიქტორ რეხვიაშვილი, თორნიკე ჩაკვეტაძე, გიორგი ხელაძე;

**№10:** გიგი გაბუნია, თემურ სოხაძე

**№12-13:** გიორგი აბდუშელიშვილი, რატი გარუჩავა, გიორგი მელაძე, მიშიკო რეხვიაშვილი, შოთა ქავთარაძე, მალხაზ ქუშაშვილი, გიორგი შერმადინი, ნიკა ცირეკიძე

**№11-14:** ირაკლი გეგენავა, ლევან გოგოლაშვილი, ლევან კობაური, გიორგი ხარშილაძე, თორნიკე ხულელიძე, რატი ხუციშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე

**№15:** ლუკა კვარაცხელია, შავლეგ მახარაშვილი

**გიორგი ბარბაქაძე**

ფორმულა 1. იტალიის გრანპრის წინ

# ფეტელი საუკეთესო დროით იწყებს

მიღებულია, რომ მონცას ტრასა „რედ ბულისთვის“ მოსახერხებელი არ არის. მაგრამ იმავეს ამბობდნენ მონრეალზე, სპაზე, სადაც **სებასტიან ფეტელმა** გამარჯვებას მიაღწია. თუმცა იტალიის გრანპრის წინ, გამარჯვებაზე პრეტენდენტთა რიცხვი საკმაოდ დიდია: აქ არის „მერსედესი“, რომელიც აუცილებლად მოინდომებს სპაზე განცდილი კრახის გამო რეაბილიტაციას, ან „ფერარი“, რომელიც მშობლიურ ტრასაზე მაშინაც კი ასრულებდა დუბლს, როცა რთული დროება ჰქონდა. და კიდევ „ლოტუსი“, რომელიც, სავარაუდოდ, ერთი პიტსტოპის ტაქტიკას აირჩევს.



სებასტიან ფეტელი

### იტალიის გრანპრი

**ჩატარების ადგილი:** მონცა (იტალია)
**წრის სიგრძე:** 5 793 მ
**წრის რეკორდი:** 1:21,046 (რუბენს ბარიკელო, 2004)

### საერთო ჩათვლა

1. **ფეტელი** (Red Bull) - 197 **ქულა**
2. **ალონსო** (Ferrari) - 151
3. **ჰემილტონი** (Mercedes) - 139
4. **რაიკონენი** (Lotus) - 134
5. **უებერი** (Red Bull) - 115
6. **როსბერგი** (Mercedes) - 96
7. **მასა** (Ferrari) - 67
8. **გროსჟანი** (Lotus) - 53

**უძმეების განრიგი**

**7 სექტემბერი, 13:00 - III პრაქტიკა**
**7 სექტემბერი, 16:00 - კვალიფიკაცია**
**8 სექტემბერი, 16:00 - რბოლა**

■ ■ ■

გუშინ იტალიის გრანპრი ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნა. მონცას ჩქაროსნული ტრასა მანქანის უნიკალურ აეროდინამიკურ კონფიგურაციას ითხოვს და პარასკევს დილით, პირველად ამ სეზონში, გუნდებმა მუშაობა დაიწყეს სარბოლო მახასიათებლებზე მოჭიდების მინიმალური ძალის პირობებში. არ ყოფილა არც წვიმა და არც სერიოზული ინციდენტი, ამიტომაც, ინჟინრებმა დაგეგმილი პროგრამა შეასრულეს, მრბოლელებმა კი დიდი დისტანცია გაიარეს.

სამ გუნდში მუშაობდა სარეზერვო პილოტი: „ფორს ინდიაში“ **ადრიან სუტილი ჯეიმს კალადომ** შეცვალა, „კატერჰემში“ **ჰეიკი კოვალაინენი გიდო ვან დერ გრადეს** ბოლიდში იჯდა, „მარუსიაში“ **ჟიულ ბიანკის** ადგილი **როდოლფო გონსალესმა** დაიკავა. მეორე სესიაში ძირითადი პილოტები ტრასაზე დაბრუნდნენ.

ბევრმა გუნდმა მოამზადა სიახლე მონცასთვის. მაგალითად, „ლოტუსი“ ახალ ძარას ტესტავდა, რომელსაც საბურავების გაზრდილი ბაზა აქვს. ამ მანქანაზე **კიმი რაიკონენი მუშაობდა**, მისი თანაგუნდელი **რომენ გროსჟანი** კი ძველ ვერსიას იყენებდა.

პირველი პრაქტიკა მოიგო **ლუის ჰემილტონმა**, რომელმაც წრე წუთსა და 25.565 წამში გაიარა. ლიდერთან წამზე ნაკლებ დროში ჩაეტია 13 პილოტი.

მეორე სესიის დროს მიმდინარეობდა მუშაობა საბურავების ორ შემადგენლობაზე. ამჯერად იყო ავარიები და შეცდომები, მაგრამ ტექნიკა სერიოზულად არ დაზიანებულა. პილოტები ადაპტაციას ცდილობდნენ მოჭიდების მინიმალურ ძალასთან და შეცდომებიც ამას მოჰყვა.

ამჯერად, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა **სებასტიან ფეტელმა**. ის ერთადერთი იყო იმ დღეს, ვინც წრე წუთსა და 25 წამზე ნაკლებ დროში დაფარა - 1:24.453. „ლოტუსის“ პილოტებმა, რომლებიც სხვადასხვა ბოლიდით მოძრაობდნენ, ერთნაირი დრო აჩვენეს.

მეორე პრაქტიკის შემდეგ, კიმი რაიკონენმა აღნიშნა, რომ ახლა „ლოტუსი“ რთულ სიტუაციაშია. მისი თქმით, ტიტულისთვის ბრძოლა, სავარაუდოდ, არ მოხერხდება.

*„ყველაფერი ძალიან რთულადაა, - ამბობს „ავტოსპორტთან“ კომენტარში ფინელი. - იმაზე რთულად, ვიდრე ეს წინა რბოლის წინ იყო. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად მოვინდომებთ და ვნახავთ, რომელ ადგილს დავიკავებთ. სავარაუდოდ, ტიტულისთვის ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ ჩამორჩენის შესამცირებლად“.*

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ჯოკოვიჩის 14 ნახევარფინალი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ამერიკის ღია პირველობის მორიგ დღეს მხოლოდ მამაკაცთა ორი მეოთხედფინალი იყო დაგეგმილი. გუშინდელ ნომერში გიამბეთ **ენდი მარეის** მარცხზე **სტანისლას ვავრინკასთან**. უიმბლდონის მოგების შემდეგ, ბრიტანელი აშკარად ულიმლამოდ გამოიყურებოდა და შვეიცარიელთან უიმედოდ წააგო. ექსპერტები ამას შემდეგნაირად ხსნიან: ოცნების ასრულების შემდეგ, მან გარკვეული ხნით მოტივაცია დაკარგა და მის მწვრთნელს **ივან ლენდლს** სერიოზული მუშაობა მოუწევს იმისთვის, რო ბრიტანელმა ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

მეორე მეოთხედფინალში სენსაცია არ მოხდა. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** „დიდი სლემის“ ტურნირებზე ნახევარფინალების სერია 14-მდე აიყვანა. სერბის მორიგი მსხვერპლი გახდა რუსი **მიხაილ იუჟნი**, რომელმაც საკმაოდ ღირსეული თამაში აჩვენა და პირველი ჩოგბურთელია ამ ტურნირზე, ვინც მსოფლიოს პირველ ჩოგანს სეტი აართვა.

სასტარტო პარტიაში ორივე ჩოგბურთელი კარგად თამაშობდა. ნოვაკმა პირველ გეიმში ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, თავად კი პირველივე ცდაზე აილო მეტოქის მოწოდება და 3:0 დაწინაურდა. მიუხედავად იმისა, რომ სეტის ბოლო გეიმში რუსს კიდევ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, სერბმა შეძლო პარტიის მოგება.

მეორე სეტში ბევრი ხანგრძლივი გეიმი იყო. ნოვაკს ორჯერ მოუწია საკუთარი გეიმის გადარჩენა, თავად კი ორი ბრეიკი გააკეთა და სეტი იოლად მოიგო. ამის შემდეგ, სერბმა კონცენტრაცია დაკარგა. მართალია, მესამე სეტში 1:4-ზე მან საპასუხო ბრეიკი გააკეთა, მაგრამ პარტიაში მეორედ დათმო თავისი გეიმი, როცა ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. სამაგიეროდ, მეოთხე სეტში სერბი შეუჩერებელი იყო და „მშრალი“ ანგარიშით მოიგო. შეიძლება რუსი არ იმსახურებდა 0:6-ს, მაგრამ ნოვაკი ყოველი ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა და პრესტიჟის გეიმიც არ მოაგებინა მეტოქეს.

### 1/4 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 1)-მიხაილ იუჟნი (რუს, 21) 6:3, 6:2, 3:6, 6:0; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიც, 19)-ენდი მარეი (ბრიტ, 3) 6:4, 6:3, 6:2.

### 1/2 ფინალი

**ჯოკოვიჩი (1)-ვავრინკა (19); გასკე (8)-ნადალი (2).**

ამბები

## სერენას რაფა და როჯერი უნდა

ქალებს შორის მსოფლიოს პირველმა ნომერმა **სერენა უილიამსმა** განაცხადა, რომ უარს არ იტყოდა მიქსტში ესპანელ **რაფაელ ნადალთან** ან შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან** ერთად გამოსვლაზე.

*“დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი მიქსტს ავსტრალიაში ან პარიზში, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს მოხდება. ნებისმიერ შემთხვევაში, დაფიქრება შეიძლება, - ამბობს უილიამსი აშშ-ის ღიას ოფიციალურ ვებგვერდზე. – შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები – ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად. კიდევ რამდენიმე წელი მაქვს ამ ექსპერიმენტის ჩასატარებლად. თუმცა მე წყვილებში გამოვდივარ, სამივე თანრიგში თამაში კი შეუძლებელი იქნება. არ მინდა წყვილებს თავი დავანებო მიქსტის გამო. ასე რომ, სიტუაცია არც ისე მარტივია”.*

უმცროს უილიამსს კარიერაში მხოლოდ ავსტრალიის ღიასა და როლან გაროსის შერეულ წყვილთა თანრიგი არ აქვს მოგებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მუნდიალი 2014** | |
| **ევროპა** | |
| მაკედონია-უელსი | 2:1 |
| სერბეთი-ხორვატია | 1:1 |
| შოტლანდია-ბელგია | 0:2 |
| ჩეხეთი-სომხეთი | 1:2 |
| მალტა-დანია | 1:2 |
| იტალია-ბულგარეთი | 1:0 |
| ყაზახეთი-ფარერები | 2:1 |
| გერმანია-ავსტრია | 3:0 |
| ირლანდია-შვედეთი | 1:2 |
| რუმინეთი-უნგრეთი | 3:0 |
| თურქეთი-ანდორა | 5:0 |
| ესტონეთი-ჰოლანდია | 2:2 |
| ნორვეგია-კვიპროსი | 2:0 |
| სლოვენია-ალბანეთი | 1:0 |
| შვეიცარია-ისლანდია | 4:4 |
| რუსეთი-ლუქსემბურგი | 4:1 |
| ჩრ. ირლანდია-პორტუგალია | 2:4 |
| ლატვია-ლიტვა | 2:1 |
| ბოსნია-სლოვაკეთი | 0:1 |
| ლიხტენშტაინი-საბერძნეთი | 0:1 |
| უკრაინა-სან მარინო | 9:0 |
| პოლონეთი-ჩერნოგორია | 1:1 |
| ინგლისი-მოლდოვა | 4:0 |
| ფინეთი-ესპანეთი | 0:2 |
| **აზია** | |
| იორდანია-უზბეკეთი | 1:1 |
| **აფრიკა** | |
| განა-ზამბია | 2:1 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER 21** | |
| სან მარინო-უელსი | 1:0 |
| რუსეთი-სლოვენია | 2:1 |
| ბულგარეთი-ესტონეთი | 1:1 |
| დანია-ანდორა | 6:0 |
| ფარერები-გერმანია | 0:3 |
| შვედეთი-პოლონეთი | 3:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იაპონია-გვატემალა | 3:0 |
| მიანმარი-ჰონგ კონგი | 0:0 |
| ს. კორეა-ჰაიტი | 4:1 |
| ჩინეთი-სინგაპური | 6:1 |
| ლიბანი-სირია | 2:0 |
| ქუვეითი-ჩრ. კორეა | 2:1 |
| ბელარუსი-ყირგიზეთი | 3:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ზელიგენპორტენი-ბაიერნ ჰოფი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ს–დ)** | |
| ტრირი-ჰოფენჰაიმი II | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევრობასკეტი** | |
| გერმანია-უკრაინა | 83:88 |
| ჩერნოგორია-ბოსნია | 70:76 |
| ბელგია-ბრიტანეთი | 76:71 |
| ლატვია-ლიტვა | 59:67 |
| საფრანგეთი-ისრაელი | 82:63 |
| მაკედონია-სერბეთი | 89:75 |
| **ფრენბურთი** | |
| **ევ. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| გერმანია-ესპანეთი | 3:0 |
| სერბეთი-ბულგარეთი | 2:3 |
| აზერბაიჯანი-ხორვატია | 0:3 |
| შვეიცარია-იტალია | 0:3 |
| პოლონეთი-ჩეხეთი | 2:3 |
| თურქეთი-ჰოლანდია | 3:2 |
| ბელგია-საფრანგეთი | 3:1 |
| რუსეთი-ბელარუსი | 3:1 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ვლადივოსტოკი | 3:4 (ბ) |
| ავანგარდი-სკა | 1:5 |
| ავტომობილისტი-სევერსტალი | 1:2 (ბ) |
| იუგრა-ლოკომოტივი | 2:1 |
| ვიტიაზი-ტრაქტორი | 5:3 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 3:1 |
| ტორპედო-ს. იულიაევი | 2:3 (ბ) |
| დინამო (მ)-მეტალურგი (მ) | 3:1 |
| ზაგრები-ცსკა | 7:1 |
| დონბასი-სლოვანი | 4:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. აშშ-ის ღია** | |
| პენეტა-აზარენკა | 4:6, 2:6 |
| ს. უილიამსი-ნა ლი | 6:0, 6:3 |

TV პროგრამა

### 7 სექტემბერი. შაბათი

**I არხი**

**22:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-საქართველო. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-ბელგია.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. რეალი-დორტმუნდი.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**18:00** ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-ბაიერნი.
**20:00** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ნიუელსი.
**22:00** ესპანეთის სუპერთასი. ატლეტიკო-ბარსელონა.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:40** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-სან ანტონიო.
**15:00** რაგბი. ჰაინეკ. თასი. ექსეტერი-ლენსტერი.
**17:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. მაკაბი-რეალი.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**15:15** ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილია. I დღე.
**20:25** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:10** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.

### 8 სექტემბერი. კვირა

**I არხი**

**19:45** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. საქართველო-ჩეხეთი. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპან. სუპერთასი. ატლეტიკო-ბარსელონა.
**12:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ლევერკუზენი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ნიუელსი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი.
**20:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**21:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**22:00** ესპანეთის სუპერთასი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**00:00** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-ბელგია.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მინესოტა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-რასინგი.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** კალათბურთი. ევროლიგა. ეფესი-ოლიმპიაკოსი.
**20:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ფინალი. ენდი მარეი-ნოვაკ ჯოკოვიჩი.
**23:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მინესოტა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**12:40** ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილია. II დღე.
**18:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**21:10** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. კვებეკი. კანადა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 34 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თბილისი | 13 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 18 | 25 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 24 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 23 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 23 | (მზე) |
| გორი | 13 | 28 | (მზე) |
| თელავი | 14 | 27 | (მზე) |
| სიღნაღი | 13 | 26 | (მზე) |
| ბაკურიანი | 4 | 18 | (მზე) |
| ბორჯომი | 9 | 22 | (მზე) |
| მესტია | 5 | 13 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1789 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6625 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5892 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9725 |

euro pe-bet

# მაკედონიამ 2011 წელი გაიხსენა

**გუშინ** ევრობასკეტზე განახევრებული ტური იყო - მატჩები გაიმართა მხოლოდ A და B ჯგუფებში. მთავარი მოულოდნელობა იყო მაკედონიის გამარჯვება სერბეთთან, რომელმაც ჩემპიონატი ორი მოგებით დაიწყო...

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | **83** |
| 16:15, 14:24, 27:25, 26:24 | |
| **უკრაინა** | **88** |

**გ:** შაფარციკი (22+11 პასი), ბენცინგი (18+5 მოხსნა), გიფი (16), პლიაისი (3+11 მოხსნა).

**უ:** გლადირი (25), ჯეტერი (19+5 მოხსნა+6 პასი), ნატიაჟკო (16+5 მოხსნა).

**ორქულიანები:** 12/22 (54,5%) - 19/42 (45,2%)

**სამქულიანები:** 13/32 (40,6%) - 13/29 (44,8%)

**საჯარიმოები:** 20/24 (84,3%) - 11/16 (68,8%)

**მოხსნები:** 32-35. **პასები:** 19-14. **შეცდომები:** 13-6

**გადამწყვეტი მომენტი:** გერმანიის ნაკრებს მოგების რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ გამოცდილების ნაკლებობამ დაალალატა. ბოლო წუთებზე ამ გუნდმა კარგი კომბინაციები გაათამაშა, მაგრამ რამდენიმე იოლი ტყორცნა ააცილა.

**მატჩის გმირი:** სერგეი გლადირმა 25 ქულა დააგროვა. რითაც ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო. სწორედ ის გახლდათ მეოთხე მეოთხედში 6:0 გაქცევის მთავარი შემოქმედი, რის შემდეგაც, უკრაინამ დაიბრუნა კომფორტული უპირატესობა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** უკრაინამ მეტოქის შეცდომების შემდეგ, 21 ქულა დააგროვა, გერმანიამ - მხოლოდ ხუთი. გერმანელთა დაცვისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა უკრაინის კარგი კონტრშეტევები.

უკრაინის ნაკრებმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და თითქმის გაინაღდა შემდეგ ეტაპზე თამაში, გერმანიამ კი პირველ ტურში საფრანგეთის სენსაციურად დამარცხების შემდეგ, ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი წააგო კონკურენტებთან.

მთელი თამაში გუნდები ერთმანეთს გაქცევებით პასუხობდნენ. თავიდან გერმანიას გამოუვიდა 10:0 სპურტი, რასაც უკრაინის ასევე ათი უპასუხო ქულა მოჰყვა. ამის შემდეგ, თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა, სანამ **მაიკ ფრატელოს** გუნდი 11 ქულით არ გაექცა (13:2) მეტოქეს. ტაიმი უკრაინამ 39:30 მოიგო.

უკრაინელთა გაქცევა მესამე მეოთხედში გაგრძელდა. **პუჰ ჯეტერის** ორი სამქულიანითა და **კირილ ნატიაჟკოს** მონდომებით, კიდევ ერთი სათამაშო მონაკვეთი 9:0 დასრულდა და მესამე 10-წუთეულის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე, ანგარიშის 62:46 იყო - უკრაინის სასარგებლოდ. ამის შემდეგ, გერმანელების ჯერი დადგა. მესამე მეოთხედის ბოლოსა და მეოთხეს სტარტზე უკრაინის ფარი პერიმეტრიდან „დაიბომბა". ბოლო მეოთხედის წინ, უკრაინელთა უპირატესობა მხოლოდ შვიდი ქულა იყო, თუმცა გერმანია ამით არ დაკმაყოფილდა. ის მეთოდურად ამცირებდა ანგარიშს და საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 26 წამით ადრე, უკრაინის უპირატესობისგან ერთი ქულა დარჩა - 74:73. და სწორედ ამის შემდეგ იყო გლადირის კარგი თამაში, რომელზეც ზემოთ მოგიყევით.

| | |
|---|---|
| **ბელგია** | **76** |
| 23:19, 10:19, 22:17, 21:16 | |
| **ბრიტანეთი** | **71** |

**ბელ:** მასო (15), მუკუბუ (13), ვან როსომი (12+5 მოხსნა+5 პასი), მორისი (11), ერველი (10+10 მოხსნა+5 შეცდომა).

**ბრიტ:** კლარკი (19+9 მოხსნა), ჰესონი (12), ეჩარა (12+5 შეცდომა), ლოურენსი (11).

**ორქულიანები:** 22/42 (52,4%) - 16/34 (47,1%)

**სამქულიანები:** 6/16 (37,5%) - 6/24 (25,0%)

**საჯარიმოები:** 14/21 (66,7%) - 21/31 (67,7%)

**მოხსნები:** 34-35. **პასები:** 17-9. **შეცდომები:** 18-15

**გადამწყვეტი მომენტი:** საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე, ანგარიში თანაბარი იყო - 64:64. დარჩენილი დრო ბელგიამ 12:7 მოიგო და უკვე ორი გამარჯვება დაუგროვდა.



**მატჩის გმირი:** თამაშის ბედი 34 წლის **როელ მოორსმა** გადაწყვიტა, რომელმაც ბოლო ხუთ წუთში შვიდი ქულის დაგროვება მოსწრო.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ორივე გუნდმა 66-67 პროცენტის სიზუსტით შეასრულა საჯარიმოები და ამის გამო ჰქონდა შეხვედრას დაძაბული ფინალი.

ბელგიამ ბოლო ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი მოიგო, თუმცა გუშინ, ძალიან გაუჭირდა ბრიტანეთის დამარცხება. პირველი ტაიმის შემდეგ, ბელგიელები ხუთი ქულით იყვნენ ჩამორჩენილები. მეორე ნახევარში ლიდერი 11-ჯერ შეიცვალა იქამდე, სანამ ბელგიამ 12:5 გაქცევა არ მოაწყო.

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | **82** |
| 20:14, 18:15, 27:14, 17:20 | |
| **ისრაელი** | **63** |

**ს:** აჟინკა (13+6 მოხსნა), პარკერი (12+7 პასი), პეტრო (10+5 მოხსნა).

**ი:** კასპი (14), ელიაჰუ (14+5 მოხსნა).

**ორქულიანები:** 26/42 (61,9%) - 19/40 (47,5%)

**სამქულიანები:** 6/14 (42,9%) - 4/16 (25,0%)

**საჯარიმოები:** 12/14 (85,7%) - 13/14 (92,9%)

**მოხსნები:** 35-23. **პასები:** 21-14. **შეცდომები:** 17-15

**გადამწყვეტი მომენტი:** გერმანიასთან პირველ ტურში სენსაციური მარცხის შემდეგ, საფრანგეთი ასწორებს სატურნირო მდგომარეობას. ისრაელი პირველ ტაიმში ასე თუ ისე ეწინააღმდეგებოდა მეტოქეს და დიდი შესვენებისთვის ცხრა ქულა წააგო. ყველაფერი მეორე ტაიმის სტარტზე გადაწყდა, როცა ფრანგებმა ათი უპასუხო ქულა მოიპოვეს.

**მატჩის გმირი:** ზედიზედ მეორე მატჩია, ფრანგების რიგებში გამოირჩევა **ალექსის აჟინკა**. პირველ მეოთხედში მას შესანიშნავი მონაკვეთი ჰქონდა - ზედიზედ 10 ქულა დააგროვა, თავისი ჯამური 13 ქულა კი 17 წუთში მოიხვეჭა

**სტატისტიკა არ ტყუის:** საფრანგეთს დაპყრობილი ჰქონდა სამწამიანი: ამ ზონიდან დაგროვილი ქულების ანგარიშია - 42:24.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 3 | 3 | 0 | 220-207 | 6 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 244-208 | 5 |
| 3. ბელგია | 3 | 2 | 1 | 210-202 | 5 |
| 4. გერმანია | 3 | 1 | 2 | 236-239 | 4 |
| 5. ბრიტანეთი | 3 | 1 | 2 | 211-235 | 4 |
| 6. ისრაელი | 3 | 0 | 3 | 201-231 | 3 |

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| **ჩერნოგორია** | **70** |
| 17:13, 20:21, 22:15, 11:27 | |
| **ბოსნია** | **76** |

**ჩ:** დუბლიევიჩი (16+6 მოხსნა), რაისი (11+4 პასი+4 შეცდომა), სუად შეჰოვიჩი (5+14 მოხსნა).

**ბ:** ტელეტოვიჩი (18+11 მოხსნა), გორდიჩი (18+6 მოხსნა+4 პასი), სუტალო (13), ჯედოვიჩი (13+5 პასი), რაიტი (2+9 მოხსნა).

**ორქულიანები:** 16/39 (41%) - 19/48 (39,6%)

**სამქულიანები:** 8/29 (27,6%) - 9/21 (42,9%)

**საჯარიმოები:** 14/19 (73,7%) - 11/16 (68,8%)

**მოხსნები:** 48-41. **პასები:** 10-14. **შეცდომები:** 11-7

**გადამწყვეტი მომენტი:** ბოსნიის ნაკრებმა პირველი მატჩი მოიგო ჩემპიონატზე, თუმცა ახლოს იყო წაგებასთან. რომ არა ოთხი სამქულიანით მოწყობილი 13:4 გაქცევა, გამარჯვებას ჩერნოგორია მიაღწევდა.

**მატჩის გმირი:** ჩერნოგორიელთა მთელი ყურადღება დაცვაში **მირზა ტელეტოვიჩისკენ** იყო გადატანილი, მაგრამ ვერც მისი გაჩერება შეძლეს (18 ქულა+11 მოხსნა) და თან **ნემანია გორდიჩის** აქტიურობა გამოეპარათ. ამ მცველმა მეორე ტაიმში 17 ქულა დააგროვა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ბოლო მეოთხედში ბოსნიამ ექვსი ბურთი დაცვაში ჩაჭრის შემდეგ ჩააგდო.

ჩერნოგორიამ ზედიზედ მეორე დასანანი მარცხი იწვნია. წინა დღეს ის ბოლო წამებზე დამარცხდა ლატვიასთან, ახლა კი მესამე მეოთხედში მიღებული 10-ქულიანი უპირატესობა გაანიავა. ჩერნოგორიელები ბოლო 10-წუთეულშიც ინარჩუნებდნენ კომფორტულ სხვაობას, მაგრამ გორდიჩის შეჩერება ვერ შეძლეს და გაირთულეს საქმე შემდეგ ეტაპზე გასვლის მხრივ.

| | |
|---|---|
| **ლატვია** | **59** |
| 17:22, 14:17, 14:13, 14:15 | |
| **ლიტვა** | **67** |

**ლატ:** კუკსიკსი (13), იანიჩენოკსი (11), ბლუმსი (11).

**ლიტ:** ვალანჩუნასი (11+10 მოხსნა) კალნიეტისი (9+6 პასი+4 შეცდომა), მოტეიუნასი (9+6 მოხსნა).

**ორქულიანები:** 12/30 (40,0%) - 18/37 (48,6%)

**სამქულიანები:** 8/31 (25,8%) - 5/12 (41,7%)

**საჯარიმოები:** 11/16 (68,8%) - 16/25 (64,0%)

**მოხსნები:** 26-48. **პასები:** 10-12. **შეცდომები:** 9-18

**გადამწყვეტი მომენტი:** საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე, **იონას მაჩიულისმა** მარჯვენა კუთხიდან სამქულიანი ჩააგდო და თავის გუნდს შვიდქულიანი უპირატესობა მოუტანა. იქვე **იონალ ვალანჩუნასმა** ჯერ დაფარება შეასრულა და შემდეგ ორქულიანით პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**მატჩის გმირი:** NBA-ის ლეგიონერებმა - ვალანჩუნასმა და **დონატას მოტეიუნასმა** მოედნის ორივე მხარეს ბრწყინვალედ ითამაშეს. ამ დუეტმა ჯამში 20 ქულა, 16 მოხსნა და ორი დაფარება მიითვალა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ლიტვა დომინირებდა სამწამიანში. ამ ზონიდან მან 34 ქულა დააგროვა და მოხსნებში დაჩაგრა მეტოქე - 48:26.

ლატვია ორი მოგებით შეხვდა ბალტიისპირულ დერბის და ჯგუფის ფავორიტ ლიტვასთანაც უშანსოდ არ ყოფილა. არადა, ლატვიელებმა 31-დან მხოლოდ რვა სამქულიანი ჩააგდეს და პირწმინდად დათმეს ფარქვეშ ბრძოლა.

ლიტვამ პირველ ტაიმში კომფორტული უპირატესობა მოიპოვა, რაც მისი წინა ხაზის მოთამაშეების - ვალანჩუნასისა და მოტეიუნასის დამსახურებაა. მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა მესამე მეოთხედში დაფიქსირდა - 13 ქულა. სწორედ ამ დროს, **იონას კაზლაუსკასმა** თავისი გუნდის ლიდერები დაასვენა და სწორედ ამ დროს შეამცირა ლატვიამ სხვაობა შვიდ ქულამდე.

მატჩის ბედი იქამდე იყო გაურკვეველი, სანამ მაჩიულისმა სამქულიანით არ გაიბრწყინა. წაგების მიუხედავად, ლატვიამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საერთოდ კი ამ ჯგუფში ისეთი არეული სიტუაციაა, რომ არც ერთ გუნდს გარანტირებული არაფერი აქვს.

| | |
|---|---|
| **მაკედონია** | **89** |
| 29:17, 19:15, 22:13, 19:30 | |
| **სერბეთი** | **75** |

**მ:** მაკალები (27), ანტიჩი (16+14 მოხსნა), ილიევსკი (16), გეჩევსკი (9+9 მოხსნა).

**ს:** ანჯუშიჩი (19), ბიელიცა (13+8 მოხსნა), ნედოვიჩი (11), ნენად კრსტიჩი (9+11 მოხსნა).

**ორქულიანები:** 19/36 (52,8%) - 16/40 (40%)

**სამქულიანები:** 9/26 (34,6%) - 7/25 (28%)

**საჯარიმოები:** 24/30 (80%) - 22/31 (71%)

**მოხსნები:** 48-36. **პასები:** 10-6. **შეცდომები:** 14-8

**გადამწყვეტი მომენტი:** გუნდები განსხვავებული განწყობით შეხვდნენ ამ მატჩს: სერბეთს ორი მოგება ჰქონდა, მაკედონიას - ორი წაგება. კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მაკედონიამ დიდი ალმავლობით ითამაშა და ბოლო მეოთხედის წინ 25 ქულას იგებდა. სერბეთმა მეოთხე მეოთხედში ანგარიშის შემცირება დაიწყო და შეიძლებოდა სახიფათო მანძილზე მიახლოებოდა მეტოქეს, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა 36 წლის ვეტერანი **ტოდორ გეჩევსკის** სამქულიანმა საფინალო სირენამდე სამწუთნახევრით ადრე.

**მატჩის გმირი:** ამ სტატუსს გეჩევსკიც იმსახურებს და **ბო მაკალებიც**, რომელმაც ამ ჩემპიონატში პირველად გაიბრწყინა - 27 ქულა დააგროვა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** მაკედონია ბევრ სათამაშო კომპონენტში გამოიყურებოდა კარგად, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მოხსნებში უპირატესობა: 48-36.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 3 | 2 | 1 | 198-189 | 5 |
| 2. ლატვია | 3 | 2 | 1 | 218-214 | 5 |
| 3. სერბეთი | 3 | 2 | 1 | 215-212 | 5 |
| 4. მაკედონია | 3 | 1 | 2 | 236-231 | 4 |
| 5. ჩერნოგორია | 3 | 1 | 2 | 223-229 | 4 |
| 6. ბოსნია | 3 | 1 | 2 | 218-233 | 4 |

**გია თვალაბეიშვილი**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:35. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608